

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი
ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეებზე
2010, № 7

ადმინისტრაციული პროცესი

1. განსჯადობა
 - ადმინისტრაციული განსჯადობა
 - საერთო განსჯადობა
 - სამოქალაქო განსჯადობა
 - ტერიტორიული განსჯადობა
2. დისპოზიციურობის პრინციპი
3. სახელმწიფო ბაჟი
4. სადავო საკითხის გადაუწყვეტლად აქტის ბათილად ცნობა
5. საჩივრის დაუშვებლობა

1. განსჯადობა

ადმინისტრაციული განსჯადობა

განჩინება

#ბს-1392-1329(გ-09)

3 ნოემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. წიკლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
პ. სილაგაძე

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, ზეპირი განხილვის გარეშე, განიხილა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საქმეთა პალატებს შორის დავა განსჯადობის თაობაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

2008 წლის 2 ივლისს გ. კ-იანმა სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიმართ და მოითხოვა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 23 აპრილის #427/კ ბრძანების ბათილად ცნობა, გ. კ-იანის სამსახურში აღდგენა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება შემდეგი საფუძველით:

გ. კ-იანი 2008 წლის 23 აპრილამდე მუშაობდა ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფ. ... საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლად. 2008 წლის 23 აპრილს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან. გათავისუფლების საფუძველად მიეთითა საქართველოს შრომის კოდექსის 38.1 მუხლზე, რომელიც ადგენს სამუშაოდან გათავისუფლების წესს და არა საფუძველს. ასევე ბრძანებაში მიეთითა "ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 59.2 მუხლი, რომლის მიხედვით, დირექტორის არჩევამდე დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს ბრძანებით ნიშნავს და ათავისუფლებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი, ხოლო ამავე კანონის 56-ე მუხლის თანახმად, სკოლისგარეშე დაწესებულების ხელმძღვანელის (დირექტორის) მოვალეობის შემსრულებელს 2006-2007 სასწავლო წლის დაწყებამდე ბრძანებით ნიშნავს და ათავისუფლებს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრი.

მოსარჩელის მითითებით, აღნიშნული ნორმის საფუძველზე გ. კ-იანი 2005 წელს გათავისუფლდა განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით და დაინიშნა სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლად. შესაბამისად, მოსარჩელემ უკანონოდ მიიჩნია იმავე საფუძველით მისი ხელმეორედ გათავისუფლება.

მოსარჩელის მოსაზრებით, მოცემულ შემთხვევაში მისი გათავისუფლებისას დაირღვა საქართველოს შრომის კოდექსის 1.1, საქართველოს კონსტიტუციის 6.2, სოციალური ქარტიის 4.4 მუხლები. მოსარჩელემ მიიჩნია, რომ შრომის კოდექსის 44-ე, სამოქალაქო კოდექსის 408.1 და 411-ე მუხლების შესაბამისად, მისი სასარჩელო მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 10 ნოემბრის განჩინებით, გ. კ-იანის სარჩელი განსჯადობის წესების დაცვით გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 10 დეკემბრის გადაწყვეტილებით გ. კ-იანის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ -სადავო საკითხის გადაწყვეტილად ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 23 აპრილის #427/კ ბრძანება და მოპასუხეს დაევალა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შედეგად ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა გ. კ-იანის მიმართ გადაწყვეტილების კანონიერებაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში; ასევე, მოპასუხეს დაევალა გ. კ-იანისათვის იძულებითი განაცდურის ანაზღაურება გათავისუფლებიდან ახალი აქტის გამოცემამდე.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ და მოითხოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 10 დეკემბრის გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით გ. კ-იანის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 27 მარტის განჩინებით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სააპელაციო საჩივარი განსჯადობით განსახილველად გადაეცა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას, რაც სააპელაციო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 2.1 მუხლის "დ" ქვეპუნქტით და მიიჩნია, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 23 აპრილის #427/კ ბრძანება გ. კ-იანის სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ არ არის გამოცემული ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე. შესაბამისად, მხოლოდ ის გარემოება, რომ სადავო ბრძანების გამოცემის საფუძველად საქართველოს შრომის კოდექსთან ერთად მითითებულია "ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონი, არ წარმოადგენს დავის ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განხილვის პირობას, რადგან მოსარჩელესთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის უშუალო საფუძველია კერძო სამართლის საკანონმდებლო ნორმატიული აქტი - საქართველოს შრომის კოდექსი და არა "ზოგადი განათლების შესახებ" კანონი.

ამდენად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მინისტრის ბრძანება წარმოადგენს შრომის უფლების შეწყვეტის შესახებ სამართლებრივ აქტს.

სააპელაციო სასამართლომ ასევე იხელმძღვანელა "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 1.1, 2.1, 2.2 მუხლებით და მიუთითა, რომ საჯარო სამართლის იურიდიულ პირში საქმიანობა არ წარმოადგენს საჯარო სამსახურში საქმიანობას. ასევე, "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონით განსაზღვრულია ის პირობები, რომელთა დაკმაყოფილების შემთხვევაში პირი იქნეს საჯარო მოსამსახურის სტატუსს, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი განიხილება კერძო სამართლის სუბიექტად. შესაბამისად, საჯარო სამართლის იურიდიული პირების მოსამსახურეთა მიმართ ვერ გავრცელდება "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მოქმედება.

ამდენად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ სამართალურთიერთობას არ გააჩნია საჯარო სამართლებრივი ურთიერთობის დამახასიათებელი ძირითადი ელემენტები - დავა არ გამოდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ასევე, დავის საგანი არ არის დაკავშირებული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ თავისი საჯარო უფლებამოსილების განხორციელებასთან. შესაბამისად, არ არსებობს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1 მუხლით განსაზღვრული პირობები დავის ადმინისტრაციულ კატეგორიად მიჩნევისათვის და მოცემული დავა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 11.1 მუხლის "ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, განხილულ უნდა იქნეს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით, კერძო სამართლის საკანონმდებლო ნორმატიული აქტების საფუძველზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 9 ივნისის განჩინებით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სააპელაციო საჩივარი განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად საქმის მასალებთან ერთად გადაეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს, რაც სააპელაციო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის პირველი მუხლის დეფინიციიდან გამომდინარე, სამოქალაქო-სამართლებრივი ხასიათის ურთიერთობები არის პირთა თანასწორობაზე დამყარებული კერძო ხასიათის ქონებრივი, საოჯახო და პირადი ურთიერთობები, რომელთაგან წარმოშობილი დავები განიხილება სსსკ-ის მე-11 მუხლის შესაბამისად, სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენს ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფ. ... საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობიდან გ. კ-იანის გათავისუფლების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების კანონიერება, სამსახურში აღდგენა და იძულებითი განადგურის ანაზღაურება.

სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1 მუხლით და მიიჩნია, რომ დავის ადმინისტრაციულ-სამართლებრივად მიჩნევისათვის უმთავრესია, თუ რომელი კანონმდებლობიდან გამომდინარეობს დავა, დავის არსი და საგანი, ასევე, ვინ არიან მოდავე მხარეები.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 2.1 მუხლის "დ" ქვეპუნქტის შესაბამისად, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ლეგალური დეფინიციის თანახმად, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად შეიძლება მიჩნეულ იქნეს მხოლოდ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი. "ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლის "ჯ" პუნქტის თანახმად, საჯარო სკოლა წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიული პირის სახით დაფუძნებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას. ამავე კანონის 25.1 მუხლის მიხედვით, ზოგადი განათლების სფე-

როში სახელმწიფო პოლიტიკას ახორციელებს საქართველოს მთავრობა. 26-ე მუხლი განსაზღვრავს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს უფლებამოსილებას, კერძოდ, აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილის "ო" და "ო¹" ქვეპუნქტების შესაბამისად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ატარებს საჯარო სკოლის დირექტორის შესარჩევ კონკურსს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დირექტორის არჩევამდე უზრუნველყოფს სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის დანიშვნას. "ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 59.2 მუხლის თანახმად, დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს ბრძანებით ნიშნავს და ათავისუფლებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი.

ამდენად, სააპელაციო სასამართლოს მითითებით, საჯარო სამართლის იურიდიული პირის საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობაზე დანიშვნა და მისი თანამდებობიდან გათავისუფლება ხორციელდება შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სათანადო აქტების გამოცემით, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, რომელიც გამოიცემა საქართველოს კანონით "ზოგადი განათლების შესახებ" გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად, რაც ადმინისტრაციული კანონმდებლობის ნაწილს წარმოადგენს.

ამდენად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ადმინისტრაციული ორგანოს -განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება, საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ, წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს. შესაბამისად, კონკრეტულ შემთხვევაში, არსებობს ადმინისტრაციული დავისათვის დამახასიათებელი ნიშნები: დავის მონაწილეა ადმინისტრაციული ორგანო, დავის საგანს კი წარმოადგენს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, დავა გამომდინარეობს ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან, რადგან სადავო სამართალურთიერთობის მიმართ გამოყენებული უნდა იქნეს როგორც "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი ნორმები, ასევე, "ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის თაობაზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საქმეთა პალატების მოსაზრებების გაცნობის შედეგად, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.3 მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, წყვეტს რა დავას სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე, მიაჩნია, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სააპელაციო საჩივარი განსახილველად უნდა გადაეცეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლომ მიაჩნია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ არსებითად სწორად განსაზღვრა მოცემული დავის განსჯადობის საკითხი და მართებულად მიიჩნია საქმე თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განსჯად ადმინისტრაციულ დავად. აღნიშნულთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის დასკვნას, მიაჩნია, რომ ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა და არასწორად განმარტა იგი, რითაც დაირღვა სსსკ-ის 393-ე მუხლის მოთხოვნები.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1 მუხლის მიხედვით, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს: ა) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან; ბ) ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა; გ) ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე; დ) აქტის არარად აღიარება, უფლების ან სამართალურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა. ამავე კოდექსის 2.3 მუხლის შესაბამისად, ამ მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული საქმეების გარდა, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც, აგრეთვე, გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

ამდენად, მითითებული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით განისაზღვრა, რომ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1, 2.2 მუხლებში დაკონკრეტებული დავები, აგრეთვე, სხვა დავები, რომლებიც ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარე, სამართლებრივი ურთიერთობიდან არის წარმოშობილი. აღნიშნულიდან გამომდინარე, კანონმდებელმა ადმინისტრაციული სამართალწარმოებით საქმის განხილვისათვის აუცილებელ ელემენტად განსაზღვრა დავის საგანი, რომელიც მითითებულია ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1, 2.2 და 2.3

მუხლებში. ამასთან, აღნიშნული დავები წარმოშობილი უნდა იყოს იმ სამართალურთიერთობებიდან, რომლებიც საჯარო, კონკრეტულად, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობითაა მოწესრიგებული.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსაზრებას, რომ მოცემული დავა ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველ დავათა კატეგორიას განეკუთვნება, რამდენადაც დავის საგანს წარმოადგენს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 23 აპრილის #427/კ ბრძანების ბათილად ცნობა, რომლითაც მოსარჩელე გათავისუფლდა ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ ... საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობიდან.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის დასკვნას, რომ სადავო სამართალურთიერთობის მიმართ გამოყენებული უნდა იქნეს "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი ნორმები, რადგან გ. კ-იანი, როგორც ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფ. ... საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი, არ წარმოადგენდა საჯარო მოხელეს.

საკასაციო სასამართლო "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის 1.1 მუხლის საფუძველზე, რომელიც განსაზღვრავს საჯარო სამსახურის ცნებას, განმარტავს, რომ საჯარო სამსახური (შემდგომ სამსახური) არის საქმიანობა სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში, საჯარო ხელისუფლების ორგანოებში, ხოლო ამავე კანონის მე-4 მუხლი ადგენს საჯარო მოსამსახურის ცნებას, რომლის თანახმად, საჯარო მოსამსახურეს წარმოადგენს საქართველოს მოქალაქე, რომელიც ამ კანონით დადგენილი წესით და დაკავებული თანამდებობის შესაბამისად აწარმოებს საქმიანობას ეწევა სახელმწიფო ან ადგილობრივ თვითმმართველობის დაწესებულებაში.

საკასაციო სასამართლო "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის 2.1 მუხლის საფუძველზე განმარტავს, რომ სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულება (შემდგომ დაწესებულება) არის სახელმწიფო ბიუჯეტის ან ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტის სახსრებზე შექმნილი და ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი დაწესებულება, რომლის ძირითად ამოცანას საჯარო ხელისუფლების განხორციელება წარმოადგენს, ხოლო ამავე კანონის მე-2 მუხლი ადგენს და განსაზღვრავს იმ დაწესებულებათა ჩამონათვალს, რომელშიც საქმიანობაც ითვლება საჯარო საქმიანობად, ხოლო ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფ. ... საჯარო სკოლის დირექტორი ვერ მიიჩნევა საჯარო მოსამსახურედ.

შრომითსამართლებრივი ურთიერთობა მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით კერძოსამართლებრივ ურთიერთობას წარმოადგენს, მაგრამ იმავდროულად, კანონმდებლმა საჯარო შრომითსამართლებრივი ურთიერთობა მოაწესრიგა საჯარო შრომით-სამართლებრივი ნორმატიული აქტით - "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონით. სწორედ მითითებული საკანონმდებლო აქტით ხდება საჯარო მოხელისათვის საჯაროსამართლებრივი კომპეტენციის გადაცემა და შესაბამისად, იმ შედეგების მინიჭება და გარანტიებით აღჭურვა, რაც კანონით გათვალისწინებულია საჯარო მოხელისათვის. ამასთან, პირის დაკავებული თანამდებობის, საქმიანობის სპეციფიკისა და თვისობრივი დატვირთვის გამო საჯარო მოხელესთან გაიგივება, იმ პირობებში, როცა ის "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის მე-2 მუხლში რეგლამენტირებულ საჯარო სამსახურის განმარტების ლეგალურ დეფინიციამ იარაღს არ თავსდება, დაუშვებელია.

საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 21 ივლისის ბრძანებულებით დამტკიცებული "საჯარო სამსახურის თანამდებობათა რეესტრით", განსაზღვრულია საჯარო თანამდებობათა ნუსხა, საჯარო მოხელეების რანგირება, რაც საჯარო მოხელეთათვის კიდევ ერთი ნორმატიული დადასტურებაა სტატუსთან მიმართებაში. საჯარო სკოლის დირექტორი, როგორც საჯარო მოსამსახურე, აღნიშნულ რეესტრში არ ფიქსირდება, შესაბამისად, მითითებული თანამდებობა ვერ იქნება განხილული საჯარო სამსახურად.

ამდენად, საკასაციო სასამართლო ასკვნის, რომ გ. კ-იანი არ წარმოადგენდა საჯარო მოსამსახურეს, რამდენადაც ის არ აკმაყოფილებდა "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონით ამგვარ სუბიექტად მიჩნევისათვის დადგენილ პირობას, თუმცა ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ ... საჯარო სკოლა "ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლის "ჯ" პუნქტისა და 31.1 მუხლის შესაბამისად, წარმოადგენს "საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე შექმნილ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, ზოგადსაგანმანათლებლო, საჯარო დაწესებულებას.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ გ. კ-იანის ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფ. ... საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობაზე დაინიშნა და გათავისუფლდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის -ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე, ხოლო მისი სამსახურში დანიშვნის საფუძველს წარმო-

ადგენდა "ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 59.2 მუხლი, რამდენადაც მითითებული ნორმის თანახმად, "საქართველოს ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის ამოქმედება გახდა ყველა საჯარო სამართლის იურიდიული პირის, რომელიც ახორციელებდა ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის ერთ საფეხურს მაინც, ხელმძღვანელის (დირექტორის) გათავისუფლების საფუძველი, რაც ფორმდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით. ამავე კანონის შესაბამისად, დირექტორის არჩევამდე დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს ბრძანებით ნიშნავს და ათავისუფლებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი.

ზემოაღნიშნული ნორმების შინაარსის საფუძველზე საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ გ. კ-იანი, საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელის თანამდებობიდან გათავისუფლებულია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების საფუძველზე. მართალია, ეს უკანასკნელი, არ წარმოადგენს საჯარო მოსამსახურეს, თუმცა მისი გათავისუფლების დროს დაუშვებელია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მხოლოდ კერძო სამართლის ნორმატიული აქტის - შრომის კანონთა კოდექსის გათვალისწინებული შრომითი ხელშეკრულების (კონტრაქტის) ცალმხრივი შეწყვეტის მომწესრიგებელი ნორმის გამოყენება, რამდენადაც მისი გათავისუფლების საკითხი, როგორც საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელისა, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხილულ უნდა იქნეს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისათვის განსაზღვრული პროცედურით, ადმინისტრაციული წარმოების გზით, საქმის გარემოებათა ყოველმხრივი, ობიექტური და სრულყოფილი გამოკვლევის პრინციპის გათვალისწინებით. ამასთან, გათავისუფლების მატერიალური კანონიერების შეფასება, ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა განახორციელოს საჯარო სამართლის ნორმატიული აქტებით: ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსისა და "ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის ნორმათა გამოყენებით.

საკასაციო სასამართლო მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე განმარტავს, რომ შრომით-სამართლებრივ ურთიერთობაში უნდა გამოიყოს შემთხვევები, როცა პირი წარმოადგენს საჯარო მოსამსახურეს, მისი სამსახურში მიღება (დანიშვნა, არჩევა) ხდება ადმინისტრაციის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე და მისი გათავისუფლების კანონიერების შეფასება სასამართლოში სწორედ ამ საჯარო სამართლის ნორმატიულ აქტთან და ყოველ კონკრეტულ შემთხვევებში სპეციალური საჯარო სამართლის ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობაში უნდა განხორციელდეს; ასევე, პირის, რომელიც არ წარმოადგენს საჯარო მოსამსახურეს, სამსახურში მიღება (დანიშვნა) ხდება შრომის კანონთა კოდექსის საფუძველზე და შესაბამისად, სწორედ მითითებული კერძოსამართლებრივი ნორმატიული აქტი არეგულირებს მისი სამსახურში მიღებისა და გათავისუფლების პირობებს; ასევე, მესამე შემთხვევაშიც, კერძოდ, პირი არ წარმოადგენს საჯარო მოსამსახურეს, თუმცა მისი სამსახურში მიღება (დანიშვნა) ხდება ადმინისტრაციული ორგანოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე და ამდენად, მისი გათავისუფლების კანონიერების შეფასება სწორედ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის პრინციპებთან შესაბამისობის შემოწმების შედეგად უნდა განხორციელდეს. ამდენად, ამგვარი სტატუსის მატარებელი პირის მხოლოდ შრომის კოდექსის ნორმების საფუძველზე გათავისუფლება დაუშვებელია.

ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის ფორმის სწორი კვალიფიკაციის საპროცესო სამართლებრივი მნიშვნელობა ვლინდება იმაში, რომ იგი წარმოადგენს აუცილებელ წინაპირობას სარჩელის სწორი ფორმის განსაზღვრისათვის, კერძოდ, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სარჩელი დამოკიდებულია და განპირობებულია ადმინისტრაციული აქტის არსებობით.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემული დავა სწორედ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილი დავაა, რამდენადაც ერთ-ერთ განმსაზღვრელ ელემენტს დავის ადმინისტრაციულად მიჩნევისათვის სწორედ ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარე სამართალურთიერთობა წარმოადგენს. შესაბამისად, განსახილველი დავა წარმოადგენს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1 მუხლის "ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველ ადმინისტრაციულ დავას.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ სამართალურთიერთობას გააჩნია საჯარო-სამართლებრივი ურთიერთობის დამახასიათებელი ყველა ელემენტი - დავა გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ხოლო სარჩელი აღმრულია მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ, რის გამოც არსებობს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1 მუხლით განსაზღვრული პირობები დავის ადმინისტრაციულ კატეგორიად მიჩნევისათვის.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემული საქმის სამოქალაქო სამართალწარმოების პროცედურით განხილვა გამოიწვევს საპროცესო ნორმების ისეთ დარღვევას, რომელიც აუცილებლად

განაპირობებს საქმეზე უკანონო გადაწყვეტილების დადგენას, ვინაიდან ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის პრინციპები მკვეთრად განსხვავდება სამოქალაქო სამართალწარმოების პრინციპებისაგან, რომელთა გამოყენება მხოლოდ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით გათვალისწინებულ და მკაფიოდ განსაზღვრულ საქმეებზეა დასაშვები.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლი ცალსახად ადგენს სარჩელის წარდგენის ვალდებულებას განსჯად სასამართლოში. მითითებული ნორმის 1-ლი ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია, განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. ამასთან, ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს და ამის შესახებ აცნობებს მოსარჩელეს.

მოცემულ შემთხვევაში ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, განსხვავებით სამოქალაქო სამართალწარმოებისაგან, ამკვიდრებს არა მხოლოდ განსჯადი სასამართლოს პრინციპს, არამედ ადმინისტრაციული კანონმდებლობის მნიშვნელოვან პრინციპს – უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გადაწყვეტილების მიღების თაობაზე, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს ადმინისტრაციული ორგანოსათვის კანონმდებლობით მინიჭებულ უფლებამოსილებას. ადმინისტრაციული კანონმდებლობის აღნიშნული პრინციპი კი ასახვას პოულობს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში (მუხლი 26-ე), კერძოდ, დავის განხილვის და გადაწყვეტის აუცილებლობაში უფლებამოსილი სასამართლოს მიერ.

ამდენად, არასწორია სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის დასკვნა მოცემული დავის სამოქალაქო კატეგორიად მიჩნევის შესახებ, შესაბამისად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სააპელაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განსჯად ადმინისტრაციულ დავას წარმოადგენს, რის გამოც განსჯადობის მიხედვით საქმე განსახილველად უნდა დაექვემდებაროს მითითებულ სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2; 2.1; 26.3, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სააპელაციო საჩივარი განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას;

2. საქმე გადაეცეს განსჯად სასამართლოს;

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ადმინისტრაციული განსჯადობა

განჩინება

#ბს-1118-1074(გ-09) 11 ნოემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. ქადაგიძე,
ლ. მურუსიძე

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, განიხილა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ და სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიებს შორის დავა დ. ყ-შვილის სასარჩელო განცხადების განსჯადობის თაობაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

დ. ყ-შვილმა სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე – მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულების მიმართ და მოითხოვა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცე-

მის დავალება – მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულების ტერიტორიაზე, ადმინისტრაციის შენობაში ადვოკატთან შესახვედრი ოთახის გახსნის დავალება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 05.06.09წ. განჩინებით დ. ყ-შვილის სარჩელი მოპასუხე მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულების მიმართ განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიას.

ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ განჩინებაში მიუთითა, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 მუხლის მე-4 ნაწილის "გ" ქვეპუნქტის თანახმად, ამ კოდექსის მოქმედება არ ვრცელდება და შესაბამისად არაა ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განსჯადი, აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა ის საქმიანობა, რომელიც დაკავშირებულია სასამართლოს მიერ გამოტანილი და კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულებასთან. მოსარჩელის მოთხოვნა პირდაპირ უკავშირდება სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში ყოფნის პირობების გაუმჯობესებას, რაც, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 606-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, განაჩენის დამდგენი სასამართლოს განსჯადია.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 23.06.09წ. დადგენილებით, მსჯავრდებულ დ. ყ-შვილის სასარჩელო განცხადება განსჯადობის საკითხის განსახილველად გადაეგზავნა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 08.07.09წ. დადგენილებით დ. ყ-შვილის სასარჩელო განცხადება განსჯადობით გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას. სასამართლომ მიუთითა, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 606-ე მუხლის მე-3 ნაწილი ითვალისწინებს მსჯავრდებულის უზრუნველყოფას ამავე კოდექსით გათვალისწინებული საკითხების დროს და შესაბამისად, დ. ყ-შვილის სარჩელი უნდა დაექვემდებაროს ადმინისტრაციული წესით განხილვას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 21.07.09წ. განჩინებით სასამართლოებს შორის განსჯადობის თაობაზე წარმოშობილი დავის გადასაწყვეტად საქმე გადაეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს, შემდეგ გარემოებებზე მითითებით:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციული დავის საგანს შეიძლება წარმოადგენდეს: ა) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან; ბ) ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შეწყვეტა ან შესრულება; გ) ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე; დ) აქტის არარად აღიარება, უფლების ან სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა; ასევე, სხვა დავები, რომლებიც გამომდინარეობს ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 მუხლის მე-4 ნაწილის "გ" ქვეპუნქტის შესაბამისად, ის არის არა ადმინისტრაციული, არამედ – სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის განსჯადი საკითხი, ვინაიდან დ. ყ-შვილის სასარჩელო მოთხოვნა ეხება განაჩენის აღსრულებასთან დაკავშირებულ საკითხს, რომელიც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 606-ე მუხლის მე-3 ნაწილით არის განაჩენის დამდგენი სასამართლოს განსჯადი. სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ საკითხი, რომლის გადაჭრასაც ითხოვს მოსარჩელე ვერ მოწესრიგდება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემით.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიასა და იმავე სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას შორის განსჯადობის თაობაზე წარმოშობილი დავის გაცნობის შედეგად მიიჩნევს, რომ დ. ყ-შვილის სარჩელი განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია, განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. საკასაციო სასამართლო არსებითად მიიჩნევს კანონის ზემოაღნიშნული მოთხოვნის დაცვას, რათა უზრუნველყოფილი იქნეს დავის შესაბამისი სამართალწარმოების წესებით განხილვა. სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე წარმოშობილი დავის სწორად გადაწყვეტისათვის საკასაციო სასამართლო საჭიროდ მიიჩნევს თავად სადავო სამართალურ-თიერთობის ხასიათის განსაზღვრას. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლი განსაზღვრავს, თუ რა შეიძლება იყოს ადმინისტრაციული დავის საგანი, იმავე მუხლის

მე-3 ნაწილით, ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განხილვა ასევე სხვა საქმეებიც, რომელიც ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან გამომდინარეობს. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 მუხლით დადგენილია გამონაკლისი შემთხვევები, რომლებზეც არ ვრცელდება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის დებულებები. მათ შორისაა ზემოაღნიშნული მუხლის მე-4 ნაწილის "გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირობა. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 3.4 მუხლის "გ" ქვეპუნქტის დებულება იმის შესახებ, რომ "ამ კოდექსის მოქმედება არ ვრცელდება აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა იმ საქმიანობაზე, რომელიც დაკავშირებულია სასამართლოს მიერ გამოტანილი და კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულებასთან" არ გამორიცხავს გადაწყვეტილების აღმასრულებელი ორგანოების მიერ მმართველობითი საქმიანობის განხორციელებას და ადასტურებს იმას, რომ მათ მიმართ არ გამოიყენება სხვა-ით დადგენილი ადმინისტრაციული წარმოების სახეები და პროცედურები აღსრულების ორგანოების საქმიანობის, მათ მიერ გადაწყვეტილებათა მიღების და რეალაქტის განხორციელების პროცედურის სპეციალური საკანონმდებლო აქტით ("პატიმრობის შესახებ", "არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ", "სააღსრულებო წარმოების შესახებ" კანონებით) მოწესრიგების გამო. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სადავო სამართალური თეორია უკავშირდება სასჯელაღსრულებითი ორგანოს ადმინისტრირების სფეროს და არ აქვს კავშირი სასჯელაღსრულებითი ორგანოს იმ საქმიანობასთან, რომელიც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით ან "ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ" კანონით წესრიგდება და შესაბამის სისხლის სამართალწარმოების წესით უნდა გადაწყდეს.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ მოსარჩელის მოთხოვნა ეხება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას, ემყარება ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 24-ე მუხლის და "პატიმრობის შესახებ" კანონის დებულებებს. დადგენილი რეჟიმის პირობებთან სასჯელის მოხდის არსებული პირობების შესაბამისი დაცვა აღმასრულებელი ორგანოს უფლებამოსილების სფეროს განეკუთვნება, ორგანიზაციული და ფუნქციონალური თვალსაზრისით შრომა-გასწორების დაწესებულება მოქმედებს როგორც ადმინისტრაციული ორგანო. სასჯელაღსრულების ორგანოს მიერ ადმინისტრირების პროცესში განხორციელებული საქმიანობა შესაბამის სამართლებრივ ფორმებში ხორციელდება და დავის შემთხვევაში სასამართლო კონტროლი, ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით უნდა განხორციელდეს. ადმინისტრაციული კოლეგიის მოსაზრება იმის შესახებ, რომ სადავო საკითხი -მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულების ტერიტორიაზე, კერძოდ ადმინისტრაციის შენობაში ადვოკატთან შესახვედრი ოთახის გახსნის დავალება, ვერ გადაწყდება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემით, არ ცვლის დავის განსჯადობის საკითხს, სასკ-ის 28¹ მუხლის თანახმად, სასამართლო არ არის უფლებამოსილი, გასცდეს სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებს, მაგრამ იგი არ არის შეზღუდული სასარჩელო მოთხოვნის ფორმულირებით და შეუძლია დაეხმაროს მხარეს მოთხოვნის ტრანსფორმირებაში.

სადავო სამართალური თეორიის სისხლის სამართალწარმოების წესით განხილვას არ ადასტურებს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 606-ე მუხლის მე-3 ნაწილის მითითება იმის შესახებ, რომ მსჯავრდებულს უფლება აქვს მიმართოს განაჩენის დამდგენ სასამართლოს განცხადებით სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში ყოფნის პირობების შეცვლის გადაწყვეტის შესახებ. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 606-ე მუხლის მე-3 ნაწილის ტექსტი ცხადად მიანიშნებს, რომ ამ ნორმაში მოცემული მსჯავრდებულის უფლებები უკავშირდება მხოლოდ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული საკითხების გადაწყვეტის სფეროს, მოცემულ შემთხვევაში სადავო საკითხი -სცილდება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით რეგულირებად საკითხთა წრეს. მხედველობაშია მისაღები აგრეთვე ის გარემოება, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 606-ე მუხლის სათაურის თანახმად, მუხლის შინაარსი ეხება მხოლოდ განაჩენის აღსასრულებლად მიქცევამდე მსჯავრდებულის უფლებათა უზრუნველყოფის საკითხს, ამდენად, განაჩენის აღსასრულებლად მიქცევის შემდეგ პატიმრობის პირობების შეცვლასთან დაკავშირებული საკითხები, უკეთეს ისინი არ ეხება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით მოწესრიგებულ ურთიერთობათა სფეროს (მაგ. განაჩენის აღსრულების გადავადება, სასჯელის მოხდისაგან განთავისუფლება, პირობით ვადამდე განთავისუფლება, სასჯელის ნაწილის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლა), ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით უნდა გადაწყდეს. ვინაიდან სადავო საკითხი უკავშირდება კანონიერ ძალაში მსულ, აღსასრულებლად უკვე მიქცეულ სასამართლოს განაჩენს, სადავო საკითხი ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით უნდა იქნეს განხილული.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი, მე-2, 26-ე მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. დ. ყ-შვილის სარჩელი განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას;
2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ადმინისტრაციული განსჯადობა

განჩინება

ბს-859-821(გ-09) 16 ნოემბერი 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
პ. სილაგამე

დავის საგანი: სასამართლოთა შორის განსჯადობა

აღწერილობითი ნაწილი:

საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ 2008 წლის 12 დეკემბერს სარჩელით მიმართა სამტრედიის რაიონულ სასამართლოს მოპასუხის -გ. ა-ვას მიმართ, ჯარიმის, ზიანის ანაზღაურებისა და პირგასამტეხლოს დაკისრების თაობაზე. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 2005 წლის 22 ივნისის #1735 ბრძანებით გ. ა-ვა გაწვეულ იქნა სამხედრო-საკონტრაქტო-პროფესიულ სამსახურში და 2005 წლის 1 ივნისიდან დაინიშნა კონტრაქტით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად. კონტრაქტის საფუძველზე, მხარეებს ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის ეკისრებოდათ პასუხისმგებლობა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. გ. ა-ვამ დაარღვია კონტრაქტის პირობები, რის გამოც საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 2006 წლის 26 იანვრის #114 ბრძანებით, 2005 წლის 6 დეკემბრიდან დათხოვნილ იქნა სამხედრო სამსახურიდან. მოსარჩელემ მოითხოვა ჯარიმა -16 092 ლარის დაკისრება და პირგასამტეხლო -ყოველდღიურად -16 092 ლარის 2% 2005 წლის 17 დეკემბრიდან ჯარიმის გადახდამდე. ასევე მოითხოვა ზიანის სახით მოპასუხის მომზადებაზე დახარჯული თანხის -2964,19 ლარის გადახდა.

სამტრედიის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 4 თებერვლის გადაწყვეტილებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი არ დაკმაყოფილდა. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და სასარჩელო მოთხოვნების დაკმაყოფილება მოითხოვა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 26 მარტის განჩინებით ცალკე წარმოებად გამოიყო გ. ა-ვას მიერ კონტრაქტის დარღვევით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა და საქმე ამ ნაწილში განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას.

ადმინისტრაციულმა პალატამ აღნიშნა, რომ როგორც სასარჩელო მოთხოვნის, ისე სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა შედგებოდა ორი ნაწილისაგან, პირველი -კონტრაქტის 7.3 და 7.4 პუნქტებიდან გამომდინარე, კონტრაქტის დარღვევის გამო ჯარიმისა და პირგასამტეხლოს დაკისრებისაგან, ხოლო მეორე -კონტრაქტის დარღვევის გამო ზიანის ანაზღაურებისაგან, რაც სამინისტრომ გაიღო გ. ა-ვას მომზადებაზე და რომლის ხელახლა გაღება მოუწევს მის სანაცვლოდ ახალი სამხედრო მოსამსახურის გაწვრთნისათვის. აღნიშნულ მოთხოვნას აპელანტი ამყარებდა სამოქალაქო კოდექსის 394.1, 407-ე და 414-ე მუხლებზე.

ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ მიიჩნია, რომ სასარჩელო განცხადებისა და სააპელაციო საჩივრის მოთხოვნის ნაწილი -კონტრაქტის დარღვევით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება, სამოქალაქო კოდექსის ნორმების საფუძველზე არ წარმოადგენს ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველ დავის საგანს, ვინაიდან ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხ-

ლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან, ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება, ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის არარად აღიარება, უფლების ან სამართალურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით ასევე განიხილება საქმეები იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც გამომდინარეობენ ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან. ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულებიდან გამომდინარე, ზიანის ანაზღაურების თაობაზე დავებს მითითებული ნორმა ადმინისტრაციული წესით განსახილველ საქმეთა კატეგორიას მიაკუთვნებს. მოცემულ შემთხვევაში კი სადავო არა ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურებაზე, არამედ -ფიზიკური პირის ვალდებულება -ანაზღაუროს კონტრაქტის ვადამდე შეწყვეტით მიყენებული ზიანი.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 9 ივნისის განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი ზიანის ანაზღაურების განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად გადმოგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატას.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ მიიჩნია, რომ მოცემული დავა განხილულ უნდა იქნეს ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით. პალატამ განმარტა, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის "ზ" ქვეპუნქტის მიხედვით, ადმინისტრაციული ხელშეკრულება არის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით, ფიზიკურ ან იურიდიულ პირთან, აგრეთვე, სხვა ადმინისტრაციულ ორგანოსთან დადებული სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულება. ამავე მუხლის "ა" ქვეპუნქტის თანახმად, თავდაცვის სამინისტრო წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს. მის მიერ გ. ა-ვასთან დადებული ხელშეკრულება ადმინისტრაციული ხელშეკრულებაა, რადგან ემსახურება სამხედრო ქვედანაყოფში სამხედრო სამსახურის გავლის თვალსაზრისით საჯარო უფლებამოსილების განხორციელებას. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე და 209-ე მუხლები აწესრიგებს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სხვა პირისათვის ზიანის ანაზღაურების საკითხებს, ხოლო ადმინისტრაციული ორგანოსათვის ზიანის ანაზღაურების წესი ამავე კოდექსით არაა გათვალისწინებული და იგი სამოქალაქო კანონმდებლობით უნდა მოწესრიგდეს. სწორედ ამიტომ არის აღნიშნული ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 65-ე მუხლის მე-2 ნაწილში, რომ ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებისას გამოიყენება სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული მოთხოვნები ხელშეკრულებათა შესახებ. ხელშეკრულების პირობების დარღვევით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება გათვალისწინებულია სამოქალაქო კოდექსის 405-ე და 415-ე მუხლებით. ამასთან -სამოქალაქო კოდექსის ნორმებით ზიანის ანაზღაურების საკითხის გადაწყვეტა არ გულისხმობს, რომ მოცემული დავა სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველია, ვინაიდან ზიანის საფუძვლად მითითებულია ადმინისტრაციული ხელშეკრულება, რომლის მე-8 მუხლი განსაზღვრავს ზიანის ანაზღაურების წესებს.

სამოქალაქო საქმეთა პალატამ განმარტა, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტის მიხედვით, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა. ადმინისტრაციული ხელშეკრულების შეწყვეტა პირდაპირ და უშუალო კავშირშია ამ ხელშეკრულების დარღვევის გამო ამავე ხელშეკრულების მე-8 მუხლით გათვალისწინებულ ზიანის ანაზღაურებასთან.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებების კანონიერება-დასაბუთებულობა, რის შემდეგაც მივიდა დასკვნამდე, რომ მოცემული საქმის განხილვაზე უფლებამოსილ სასამართლოს წარმოადგენს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლში მოცემულია სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციული საქმეების ჩამონათვალი, კერძოდ, ხსენებული მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს: ა) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან; ბ) ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა; გ) ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე; დ) აქტის არარად აღიარება, უფლების ან სამართალურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა. იმავე

მუხლის მე-3 ნაწილი მიუთითებს, რომ ამ მუხლით გათვალისწინებული საქმეების გარდა, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განხილვა სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც აგრეთვე გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ კანონმდებელმა ადმინისტრაციული სამართალწარმოებით საქმის განხილვის ძირითად ელემენტად განსაზღვრა დავის საგანი, რომელიც წარმოშობილია ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობით მოწესრიგებული სამართალურთიერთობიდან.

საკასაციო სასამართლო ეთანხმება ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მსჯელობას იმის თაობაზე, რომ განსახილველ საქმეზე დავის საგანს წარმოადგენს საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და სამხედრო მოსამსახურეს შორის დადებული ადმინისტრაციული ხელშეკრულების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება. საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და გ. ა-ვას შორის დადებული ხელშეკრულება წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით ფიზიკურ პირთან დადებულ ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას. ამდენად, იგი საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის "ზ" ქვეპუნქტის შესაბამისად, ადმინისტრაციული ხელშეკრულებაა.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული სამართალწარმოებით განიხილება დავა, რომელიც გამომდინარეობს ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან. ამავე მუხლის მე-2 მუხლის "ბ" ქვეპუნქტის მიხედვით, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანს შეიძლება წარმოადგენდეს ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შეწყვეტა ან შესრულება. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის "ზ" ქვეპუნქტის შესაბამისად, ადმინისტრაციულ ხელშეკრულებად მიიჩნევა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით ფიზიკურ და იურიდიულ პირთან, აგრეთვე, სხვა ადმინისტრაციულ ორგანოსთან დადებული სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულება. მოცემულ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენს საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და მოპასუხე ფიზიკურ პირს შორის "თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ქვედანაყოფებში სამხედრო მოსახურის გავლის შესახებ" ხელშეკრულებიდან წარმოშობილი ზიანის ანაზღაურება. ხელშეკრულების დადებისას ადმინისტრაციული ორგანოს -საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიზანს უდავოდ საჯარო უფლებამოსილების განხორციელება -სახელმწიფოსათვის სამხედრო მოსამსახურეთა კორპუსით უზრუნველყოფა წარმოადგენდა.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ აღნიშნული დავა ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარეობს, ვინაიდან განსახილველ შემთხვევაში დავის საგანი გამომდინარეობს ადმინისტრაციული (საჯარო) კანონმდებლობის საფუძველზე დადებული ხელშეკრულებიდან და სასარჩელო მოთხოვნა ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში ამ ხელშეკრულებითვე განსაზღვრული ზიანის ანაზღაურებაა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქმე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელის გამო გ. ა-ვას მიმართ მისთვის ზიანის ანაზღაურების დავის რების ნაწილში წარმოადგენს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით განსაზღვრულ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველ საქმეს და იგი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განსჯადია, რის გამოც საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე საქმე განსჯადობით განსახილველად უნდა გადაეცეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. საქმე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელის გამო მოპასუხე გ. ა-ვას მიმართ ზიანის ანაზღაურების ნაწილში, განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას;
2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ადმინისტრაციული განსჯადობა

განჩინება

#ბს-1205-1150(გ-09)

19 ნოემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ნ. ქადაგიძე

პ. სილაგაძე

დავის საგანი: სასამართლოთა შორის განსჯადობა

აღწერილობითი ნაწილი:

2009 წლის 3 ივნისს უ. ქ-ვამ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის - საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მიმართ და მოითხოვა მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებას დავალებოდა სამართლებრივი აქტის გამოცემა, რომლის თანახმადაც, სასჯელაღსრულების დეპარტამენტი მიმართავდა სასამართლოს შუამდგომლობით უ. ქ-ვას მიმართ სასჯელის გადავადების თაობაზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 5 ივნისის განჩინებით უ. ქ-ვას სარჩელი განსახილველად გადაეგზავნა განსჯად სასამართლოს - თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიას.

ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განმარტებით, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 606-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, მსჯავრდებულს უფლება ჰქონდა, მიემართა განაჩენის დამდგენ სასამართლოსთვის განცხადებით განაჩენის აღსრულების გადავადებისა და ამ კოდექსით გათვალისწინებული სხვა საკითხების გადაწყვეტის თაობაზე. მოსარჩელემ კი მოითხოვა რეაგირება ავადმყოფობასთან დაკავშირებით განაჩენის აღსრულების გადავადების შესახებ, რაც უნდა განხილულიყო საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით განსჯადი სასამართლოს მიერ.

ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ იმ გარემოებაზეც მიუთითა, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 607-ე მუხლის თანახმად, თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულის მიმართ განაჩენის აღსრულება სასამართლოს შეიძლება გადაევადებინა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე დადგენილებით (განჩინებით); გადავადების ერთ-ერთი საფუძველი იყო მსჯავრდებულის დაავადება მძიმე ავადმყოფობით, რაც ხელს უშლიდა სასჯელის მოხდას მის გამოჯანმრთელებამდე ან ჯანმრთელობის მდგომარეობის არსებითად გაუმჯობესებამდე. ამდენად, ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ განმარტა, რომ მოპასუხედ დასახელებული სახელმწიფო ორგანოს შუამდგომლობის აუცილებლობა განაჩენის აღსრულების გადავადებისათვის მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული არ იყო და რომც ყოფილიყო, ეს შუამდგომლობა უშუალოდ იქნებოდა დაკავშირებული სასამართლოს განაჩენის აღსრულებასთან და იგი ვერ მიიჩნეოდა ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 20 ივნისის დადგენილებით, საქმე განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად გადაეგზავნა თბილისის სააპელაციო სასამართლოს.

სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიამ, მიუხედავად თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსაზრებისა მიიჩნია, რომ მოსარჩელის მოთხოვნა, მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებას დავალებოდა სამართლებრივი აქტის გამოცემა, რომლის თანახმადაც, სასჯელაღსრულების დეპარტამენტს უნდა მიემართა სასამართლოსათვის შუამდგომლობით უ. ქ-ვას მიმართ სასჯელის გადავადების თაობაზე, წარმოადგენდა ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტს და მისი განხილვა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით განსჯადი სასამართლოს მიერ უნდა მომხდარიყო.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 6 აგვისტოს დადგენილებით, უ. ქ-ვას საქმე განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის პალატის განმარტებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის "გ" ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული კოლეგიის განსჯად საქმეებს განეკუთვნებოდა ადმინისტრაციული

ორგანოს მიერ რაიმე ქმედების განხორციელების ვალდებულების დაკისრების თაობაზე განსახილველი საქმეები. ამასთან, წარმოდგენილი სარჩელი არ შეეხებოდა განაჩენის აღსრულებასთან დაკავშირებით მოქმედების ვალდებულების დაკისრებას. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 606-ე მუხლის მესამე ნაწილთან დაკავშირებით მიუთითა, რომ იგი არ აწესრიგებდა კონკრეტულ შემთხვევაში არსებულ ვითარებას, რადგან მსჯავრდებულს არ მიუმართავს განაჩენის დამდგენი ორგანოსათვის სასჯელის გადავადების თხოვნით. სასამართლოს განმარტებით, ასევე არ არსებობდა ამავე კოდექსის 607-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების საფუძველი, ვინაიდან არ არსებობდა შუამდგომლობა სასჯელის გადავადებაზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 13 აგვისტოს განჩინებით უ. ქ-ვას სარჩელთან დაკავშირებით აღძრული საქმე სასამართლოებს შორის განსჯადობის თაობაზე წარმოშობილი დავის გადასაწყვეტად გადმოეგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიისა და იმავე სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის განჩინებების კანონიერება-დასაბუთებულობა, რის შემდეგაც მივიდა დასკვნამდე, რომ მოცემული საქმე ამ ეტაპზე უნდა გადაეგზავნოს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული სამართალწარმოებით განიხილება დავა, რომელიც გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობა საჯარო სამართლის კანონმდებლობის ნაწილია, კონკრეტულად კი მმართველობით სფეროში წარმოშობილ სამართალურთიერთობებს აწესრიგებს. სწორედ მმართველობითი ფუნქციის განხორციელებასთან დაკავშირებულ სამართალურთიერთობაში წარმოშობილი კომფლიქტები წარმოადგენს ადმინისტრაციულ დავებს და მათი განხილვის კომპეტენცია მხოლოდ ადმინისტრაციულ სასამართლოს გააჩნია.

დავის განსჯადობის განსაზღვრის ძირითადი პრინციპია, გაირკვეს, გამომდინარეობს თუ არა სადავო სამართალურთიერთობა ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით განისაზღვრება ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველი საქმეები. ესენია: ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან; ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა; ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე; აქტის არარად აღიარება, უფლების ან სამართალურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა; აგრეთვე სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ უ. ქ-ვამ სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის -საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მიმართ და მოითხოვა, დაეაღწია მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებას სამართლებრივი აქტის გამოცემა, რომლის თანახმადაც, სასჯელაღსრულების დეპარტამენტი მიმართავდა სასამართლოს შუამდგომლობით უ. ქ-ვას მიმართ სასჯელის გადავადების თაობაზე.

საკასაციო სასამართლო უსაფუძვლოდ მიიჩნევს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მსჯელობას იმის თაობაზე, რომ მოცემულ შემთხვევაზე უნდა გავრცელებულიყო საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 606-ე მუხლის მე-3 ნაწილი, რომლის თანახმად, მსჯავრდებულს უფლება აქვს, მიმართოს განაჩენის დამდგენ სასამართლოს განცხადებით განაჩენის აღსრულების გადავადებისა და ამ კოდექსით გათვალისწინებული სხვა საკითხების გადაწყვეტის შესახებ, რის გამოც ხსენებული საქმე სისხლის სამართლის წესით განსახილველ საქმეს წარმოადგენდა. აღნიშნულთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ აღნიშნული მუხლი არ აწესრიგებს განსახილველ დავას, რადგან მოცემულ შემთხვევაში მსჯავრდებულს არ მიუმართავს განაჩენის დამდგენი სასამართლოსათვის სასჯელის გადავადების თხოვნით. მოცემულ შემთხვევაში ასევე არ არის საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 607-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების საფუძველი, ვინაიდან არ არსებობს შუამდგომლობა სასჯელის გადავადებაზე.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენს საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტისათვის სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალდებულება, რაც საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, ადმინისტრაციული სამართალწარმოებით განსახილველ დავას წარმოადგენს, ვინაიდან იგი გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

ამდენად, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სასარჩელო მოთხოვნა წარმოადგენს ადმინისტრაციული კატეგორიის დავას, ვინაიდან საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის "გ" ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანს ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე.

საკასაციო სასამართლო დამატებით იმ გარემოებაზეც მიუთითებს, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ მოცემული საქმის განხილვისას უნდა იმსჯელოს ხსენებული სასარჩელო მოთხოვნის დასაშვებობაზე საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემული საქმე უ. ქ-ვას სარჩელის გამო მოპასუხე საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მიმართ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, სასარჩელო მოთხოვნის დასაშვებობის შესამოწმებლად განსჯადობით უნდა გადაეცეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. საქმე უ. ქ-ვას სარჩელის გამო მოპასუხე საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მიმართ, სასარჩელო მოთხოვნის დასაშვებობის შესამოწმებლად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას;

2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;

3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ადმინისტრაციული განსჯადობა

განჩინება

#ბს-1202-1147(გ-09)

2 დეკემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. ხირტლამე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),**

ნ. ქადაგიძე,

ლ. ურუსიძე

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, განიხილა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ და სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიებს შორის დავა დ. ყ-შვილის სასარჩელო განცხადების განსჯადობის თაობაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

დ. ყ-შვილმა სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე -მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულების მიმართ და მოითხოვა, მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებას დაერთო ტელევიზორის შეტანის ნება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 22.05.09წ. განჩინებით დ. ყ-შვილის სარჩელი მოპასუხე მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულების მიმართ განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიას.

ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ განჩინებაში მიუთითა, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 მუხლის მე-4 ნაწილის "გ" ქვეპუნქტის თანახმად, ამ კოდექსის მოქმედება არ ვრცელდება და, შესაბამისად, არაა ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განსჯადი, აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა ის საქმიანობა, რომელიც დაკავშირებულია სასამართლოს მიერ გამოტანილი და კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულებასთან. მოსარჩელის მოთხოვნა პირდაპირ უკავშირდება სასჯელდსრულებით დაწესებულებაში ყოფნის პირობების გაუმჯობესებას, რაც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 606-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, განაჩენის დამდგენი სასამართლოს განსჯადია. ამასთან, მსჯავდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულების დირექტორის 23.04.09წ. # 10/31/4-1252 წერილი უშუალოდ უკავშირდება განაჩენის აღსრულებას, შესაბამისად არ იქნება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რადგან მასზე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის დებულებები, ამავე კოდექსის მე-3 მუხლის მე-4 ნაწილის "გ" ქვეპუნქტის თანახმად, არ ვრცელდება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 20.07.09წ. დადგენილებით მოსარჩელის განცხადება განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად გადაეგზავნა თბილისის სააპელაციო სასამართლოს. სასამართლოს მოსაზრებით, მსჯავდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულების დირექტორის # 10/31/4-1252 წერილი წარმოადგენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს და განხილული უნდა იქნეს ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 24.07.09წ. დადგენილებით დ. ყ-შვილის სასარჩელო განცხადება განსჯადობით გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას. სასამართლომ მიუთითა, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 606-ე მუხლის მე-3 ნაწილი ითვალისწინებს მსჯავრდებულის უზრუნველყოფას ამავე კოდექსით გათვალისწინებული საკითხების დროს და შესაბამისად, დ. ყ-შვილის სარჩელი უნდა დაექვემდებაროს ადმინისტრაციული წესით განხილვას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 03.08.09წ. განჩინებით სასამართლოებს შორის განსჯადობის თაობაზე წარმოშობილი დავის გადასაწყვეტად საქმე გადაეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს, შემდეგ გარემოებებზე მითითებით:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციული დავის საგანს შეიძლება წარმოადგენდეს: ა) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან; ბ) ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შეწყვეტა ან შესრულება; გ) ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე; დ) აქტის არარად აღიარება, უფლების ან სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა; ასევე სხვა დავები, რომლებიც გამომდინარეობს ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 მუხლის მე-4 ნაწილის "გ" ქვეპუნქტის შესაბამისად, დავა არის არა ადმინისტრაციული, არამედ სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის განსჯადი, ვინაიდან დ. ყ-შვილის სასარჩელო მოთხოვნა ეხება განაჩენის აღსრულებასთან დაკავშირებულ საკითხს, რომელიც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 606-ე მუხლის მე-3 ნაწილით არის განაჩენის დამდგენი სასამართლოს განსჯადი. სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ საკითხი, რომლის გადაჭრასაც ითხოვს მოსარჩელე, ვერ მოწესრიგდება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემით. სასამართლომ მიუთითა, რომ მსჯავდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულების დირექტორის # 10/31/4-1252 წერილი არ წარმოადგენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რადგან საკითხი საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 მუხლის მე-4 ნაწილის "გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ იმ გამონაკლისთა რიცხვს განეკუთვნება, რომელთა მიმართაც არ ვრცელდება ამ კოდექსის მოქმედება, ვინაიდან დაკავშირებულია განაჩენის აღსრულებისას წამოჭრილ საკითხთან.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიასა და იმავე სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას შორის განსჯადობის თაობაზე წარმოშობილი დავის გაცნობის შედეგად მიიჩნევს, რომ დ. ყ-შვილის სარჩელი განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. საკასაციო სასამართლო არსებითად მიიჩნევს კანონის ზემოაღნიშნული მოთხოვნის დაცვას, რათა უზრუნველყოფილი იქნეს დავის შესაბამისი სამართალწარმოების წესებით განხილვა. სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე წარმოშობილი დავის სწორად გადაწყვეტისათვის საკასაციო სასამართლო საჭიროდ მიიჩნევს თავად სადავო სამართალურთიერთობის ხასიათის განსაზღვრას. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლი განსაზღვრავს, თუ რა შეიძლება იყოს ადმინისტრაციული დავის საგანი. იმავე მუხლის მე-3 ნაწილით, ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება ასევე სხვა საქმეებიც, რომელიც ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან გამომდინარეობს. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 მუხლით დადგენილია გამონაკლისი შემთხვევები, რომლებზეც არ ვრცელდება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის დებულებები. მათ შორისაა ზემოაღნიშნული მუხლის მე-4 ნაწილის "გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირობა. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 3.4 მუხლის "ზ" ქვეპუნქტის დებულება იმის შესახებ, რომ "ამ კოდექსის მოქმედება არ ვრცელდება აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა იმ საქმიანობაზე, რომელიც დაკავშირებულია სასამართლოს მიერ გამოტანილი და კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილების აღსრულებასთან" არ გამორიცხავს გადაწყვეტილების აღმასრულებელი ორგანოების მიერ მმართველობითი საქმიანობის განხორციელებას და ადასტურებს იმას, რომ მათ მიმართ არ ვრცელდება სუბაკ-ით დადგენილი ადმინისტრაციული წარმოების სახეების და პროცედურების გამოყენება აღსრულების ორგანოების საქმიანობის, მათ მიერ გადაწყვეტილებათა მიღების და რეალაქტის განხორციელების პროცედურის სპეციალური საკანონმდებლო აქტით ("პატიმრობის შესახებ", "არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ", "სააღსრულებო წარმოების შესახებ" კანონებით) მოწესრიგების გამო. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სადავო სამართალურთიერთობა უკავშირდება სასჯელაღსრულებითი ორგანოს ადმინისტრირების სფეროს და არ აქვს კავშირი სასჯელაღსრულებითი ორგანოს იმ საქმიანობასთან, რომელიც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით ან "ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ" კანონით წესრიგდება და შესაბამის სისხლის სამართალწარმოების წესით უნდა გადაწყდეს.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ მოსარჩელის მოთხოვნას -პირადი ან სახელმწიფო ხარჯებით ტელევიზორის გადმოცემის შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის შესახებ, ემყარება ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 24-ე მუხლის და "პატიმრობის შესახებ" კანონის დებულებებს. სასარჩელო მოთხოვნა ემყარება მოსარჩელის 14.04.09წ. განცხადებაზე მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებების 23.04.09წ. #10/31/4-1252 წერილზე, რომლითაც მოსარჩელეს უარი ეთქვა განცხადებაში დასმული საკითხის დაკმაყოფილებაზე, ადმინისტრაციულ საჩივარზე. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში მოთხოვნა ეხება არა სასჯელის სახის შეცვლას, რაც "არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ" კანონის, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, სისხლის სამართლის საქმის განმხილველი სასამართლოს აქტის საფუძველზე წყდება, არამედ დადგენილ რეჟიმთან სასჯელის მოხდის პირობების, კერძოდ, ტელეხედვის საშუალებით სარგებლობის უფლების უზრუნველყოფის საკითხს. "პატიმრების შესახებ" კანონის 51-ე მუხლის მე-2 პუნქტი ითვალისწინებს სასჯელაღსრულების დაწესებულებაში რადიოსა და ტელევიზიის ტრანსლაციას, რაც უკავშირდება მსჯავრდებულისათვის რეჟიმით გათვალისწინებულ შეზღუდვებს, დაწესებულების შინაგანაწესს. დადგენილი რეჟიმის პირობებთან სასჯელის მოხდის არსებული პირობების შესაბამისობის დაცვა აღმასრულებელი ორგანოს უფლებამოსილების სფეროს განეკუთვნება, ორგანიზაციული და ფუნქციონალური თვალსაზრისით შრომა-გასწორების დაწესებულება მოქმედებს როგორც ადმინისტრაციული ორგანო. სასჯელაღსრულების ორგანოს მიერ ადმინისტრირების პროცესში განხორციელებული საქმიანობა შესაბამის სამართლებრივ ფორმებში ხორციელდება და დავის შემთხვევაში სასამართლო კონტროლი, ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით უნდა განხორციელდეს.

სადავო სამართალურთიერთობის სისხლის სამართალწარმოების წესით განხილვას არ ადასტურებს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 606-ე მუხლის მე-3 ნაწილის მითითება იმის შესახებ, რომ მსჯავრდებულს უფლება აქვს მიმართოს განაჩენის დამდგენ სასამართლოს განცხადებით სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში ყოფნის პირობების შეცვლის გადაწყვეტის შესახებ. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 606-ე მუხლის მე-3 ნაწილის ტექსტი მიაჩნდება, რომ ამ ნორმაში მოცემული მსჯავრდებულის უფლებები უკავშირდება მხოლოდ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული საკითხების გადაწყვეტის სფეროს, მოცემულ შემთხვევაში სადავო საკითხი -ტელევიზორის შემოტანის ნებართვის გაცემა -სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით რეგულირებად საკითხთა წრეს.

მხედველობაშია მისაღები აგრეთვე ის გარემოება, რომ 606-ე მუხლის სათაურის თანახმად, მუხლის შინაარსი ეხება მხოლოდ განაჩენის აღსასრულებლად მიქცევამდე მსჯავრდებულის უფლებათა უზრუნველყოფის საკითხს, ამდენად, განაჩენის აღსასრულებლად მიქცევის შემდეგ პატიმრობის პირობების შეცვლასთან დაკავშირებული საკითხები, უკეთეს ისინი არ ეხება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით მოწესრიგებულ ურთიერთობათა სფეროს (მაგ., განაჩენის აღსრულების გადავადება, სასჯელის მოხდისაგან განთავისუფლება, პირობით ვადამდე განთავისუფლება, სასჯელის ნაწილის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლა), ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით უნდა გადაწყდეს. ვინაიდან სადავო საკითხი უკავშირდება კანონიერ ძალაში შესულ, აღსასრულებლად უკვე მიქცეულ სასამართლოს განაჩენს, სადავო საკითხი ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით უნდა იქნეს განხილული.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი, მე-2, 26-ე მუხლებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. დ. ყ-შვილის სარჩელი განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას;
2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სამოქალაქო განსჯადობა

განჩინება

#ბს-721-686(გ-09)

16 ნოემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
პ. სილაგაძე

დავის საგანი: სასამართლოთა შორის განსჯადობა

აღწერილობითი ნაწილი:

შპს "ფ.ტ.ტ. თბილისის" დირექტორმა დ. ს-მემ 2008 წლის 19 დეკემბერს სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას მოპასუხე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიმართ და მოითხოვა საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთვის მის სასარგებლოდ 50 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის დაკისრება.

მოსარჩელემ განმარტა, რომ 2007 წლის 12 სექტემბრის ყიდვა-გაყიდვის ხელშერულების საფუძველზე შპს "ფ.ტ.ტ. თბილისმა" რ. და ა. რ-ებისგან შეიძინა უძრავი ქონება, ქ. თბილისში, ... ქ#47/40-ში (... ქ#40, ... ხევი #2). ამავე დღეს მხარეებს შორის შედგა უძრავი ქონების მიღება-ჩაბარების აქტი. მითითებულ ფართში ცხოვრობდნენ მოსარგებლები, ე.წ. "ასტუპნიკები". ერთ-ერთი მოსარგებლის -ლ. ს-შვილის ბებია -თ. ს-შვილი საცხოვრებელ სახლში შესახლებულ იქნა ადმინისტრაციული აქტების -საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებისა და მის შესაბამისად გაცემული საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის საბინაო სამმართველოს 1950 წლის 28 მარტის #87 ორდერის საფუძველზე. მოსარჩელის განმარტებით, "საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლის შესაბამისად, იმ მესაკუთრეს, რომლის საცხოვრებელ სადგომშიც ადმინისტრაციული აქტით შესახლებულ იქნა მოსარგებლე, შეუძლია მოსარგებლეს მოსახოვოს ნივთზე მფლობელობის შეწყვეტა მხოლოდ მას შემდეგ, რაც მოსარგებლეს სახელმწიფო აუნაზღაურებს დაკავებული საცხოვრებელი სადგომის საბაზრო ღირებულებას. მოსარგებლე ამ მუხლის მე-8 პუნქტით დადგენილ კომპენსაციას სახელმწიფოსგან მიიღებს მესაკუთრის ან მოსარგებლის მოთხოვნით სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე. მესაკუთრეს უფლება აქვს, ამ მუხლის მე-8 პუნქტით განსაზღვრული კომპენსაცია თავად აუნაზღაუროს მოსარგებლეს. ამ შემ-

თხვევაში მესაკუთრე უფლებამოსილია, სასამართლო წესით მოითხოვოს მე-8 პუნქტით დადგენილი კომპენსაციის სახელმწიფოს მიერ ანაზღაურება. აღნიშნულიდან გამომდინარე, შპს "ფ.ტ.ტ. თბილისმა", როგორც რ. და ა. რ-ების უფლებამონაცვლემ და ქონების ამჟამინდელმა მესაკუთრემ, მითითებული კანონით განსაზღვრული მოსარგებლის -აწ. გარდაცვლილი თ. ს-შვილის უფლებამონაცვლეს ლ. ს-შვილს აუნაზღაურა ფულადი კომპენსაცია -50 000 აშშ დოლარი, ვინაიდან მის მიერ სარგებლობის უფლებით დაკავებული საცხოვრებელი ფართი შპს აუდიტორულმა ფირმა "კოოპაუდიტმა" 2007 წლის 5 დეკემბრის დასკვნით შეაფასა მითითებულ თანხად. შპს "ფ.ტ.ტ. თბილისსა" და ლ. ს-შვილს შორის 2007 წლის 7 დეკემბერს შედგა შეთანხმება კომპენსაციის მიღების შესახებ, ამავე დღეს მხარეებს შორის გაფორმდა თანხის გადაცემისა და ქონების გამოთავისუფლების აქტი.

მოსარჩელემ 2008 წლის 3 დეკემბერს კომპენსაციის ანაზღაურების მოთხოვნით მიმართა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, რაზეც ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 10 დეკემბრის ბრძანებით უარი ეთქვა იმ საფუძველზე, რომ "საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-10 პუნქტის თანახმად, მესაკუთრე უფლებამოსილია, სასამართლო წესით მოითხოვოს მე-8 პუნქტით დადგენილი კომპენსაციის სახელმწიფოს მიერ ანაზღაურება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 2 მარტის განჩინებით, შპს "ფ.ტ.ტ. თბილისის" სარჩელი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიმართ ფულადი კომპენსაციის გადახდის თაობაზე განსახილველად გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ განსახილველ სარჩელში მოთხოვნა მიმართულია კანონით პირდაპირ განსაზღვრული მოპასუხის -სახელმწიფოს მიმართ და დავა შეეხება ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულებას, განახორციელოს სხვა რაიმე ვალდებულება -გაცეს კანონით განსაზღვრული კომპენსაცია. ამ შემთხვევაში თავად სამართლებრივი ხასიათი, რაც წარმოშობილია მოსარგებლესა და ადმინისტრაციულ ორგანოს შორის, სპეციალური კანონითაა განსაზღვრული, ხოლო ის საკითხი, რომ ამავე კანონითაა მოწესრიგებული ისეთი კერძო სამართლის სხვა სუბიექტების (მესაკუთრე ფიზიკური პირების) ურთიერთობები, ვერ გახდის ამ კონკრეტულ დავას სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განსჯად დავად. სახელმწიფოს შეეძლო ადმინისტრაციული აქტით შესახლებული პირების ურთიერთობები ცალკე საკანონმდებლო აქტით მოწესრიგებინა და მაშინ ეს ურთიერთობები უცილობლად ადმინისტრაციული დავის საგანი იქნებოდა. ის ფაქტი, რომ ადმინისტრაციული აქტით შესახლებული პირებისა და მესაკუთრეთა ურთიერთობები მოწესრიგებულია იმ საკანონმდებლო აქტით, რომლითაც ამავდროულად წესრიგდება კერძო სამართლის სუბიექტთა მსგავსი ხასიათის ურთიერთობა, ვერ გახდის ადმინისტრაციული აქტით შესახლებული პირების დავას სამოქალაქო სამართლებრივ დავად.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 14 აპრილის განჩინებით შპს "ფ.ტ.ტ. თბილისის" სარჩელი მოპასუხე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიმართ განსჯადობის შესახებ სასამართლოთა შორის დავის გადასაწყვეტად გადმოიგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატაში.

სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით დადგენილია ადმინისტრაციული წესით განსახილველ დავათა სახეები, კერძოდ, აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს: ა) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან; ბ) ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა; გ) ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე; დ) აქტის არარად აღიარება, უფლების ან სამართალურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა. მითითებული მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად კი, ამ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული საქმეების გარდა, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც, აგრეთვე, გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან. აღნიშნულიდან გამომდინარე, კანონმდებელმა ადმინისტრაციული სამართალწარმოებით საქმის განხილვის ძირითად ელემენტად განსაზღვრა დავის საგანი, რომელიც წარმოშობილია იმ სამართალურთიერთობიდან, რომელიც საჯარო, კონკრეტულად, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობითაა მოწესრიგებული. სასამართლომ განმარტა, რომ განსახილველ შემთხვევაში სარჩელის მოთხოვნას წარმოადგენს მესაკუთრის -კერძო სამართლის იურიდიული პირის -შპს "ფტტ თბილისის" მიერ მოსარგებლისთვის -ლ. ს-შვილისთვის ანაზღაურებული კომპენსაციის თანხის დაკისრება სახელმწიფოსთვის -საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთვის, თანახმად "საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთ-

ბების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლისა. ნათელია, რომ სადავო სამართალურთიერთობა არ გამოდინარეობს ადმინისტრაციული (საჯარო) კანონმდებლობიდან და არ დასტურდება მხარეებს შორის ურთიერთდაქვემდებარებაზე დამყარებული ურთიერთობის არსებობა.

სასამართლოს აზრით, ტერმინში "განხორციელოს სხვა რაიმე ქმედება" იგულისხმება ადმინისტრაციული ორგანოს მხოლოდ ის ქმედება, რომელიც მის მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელებას უკავშირდება. ამდენად, ის გარემოება, რომ განსახილველ დავაში მონაწილეობს ადმინისტრაციული ორგანო, ვერ შეცვლის დავის კერძო-სამართლებრივ ხასიათს და ვერ განაპირობებს ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით მოცემული დავის განხილვას. მოცემულ შემთხვევაში ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება -გასცეს კომპენსაცია არ არის დაკავშირებული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ თავისი საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილების განხორციელებასთან, ვალდებულება წარმოშობილია "საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე, რომელიც არეგულირებს საცხოვრებელი სადგომის მესაკუთრესა და მოსარგებლეს შორის ურთიერთობებს და განეკუთვნება კერძო სამართლის სფეროს, შესაბამისად, განხილულ უნდა იქნეს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით. დავის სამართლებრივ ხასიათს, ასევე, ვერ შეცვლის ის გარემოება, რომ მოსარგებლები სადავო ფართში შესახლებული იყვნენ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე, ვინაიდან სადავოდ არ არის გამხდარი შესახლების აქტი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიისა და ამავე სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინებების კანონიერება-დასაბუთებულობა, რის შემდეგაც მივიდა დასკვნამდე, რომ მოცემული საქმე განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ არსებობს სასამართლოთა შორის დავა საგნობრივი განსჯადობის თაობაზე. განსახილველ შემთხვევაში სასარჩელო მოთხოვნა გამოდინარეობს "საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ" კანონით დადგენილი კომპენსაციის მიღების უფლებიდან. თავად კანონი წარმოადგენს კერძო სამართლის საკანონმდებლო აქტს. იმ დროს მოქმედი საბინაო კოდექსის თანახმად, სადგომის მესაკუთრე კერძო პირსა და დამქირავებელს შორის, მიუხედავად ამ უკანასკნელის სადგომში ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტით შესახლებისა, მყარდებოდა ქირავნობიდან მომდინარე ურთიერთობა. თავისთავად, საბინაო სამართალი ატარებდა კერძო-სამართლებრივ ხასიათს, სახელმწიფოს მიერ ადმინისტრირება ხდებოდა მხოლოდ საცხოვრებელი პირობების გასაუმჯობესებელ პირთა აღრიცხვისა და კერძო პირის თანხმობით მის საკუთრებაში არსებულ გამონთავისუფლებულ ბინაში შესახლებისას. ამდენად, "საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ" კანონის მე-2 მუხლის მე-8, მე-9 და მე-10 პუნქტები ითვალისწინებენ მხარეთა შორის წარმოშობილი კერძო-სამართლებრივი ურთიერთობის რეგულირებას. ამ პროცესში ადმინისტრაციული ორგანოს ჩართვის აუცილებლობა, კომპენსაციის გადახდის გზით, განაპირობა მხოლოდ ურთიერთობის წარმოშობისას მოქმედი კანონმდებლობის თავისებურებამ.

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლი მოიცავს დავათა ამომწურავ ჩამონათვალს, რომელთა განხილვა ადმინისტრაციული სასამართლოს კომპეტენციაა. სასამართლო კომპეტენციის გამიჯვნისას, მხედველობაში მიიღება ის გარემოება, თუ სამართლის რომელი დარგის ნორმა უნდა იქნეს გამოყენებული დავის გადაწყვეტისას. ადმინისტრაციული სამართალწარმოებით განსახლველი საქმე აღიძვრება საჯარო უფლებამოსილების განხორციელების (განუხორციელებლობის) მართებულობის დასადგენად. მხოლოდ ის ფაქტი, რომ ურთიერთობის მარეგულირებელი კანონი ითვალისწინებს ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულებას, გასცეს კომპენსაცია, ვერ განაპირობებს დავის ადმინისტრაციულ სამართლებრივ ხასიათს, ვინაიდან თავად მოქმედება (კომპენსაციის გაცემა) ემყარება კერძო სამართლის ნორმებს და არ წარმოადგენს საჯარო-სამართლებრივ უფლებამოსილებას. ამ შემთხვევაში ადმინისტრაციული ორგანოს ფუნქცია მხოლოდ კერძო-სამართლებრივი ურთიერთობის მოწესრიგების მიზნით სასამართლოს მიერ დაკისრებული ვალდებულების აღსრულებაა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემული საქმის განხილვაზე უფლებამოსილ სასამართლოს წარმოადგენს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია, რის გამოც საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, შპს "ფ.ტ.ტ. თბილისის" სარჩელი განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. შპს "ფ.ტ.ტ. თბილისის" სარჩელი განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას;
2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სამოქალაქო განსჯადობა

განჩინება

#ბს-1004-962(გ-09) 2 დეკემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. ქადაგიძე,
ლ. მურუსიძე

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, განიხილა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საქმეთა პალატებს შორის დავა სსიპ -ვაზისა და ღვინის დეპარტამენტის "ს-ის" სასარჩელო განცხადების განსჯადობის თაობაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

22.08.07წ. სსიპ -ვაზისა და ღვინის დეპარტამენტმა "ს-მა" სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას მოპასუხე -ი/მ ც. მ-შვილის მიმართ და მოითხოვა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის გამო აუქციონის წესით საგარანტიო ნივთის -იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაცია, რომლის შედეგად სსიპ -ვაზისა და ღვინის დეპარტამენტ "ს-ს" დაუბრუნდებოდა მის მიერ მიწოდებლისათვის გადარიცხული თანხა -5626 ლარი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 12.12.08წ. განჩინებით სსიპ -ვაზისა და ღვინის დეპარტამენტ "ს-ის" სარჩელი მოპასუხე ი/მ ც. მ-შვილის მიმართ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის ანაზღაურების თაობაზე განსჯადობით განსახილველად გადაეცა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ განჩინებაში მიუთითა, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის "ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანოა ყველა სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო ან დაწესებულება, საჯარო სამართლის იურიდიული პირი (გარდა პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანებებისა), აგრეთვე, სხვა პირი, რომელიც კანონმდებლობით ასრულებს საჯარო-სმართლებრივ უფლებამოსილებებს. აღნიშნულის საფუძველზე, სსიპ -ვაზისა და ღვინის დეპარტამენტი "ს-ი" ადმინისტრაციული ორგანოა, იმავე მუხლის პირველი ნაწილის "ზ" ქვეპუნქტის თანახმად, სსიპ -ვაზისა და ღვინის დეპარტამენტ "ს-ის" მიერ დადებულ იქნა ადმინისტრაციული ხელშეკრულება, ხელშეკრულება დაიდო საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით, რომელიც მას მინიჭებული აქვს "ვაზისა და ღვინის შესახებ" საქართველოს კანონის მე-3¹ მუხლის შესაბამისად. ამასთან, საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრის 11.02.03წ. #2-30 ბრძანებით დამტკიცებული, სსიპ -ვაზისა და ღვინის დეპარტამენტ "ს-ის" დებულების მე-2 მუხლის მესამე ნაწილის "ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, "ს-ის" საქმიანობის ძირითად საგანს წარმოადგენს "დარგის განვითარების, მევენახეობა-მეღვინეობის პროდუქციის ხარისხის ამაღლების ხელშეწყობა", რაც მის საჯარო უფლებამოსილებას წარმოადგენს. სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ მიიჩნია, რომ, რადგან სსიპ ვაზისა და ღვინის დეპარტამენტ "ს-ის" სასარჩელო განცხადებით დავის საგანი არ გამომდინარეობს კერძოსამართლებრი-

ვი ურთიერთობიდან, აღნიშნული დავა განხილული უნდა იქნეს ადმინისტრაციული სამართალ-წარმოების წესით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 03.02.09წ. გადაწყვეტილებით, სსიპ -ვაზისა და ღვინის დეპარტამენტი "ს-ის" სარჩელი დაკმაყოფილდა, ი/მ ც. მ-შვილს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 5626 ლარის გადახდა, თანხის დაფარვის მიზნით, აუქციონზე სარეალიზაციოდ მიექცა მოპასუხის კუთვნილი იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონება-მცხეთის რაიონში, სოფელ მუხათწყაროში მდებარე 0,12 ჰა მიწის ნაკვეთი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის აღნიშნული გადაწყვეტილება აპელაციის წესით გაასაჩივრა ი/მ ც. მ-შვილმა და მისი გაუქმება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 11.05.09წ. განჩინებით სააპელაციო საჩივარი საქმის მასალებთან ერთად განსჯადობით განსახილველად გადაეცა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას, რადგან დავის საგანს წარმოადგენდა ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობის გამო იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის რეალიზაციის გზით თანხის დაბრუნება, რაც არ წარმოადგენს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციული დავის საგანს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 30.06.09წ. განჩინებით საქმე განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად გადმოეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს, შემდეგ გარემოებებზე მითითებით:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციული დავის საგანს შეიძლება წარმოადგენდეს ა) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან; ბ) ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შეწყვეტა ან შესრულება; გ) ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე; დ) აქტის არარად აღიარება, უფლების ან სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის შესაბამისად, "ადმინისტრაციული ორგანო არის ყველა სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო ან დაწესებულება, საჯარო სამართლის იურდიული პირი (გარდა პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანებებისა), აგრეთვე, ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს", ამდენად, სსიპ ვაზისა და ღვინის დეპარტამენტი "ს-ი" წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს.

პალატამ მიუთითა, რომ დავის ბუნების გარკვევისათვის უნდა შეფასდეს არა მხოლოდ დავის მონაწილე სამართალსუბიექტები (თუმცა აღნიშნული ადმინისტრაციული დავის მახასიათებელი ერთ-ერთი კომპონენტია), არამედ -დავის უშუალო მატერიალურ-სამართლებრივი შინაარსიც, კერძოდ, ის თუ რომელი კანონმდებლობიდან გამომდინარეობს დავის საგანი. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ სსიპ-ის მიერ ინდ. მეწარმესთან გაფორმებული ხელშეკრულება დადებულია საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით. აღნიშნული მოსაზრება დაეფუძნა იმ გარემოებას, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის და სურსათის მინისტრის 11.02.03წ. #2-30 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ -ვაზისა და ღვინის დეპარტამენტი "ს-ის" დებულების 2.3 მუხლის "ბ" ქვეპუნქტის თანახმად, "სამტრესტის" საქმიანობის ძირითად საგანს წარმოადგენს დარგის განვითარების, მევენახეობა-მეღვინეობის პროდუქციის ხარისხის ამაღლების ხელშეწყობა. პალატამ მიუთითა, რომ მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების საგანი -ვაზის გარკვეული ჯიშის ნერგებით ვენახების გაშენების მომსახურება, პირდაპირ კავშირშია "ს-ის" საჯარო-სამართლებრივ ფუნქციასთან, იპოთეკით დატვირთული ნივთის რეალიზაციით თანხის დაბრუნების თაობაზე მოთხოვნა, სააპელაციო პალატის აზრით, გავლენას ვერ მოახდენს მხარეთა შორის არსებული ხელშეკრულების შინაარსზე, ვინაიდან იპოთეკა წარმოადგენდა მხარეთა შორის არსებული ვალდებულებებიდან გამომდინარე მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებას, ხოლო თავად ხელშეკრულების შინაარსი აქცევს მას საჯარო-სამართლებრივი ინტერესის მქონე ადმინისტრაციულ ხელშეკრულებად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, დავის საგნობრივი განსჯადობის შესახებ სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის და იმავე სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებების გაცნობის შედეგად თვლის, რომ საქმე სამოქალაქო სამართალწარმოების წესით უნდა იქნეს განხილული და შესაბამისად განსჯადობით განსახილველად სამოქალაქო საქმეთა პალატას უნდა დაექვემდებაროს შემდეგ გარემოებათა გამო:

ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია კანონიერი ინტერესების დასაკმაყოფილებლად ისარგებლოს კერძო სამართლის საშუალებით, უკეთეს აღნიშნული უფრო მისაღებია მისთვის. სასკ-ის 25¹ მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადებული კერძო-სამართლებრივი ხელშეკრულების დადებასთან, შესრულებასთან და შეწყვეტასთან დაკავშირებული დავები განიხილება სამოქალაქო სამართალწარმოების წესით. ამდენად, ის გარემოება, რომ სსიპ - ვაზისა და ღვინის დეპარტამენტი - "ს-ი" სზაკ-ის მე-2 მუხლის თანახმად ადმინისტრაციულ ორგანოს წარმოადგენს, თავისთავად არ ქმნის განსახილველი დავის ადმინისტრაციულ საქმეთა კატეგორიისადმი მიკუთვნების საფუძველს. საჯარო-სამართლებრივი და კერძო-სამართლებრივი ხელშეკრულების გამოიჯენისათვის არსებითი მნიშვნელობა ენიჭება არა ხელშეკრულების მონაწილეთა სტატუსს, არამედ - ხელშეკრულების მიზანს. ადმინისტრაციული ხელშეკრულების დეფინიციის (სზაკ-ის 2.1 მუხლის "ზ" ქვეპუნქტი) ძირითად ელემენტს შეადგენს ხელშეკრულების დადება საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით. ამდენად, ხელშეკრულების სამართლებრივ ბუნებას განსაზღვრავს ხელშეკრულების მიზანი. ხელშეკრულების მიზანი განისაზღვრება მისი შინაარსიდან გამომდინარე. გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ხელშეკრულების მხარეების მიერ ნაკისრი ვალდებულებების, ხელშეკრულების დადების შედეგად წარმოშობილი უფლება-მოვალეობების შინაარსს. ის გარემოება, რომ "ვაზისა და ღვინის შესახებ" კანონის 3¹ მუხლის თანახმად და საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრის 11.02.03წ. #2-30 ბრძანებით დამტკიცებული დეპარტამენტის დებულების 2.3 მუხლის "ბ" ქვეპუნქტით მევენახეობა-მელვინეობის დარგში საქმიანობას არეგულირებს სსიპ - ვაზისა და ღვინის დეპარტამენტი "ს-ი", რომლის საქმიანობის ძირითად საგანს დებულების თანახმად შეადგენს "დარგის განვითარების, მევენახეობა-მელვინეობის პროდუქციის ხარისხის ამაღლების ხელშეწყობა" ასევე არ წარმოადგენს დავის ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განხილვის საფუძველს. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადების შედეგად შესაბამისი პირი აღიჭურვება საჯარო-სამართლებრივი უფლება-მოვალეობებით, მაშინ, როდესაც სამოქალაქო ხელშეკრულების დადებისას მხარეები გვევლინებიან სამოქალაქო-სამართლებრივი უფლება-მოვალეობების მატარებლებად. საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო პალატის 30.06.09წ. განჩინებაში მოყვანილ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ სსიპ-სა და ინდივიდუალურ მეწარმეს შორის დადებულია ადმინისტრაციული ხელშეკრულება, საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით. განსახილველ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენს სსიპ - ვაზისა და ღვინის დეპარტამენტ "ს-სა" და ი/მ ც. მშვილს შორის დადებული 03.12.04წ. #9 ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებითი ურთიერთობა. ხელშეკრულების საფუძველზე ფიზიკურმა პირმა იკისრა ვალდებულება, შესაბამისი საფასურის სანაცვლოდ განეხორციელებინა მომსახურება, კერძოდ, გაეშენებინა ვენახი ვაზის ჯიშების ("ჩინური", "თავკვერი") ნერგებით. მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულების ერთ-ერთ მხარეს წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიული პირი, ხოლო თვით ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების, ღია ტენდერის შედეგად დაიდო, ხელშეკრულება არ აღჭურავს პირს საჯარო-სამართლებრივი უფლება-მოვალეობით, მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულება არ შეიცავს ადმინისტრაციული აქტის გამოცემის ან სხვა მმართველობითი ღონისძიების განხორციელების ვალდებულებას, ხელშეკრულების დადება სახელმწიფო შესყიდვის შედეგად, ღია ტენდერის ჩატარებით თავისთავად არ წარმოადგენს სადავო სამართალურთიერთობის ადმინისტრაციული კატეგორიისადმი მიკუთვნების საფუძველს - ამასთან, დავის საგანს წარმოადგენს არა სახელმწიფო შესყიდვის პროცედურა, არამედ ტენდერის შედეგად დადებული ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის გამო მოსარჩელის სასარგებლოდ მოპასუხისათვის 5626 ლარის დაკისრება, სანოტარო წესით დამოწმებული 03.12.04წ. იპოთეკის ხელშეკრულების საფუძველზე აუქციონის წესით საგარანტიო ნივთის - იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაცია, რეალიზაციის შედეგად სსიპ - ვაზისა და ღვინის დეპარტამენტ "სამტრესტის" მიმწოდებლისათვის გადარიცხული თანხის დაბრუნება. მოსარჩელის მოთხოვნას საფუძველად უდევს სამოქალაქო კოდექსის მე-300 (იპოთეკით დატვირთული ნივთის რეალიზაციის მოთხოვნა) და 301-ე (იძულებით გაყიდვა აუქციონზე) მუხლები. ამდენად, სადავო სამართალურთიერთობა არ გამომდინარეობს ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან (სასკ-ის 2.3 მუხლი). მხარეთა შორის არსებული სადავო სამართალურთიერთობა გამომდინარეობს ხელშეკრულებიდან, რომელიც ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადებულ სამოქალაქო ხელშეკრულებას განეკუთვნება, შესაბამისად მის შესრულებასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავა, სსკ-ის მე-11 მუხლის, აგრეთვე სზაკ-ის 25¹ მუხლის, სზაკ-ის 65.2, 65¹ მუხლების საფუძველზე სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განსჯადია და სამოქალაქო სამართალწარმოების წესით უნდა იქნეს განხილული.

ვინაიდან დავა აღძრულია კანონმდებლობაში ადმინისტრაციული გარიგების ნაცვლად ადმინისტრაციული ხელშეკრულების დეფინიციის შემოღების შემდეგ, განსახილველი დავის განსჯადობის საკითხზე გავლენას ვერ იქონიებს სასკ-ის 35-ე მუხლის დებულება, რომლის მიხედვით ადმინის-

ტრაციული გარიგების დადებასთან, შესრულებისა და შეწყვეტასთან დაკავშირებული დავები განხილული უნდა იყოს ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-2, მე-2, მე-5, 25¹, 26-ე მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11, 284-ე, 285-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. სსიპ -ვაზისა და ღვინის დეპარტამენტი "ს-ის" სარჩელის გამო საქმე ი/მ ც. მ-შვილის წინააღმდეგ განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას;
2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სამოქალაქო განსჯადობა

განჩინება

#ბს-1258-1202(გ-09) 2 დეკემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. ქადაგიძე,
ლ. მურუსიძე

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, განიხილა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საქმეთა კოლეგიებს შორის დავა სსიპ -"ვაზისა და ღვინის დეპარტამენტის "ს-ის" სასარჩელო განცხადების განსჯადობის თაობაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

29.05.09წ. სსიპ -ვაზისა და ღვინის დეპარტამენტმა "ს-მა" სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე -თ. ც-ძის მიმართ და მოითხოვა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის გამო აუქციონის წესით საგარანტიო ნივთის -იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაცია, რომლის შედეგად დეპარტამენტს დაუბრუნდებოდა მის მიერ მიმწოდებლისათვის გადარიცხული თანხა -15 000 ლარი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 01.06.09წ. განჩინებით სსიპ -ვაზისა და ღვინის დეპარტამენტ "ს-ის" სარჩელი მოპასუხე თ. ც-ძის მიმართ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის ანაზღაურების თაობაზე განსჯადობით განსახილველად გადაეცა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ განჩინებაში მიუთითა, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის "ზ" ქვეპუნქტის შესაბამისად, ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით ფიზიკურ ან იურიდიულ პირთან, აგრეთვე, სხვა ადმინისტრაციულ ორგანოსთან დადებული სამოქალაქო -სამართლებრივი ხელშეკრულება. ადმინისტრაციულმა კოლეგიამ ზემოაღნიშნული ნორმის საფუძველზე მიუთითა, რომ ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია გამოიყენოს საქმიანობის როგორც საჯარო-სამართლებრივი, ასევე კერძო-სამართლებრივი ფორმები, დადოს როგორც ადმინისტრაციული, ისე კერძოსამართლებრივი ხელშეკრულება. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ადმინისტრაციული და სამოქალაქო ხელშეკრულების გამიჯვნა უნდა განხორციელდეს ამ ხელშეკრულებათა მიზნის დადგენის გზით. სასამართლოს მოსაზრებით, სსიპ ვაზისა და ღვინის დეპარ-

ტამენტ "ს-სა" და თ. ც-ძეს შორის ვენახის გასაშენებლად დადებული ხელშეკრულება არ გამომდინარეობს ადმინისტრაციული ორგანოს საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნიდან, რის გამოც ხელშეკრულების შეუსრულებლობიდან გამომდინარე, ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის ანაზღაურების მიზნით საგარანტიო ნივთის -იპოთეკით დატვირთული ქონების აუქციონის წესით რეალიზაციის ვალდებულება არ წარმოადგენს ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველ დავის საგანს და სადავო სახელშეკრულებო ურთიერთობიდან კონტრაქტებს შორის წარმოშობილი ვალდებულების შესრულების საკითხი განხილულ უნდა იქნეს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 24.07.09წ. განჩინებით სსიპ ვაზისა და ღვინის დეპარტამენტ "ს-ის" სარჩელი საქმის მასალებთან ერთად განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად გადმოეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს, შემდეგ გარემოებებზე მითითებით:

"ვაზისა და ღვინის შესახებ" საქართველოს კანონის მე-3¹ მუხლის შესაბამისად, მევენახეობა-მეღვინეობის დარგში საქმიანობას არეგულირებს სსიპ -ვაზისა და ღვინის დეპარტამენტი "ს-ი", რომლის საქმიანობაზე კონტროლს ახორციელებს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო. აღნიშნულიდან გამომდინარე, ვაზისა და ღვინის დეპარტამენტი "ს-ი" სზაკ-ის მე-2 მუხლის შესაბამისად, წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელიც კანონმდებლობის საფუძველზე ახორციელებს საჯარო-სამართლებრივ უფლებამოსილებას. ხელშეკრულება, როგორც სამოქალაქო სამართლის ინსტიტუტი, არის ორმხრივი (ან მრავალმხრივი) ნების გამოვლენა, რომელიც მიმართულია სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია დადოს როგორც ადმინისტრაციული, ასევე კერძოსამართლებრივი ხელშეკრულება.

საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ დადგინდა, რომ 30.11.04წ. სსიპ -ვაზისა და ღვინის დეპარტამენტ "ს-სა" და თ. ც-ძეს შორის დაიდო სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება #3, რომლის თანახმადაც, შემსყიდველმა ჩაატარა ღია ტენდერი ვაზის უნიკალური ჯიშის ნერგებით ვენახების გაშენების მომსახურების შესყიდვაზე, რომელშიც გამარჯვებულად მიჩნეულ იქნა მიმწოდებლის სატენდერო წინადადება, რომლის თანახმად, მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება გაუწიოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული მომსახურება 15 000 ლარის ოდენობის თანხაზე. კონკრეტულ შემთხვევაში დავის საგანი არის სწორედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირსა და ფიზიკურ პირს შორის 30.11.04წ. დადებული სახელმწიფო შესყიდვების #3 ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებები.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განმარტებით, საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრის 11.02.03წ. #2-30 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ -ვაზისა და ღვინის დეპარტამენტ "ს-ის" დებულების მე-2 მუხლის მესამე პუნქტის "ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, "ს-ის" საქმიანობის ძირითად საგანს წარმოადგენს "დარგის განვითარების, მევენახეობა-მეღვინეობის პროდუქციის ხარისხის ამაღლების ხელშეწყობა", სწორედ აღნიშნულის გათვალისწინებით, "ვაზის უნიკალური ჯიშების ნერგით ვენახების გაშენების" ტენდერში გამარჯვებულ პირთან თ. ც-ძესთან 30.11.04წ. სსიპ -ვაზისა და ღვინის დეპარტამენტმა "ს-მა" გააფორმა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ #3 ხელშეკრულება.

სასამართლომ მიუთითა, რომ მოსარჩელის მიერ დასახელებული ხელშეკრულების დასადებად გამოვლენილი ნება გარკვეულწილად შეზღუდულია და არ ემყარება სამოქალაქო სამართლის ბრუნვისათვის დამახასიათებელი ხელშეკრულების დადების ნების თავისუფლებას, ამდენად, ვაზისა და ღვინის დეპარტამენტი "ს-ი" ახორციელებდა მისთვის კანონმდებლობით მინიჭებულ ადმინისტრაციულ ფუნქციას და სწორედ საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით დადო მან ტენდერში გამარჯვებულ პირთან სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო კოლეგიამ მიიჩნია, რომ დეპარტამენტსა და თ. ც-ძეს შორის დადებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება წარმოადგენს ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას, რადგან ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე ადმინისტრაციული ორგანოა, ის დაიდო საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით, ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე. ამასთან, მოსარჩელე სადავოდ ხდის სწორედ ადმინისტრაციული ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებით-სამართლებრივ ურთიერთობას, ხოლო მოთხოვნა იპოთეკით დატვირთული ნივთის რეალიზაციით თანხის დაბრუნების თაობაზე -გავლენას ვერ მოახდენს მხარეთა შორის არსებული ვალდებულებებიდან გამომდინარე მოთხოვნის შინაარსზე და მმართველობითი ფუნქციის განხორციელების მიზანი აქცევს მას საჯარო-სამართლებრივი ინტერესის მქონე ადმინისტრაციულ ხელშეკრულებად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის და იმავე სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განჩინებებისა და საქმის მასალების გაცნობის შედეგად მიიჩნევს, რომ სსიპ -ვაზისა და ღვინის დეპარტამენტ "ს-ის" სარჩელი სამოქალაქო სამართალწარმოების წესით უნდა იქნეს განხილული და განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია კანონიერი ინტერესების დასაკმაყოფილებლად ისარგებლოს კერძო სამართლის საშუალებით, უკეთეს აღნიშნული უფრო მისაღებია მისთვის. სასკ-ის 25¹ მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადებულ კერძოსამართლებრივი ხელშეკრულების დადებასთან, შესრულებასთან და შეწყვეტასთან დაკავშირებული დავები განიხილება სამოქალაქო სამართალწარმოების წესით. ამდენად, ის გარემოება, რომ სსიპ -ვაზისა და ღვინის დეპარტამენტი "ს-ი" სზაკ-ის მე-2 მუხლის თანახმად ადმინისტრაციულ ორგანოს წარმოადგენს, თავისთავად არ ქმნის განსახილველი დავის ადმინისტრაციულ საქმეთა კატეგორიისადმი მიკუთვნების საფუძველს. საჯარო-სამართლებრივი და კერძო-სამართლებრივი ხელშეკრულების გამიჯვნისათვის არსებითი მნიშვნელობა ენიჭება არა ხელშეკრულების მონაწილეთა სტატუსს, არამედ ხელშეკრულების მიზანს. ადმინისტრაციული ხელშეკრულების დეფინიციის (სზაკ-ის 2.1 მუხლის "ზ" ქვეპუნქტი) ძირითად ელემენტს შეადგენს ხელშეკრულების დადება საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით. ამდენად, ხელშეკრულების სამართლებრივ ბუნებას განსაზღვრავს ხელშეკრულების მიზანი. ხელშეკრულების მიზანი განისაზღვრება მისი შინაარსიდან გამომდინარე. გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ხელშეკრულების მხარეების მიერ ნაკისრი ვალდებულებების, ხელშეკრულების დადების შედეგად წარმოშობილი უფლება-მოვალეობების შინაარსს. ის გარემოება, რომ "ვაზისა და ღვინის შესახებ" კანონის 3¹ მუხლის თანახმად და საქართველოს სოფლის მურნეობისა და სურსათის მინისტრის 11.02.03წ. #2-30 ბრძანებით დამტკიცებული დეპარტამენტის დებულების 2.3 მუხლის "ბ" ქვეპუნქტით მევენახეობა-მეღვინეობის დარგში საქმიანობას არეგულირებს სსიპ -ვაზისა და ღვინის დეპარტამენტი "ს-ი", რომლის საქმიანობის ძირითად საგანს დებულების თანახმად შეადგენს "დარგის განვითარების, მევენახეობა-მეღვინეობის პროდუქციის ხარისხის ამაღლების ხელშეწყობა", ასევე არ წარმოადგენს დავის ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განხილვის საფუძველს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადების შედეგად შესაბამისი პირი აღიჭურვება საჯარო-სამართლებრივი უფლება-მოვალეობებით, მაშინ როდესაც სამქალაქო ხელშეკრულების დადებისას მხარეები გვევლინებიან სამოქალაქო-სამართლებრივი უფლება-მოვალეობების მატარებლებად. განსახილველ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენს სსიპ -ვაზისა და ღვინის დეპარტამენტ "სამტრესტსა" და თ. ც-მეს შორის დადებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებითი ურთიერთობა. ხელშეკრულების საფუძველზე ფიზიკურმა პირმა იკისრა ვალდებულება, შესაბამისი საფასურის სანაცვლოდ განეხორციელებინა მომსახურება, კერძოდ, გაეშენებინა ვენახი ვაზის უნიკალური ჯიშის ნერგებით. მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულების ერთ-ერთ მხარეს წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიული პირი, ხოლო თვით ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების ღია ტენდერის შედეგად დაიდო, ხელშეკრულება არ აღჭურავს პირს საჯარო-სამართლებრივი უფლება-მოვალეობებით, მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულება არ შეიცავს ადმინისტრაციული აქტის გამოცემის ან სხვა მმართველობითი ღონისძიების განხორციელების ვალდებულებას, ხელშეკრულების დადება სახელმწიფო შესყიდვის შედეგად, ღია ტენდერის ჩატარებით თავისთავად არ წარმოადგენს სადავო სამართალურთიერთობის ადმინისტრაციული კატეგორიისადმი მიკუთვნების საფუძველს, ამასთანავე დავის საგანს წარმოადგენს არა სახელმწიფო შესყიდვის პროცედურა, არამედ ტენდერის შედეგად 30.11.04წ. დადებული #3 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის გამო მოსარჩელის სასარგებლოდ მოპასუხისათვის 15000 ლარის დაკისრება, სანოტარო წესით დამოწმებული 30.11.04წ. იპოთეკის ხელშეკრულების საფუძველზე აუქციონის წესით საგარანტიო ნივთის -იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაცია, რეალიზაციის შედეგად სსიპ -ვაზისა და ღვინის დეპარტამენტი "ს-ის" მიმწოდებლისათვის გადარიცხული თანხის -15000 ლარის დაბრუნება. მოსარჩელის მოთხოვნას საფუძველად უდევს სამოქალაქო კოდექსის მე-300 (იპოთეკით დატვირთული ნივთის რეალიზაციის მოთხოვნა) და 301-ე (იძულებით გაყიდვა აუქციონზე) მუხლები. ამდენად, სადავო სამართალურთიერთობა არ გამომდინარეობს ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან (სასკ-ის 2.3 მუხლი). მხარეთა შორის არსებული სადავო სამართალურთიერთობა გამომდინარეობს ხელშეკრულებიდან, რომელიც ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადებულ სამოქალაქო ხელშეკრულებას მიეკუთვნება, შესაბამისად, მის შესრულებასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავა, სსკ-ის მე-11 მუხლის, აგრეთვე სზაკ-ის 25¹ მუხლის, სზაკ-ის 65.2, 65¹ მუხლების საფუძველზე სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განსჯადია და სამოქალაქო სამართალწარმოების წესით უნდა იქნეს განხილული.

ვინაიდან დავა აღძრულია კანონმდებლობაში ადმინისტრაციული გარიგების ნაცვლად ადმინისტრაციული ხელშეკრულების დეფინიციის შემოღების შემდეგ, განსახილველი დავის განსჯადობის საკითხზე გავლენას ვერ იქონიებს სასკ-ის 35-ე მუხლის დებულება, რომლის მიხედვით ადმინისტრაციული გარიგების დადებასთან, შესრულებისა და შეწყვეტასთან დაკავშირებული დავები განხილული უნდა იყოს ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სასამართლოებს შორის მიმდინარეობს დავა საგნობრივი და არა ტერიტორიული განსჯადობის საკითხზე, რის გამო საკასაციო სასამართლო იქონიებს მსჯელობას განსახილველი დავის მხოლოდ საგნობრივ განსჯადობაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, მე-2, მე-5, 25¹, 26-ე მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11, 284-ე, 285-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. სსიპ -ვაზისა და ღვინის დეპარტამენტ "ს-ის" სარჩელი განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას;
2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სამოქალაქო განსჯადობა

განჩინება

#ბს-1547-1477(გ-09) 2 დეკემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. ქადაგიძე,
ლ. მურუსიძე

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, განიხილა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საქმეთა კოლეგიებს შორის დავა სსიპ -"ვაზისა და ღვინის დეპარტამენტის "ს-ის" სასარჩელო განცხადების განსჯადობის თაობაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

03.06.09წ. სსიპ -ვაზისა და ღვინის დეპარტამენტმა "ს-მა" სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე მ. ხ-იას მიმართ და მოითხოვა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის გამო აუქციონის წესით საგარანტიო ნივთის -იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაცია, რომლის შედეგად დეპარტამენტს დაუბრუნდებოდა მის მიერ მიმწოდებლისათვის გადარიცხული თანხა -30 000 ლარი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 05.06.09წ. განჩინებით სსიპ -ვაზისა და ღვინის დეპარტამენტ "ს-ის" სარჩელი მოპასუხე მ. ხ-იას მიმართ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის ანაზღაურების თაობაზე განსჯადობით განსახილველად გადაეცა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ განჩინებაში მიუთითა, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის "ზ" ქვეპუნქტის შესაბამისად, ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით ფიზიკურ ან იურიდიულ პირთან, აგრეთვე სხვა ადმინისტრაციულ ორგანოსთან დადებული სამოქალაქო -სამართლებრივი ხელშეკრულება. ადმინისტრაციულმა კოლეგიამ ზემოაღნიშნული ნორმის

საფუძველზე მიუთითა, რომ ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია გამოიყენოს საქმიანობის როგორც საჯარო-სამართლებრივი, ასევე კერძო-სამართლებრივი ფორმები, დადოს როგორც ადმინისტრაციული, ისე კერძოსამართლებრივი ხელშეკრულება. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ადმინისტრაციული და სამოქალაქო ხელშეკრულების გამიჯვნა უნდა განხორციელდეს ამ ხელშეკრულებათა მიზნის დადგენის გზით. სასამართლოს მოსაზრებით, სსიპ ვაზისა და ღვინის დეპარტამენტ "ს-სა" და მ. ხ-იას შორის ვენახის გასაშენებლად დადებული ხელშეკრულება არ გამომდინარეობს ადმინისტრაციული ორგანოს საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნიდან, რის გამოც ხელშეკრულების შეუსრულებლობიდან გამომდინარე, ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის ანაზღაურების მიზნით საგარანტიო ნივთის -იპოთეკით დატვირთული ქონების აუქციონის წესით რეალიზაციის ვალდებულება არ წარმოადგენს ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველ დავის საგანს და სადავო სახელშეკრულებო ურთიერთობიდან კონტრაქტებს შორის წარმომოხილველ ვალდებულების შესრულების საკითხი განხილული უნდა იქნეს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 10.11.09წ. განჩინებით სსიპ ვაზისა და ღვინის დეპარტამენტ "ს-ის" სარჩელი საქმის მასალებთან ერთად განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად გადმოეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს, შემდეგ გარემოებებზე მითითებით:

"ვაზისა და ღვინის შესახებ" საქართველოს კანონის მე-3¹ მუხლის შესაბამისად, მევენახეობა-მეღვინეობის დარგში საქმიანობას არეგულირებს სსიპ -ვაზისა და ღვინის დეპარტამენტი "ს-ი", რომლის საქმიანობაზე კონტროლს ახორციელებს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო. აღნიშნულიდან გამომდინარე, ვაზისა და ღვინის დეპარტამენტი "ს-ი" სზაკ-ის მე-2 მუხლის შესაბამისად, წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელიც კანონმდებლობის საფუძველზე ახორციელებს საჯარო-სამართლებრივ უფლებამოსილებას. ხელშეკრულება, როგორც სამოქალაქო სამართლის ინსტიტუტი, არის ორმხრივი (ან მრავალმხრივი) ნების გამოვლენა, რომელიც მიმართულია სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია დადოს როგორც ადმინისტრაციული, ასევე კერძოსამართლებრივი ხელშეკრულება.

საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ დადგინებულად მიიჩნია, რომ 03.12.04წ. სსიპ -ვაზისა და ღვინის დეპარტამენტ "ს-სა" და მ. ხ-იას შორის დაიდო სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება #14, რომლის თანახმადაც, შემსყიდველმა ჩაატარა ღია ტენდერი ვაზის უნიკალური ჯიშის ნერგებით ვენახების გაშენების მომსახურების შესყიდვაზე, ტენდერში გამარჯვებულად მიჩნეულ იქნა მიმწოდებლის სატენდერო წინადადება, რომლის თანახმად, მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება გაუწიოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული მომსახურება 30 000 ლარის ოდენობის თანხაზე. კონკრეტულ შემთხვევაში დავის საგანი არის სწორედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირსა და ფიზიკურ პირს შორის 03.12.04წ. დადებული სახელმწიფო შესყიდვების #14 ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებები.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განმარტებით, საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრის 11.02.03წ. #2-30 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ -ვაზისა და ღვინის დეპარტამენტ "ს-ის" დებულების მე-2 მუხლის მესამე პუნქტის "ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, "ს-ის" საქმიანობის ძირითად საგანს წარმოადგენს "დარგის განვითარების, მევენახეობა-მეღვინეობის პროდუქციის ხარისხის ამაღლების ხელშეწყობა", სწორედ აღნიშნულის გათვალისწინებით, "ვაზის უნიკალური ჯიშების ნერგით ვენახების გაშენების" ტენდერში გამარჯვებულ პირთან -მ. ხ-იასთან 03.12.04წ. სსიპ -ვაზისა და ღვინის დეპარტამენტმა "სამტრესტმა" გააფორმა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ #14 ხელშეკრულება.

სასამართლომ მიუთითა, რომ მოსარჩელის მიერ დასახელებული ხელშეკრულების დასადგენად გამოვლენილი ნება გარკვეულწილად შეზღუდულია და არ ემყარება სამოქალაქო სამართლის ბრუნვისათვის დამახასიათებელი ხელშეკრულების დადების ნების თავისუფლებას. ამდენად, ვაზისა და ღვინის დეპარტამენტი "ს-ი" ახორციელებდა მისთვის კანონმდებლობით მინიჭებულ ადმინისტრაციულ ფუნქციას და სწორედ საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით დადო მან ტენდერში გამარჯვებულ პირთან სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო კოლეგიამ მიიჩნია, რომ დეპარტამენტსა და მ. ხ-იას შორის დადებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება წარმოადგენს ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას, რადგან ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე ადმინისტრაციული ორგანოა, ის დაიდო საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით, ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე. ამასთან, მოსარჩელე სადავოდ ხდის სწორედ ადმინისტრაციული ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებით-სამართლებრივ ურთიერთობას, ხოლო მოთხოვნა იპოთეკით დატვირთული ნივთის რეალიზაციით თანხის დაბრუნების თაობაზე -გავლე-

ნას ვერ მოახდენს მხარეთა შორის არსებული ვალდებულებებიდან გამომდინარე მოთხოვნის შინა-არსზე და მმართველობითი ფუნქციის განხორციელების მიზანი აქცევს მას საჯარო-სამართლებრივი ინტერესის მქონე ადმინისტრაციულ ხელშეკრულებად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის და იმავე სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განჩინებებისა და საქმის მასალების გაცნობის შედეგად მიიჩნევს, რომ სსიპ -ვაზისა და ღვინის დეპარტამენტ "ს-ის" სარჩელი სამოქალაქო სამართალწარმოების წესით უნდა იქნეს განხილული და განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია კანონიერი ინტერესების დასაკმაყოფილებლად ისარგებლოს კერძო სამართლის საშუალებით, უკეთეს აღნიშნული უფრო მისაღებია მისთვის. სასკ-ის 25¹ მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადებულ კერძოსამართლებრივი ხელშეკრულების დადებასთან, შესრულებასთან და შეწყვეტასთან დაკავშირებული დავები განიხილება სამოქალაქო სამართალწარმოების წესით. ამდენად, ის გარემოება, რომ სსიპ -ვაზისა და ღვინის დეპარტამენტი "ს-ი" სზაკ-ის მე-2 მუხლის თანახმად ადმინისტრაციულ ორგანოს წარმოადგენს, თავისთავად არ ქმნის განსახილველი დავის ადმინისტრაციულ საქმეთა კატეგორიისადმი მიკუთვნების საფუძველს. საჯარო-სამართლებრივი და კერძო-სამართლებრივი ხელშეკრულების გამიჯვნისათვის არსებითი მნიშვნელობა ენიჭება არა ხელშეკრულების მონაწილეთა სტატუსს, არამედ ხელშეკრულების მიზანს. ადმინისტრაციული ხელშეკრულების დეფინიციის (სზაკ-ის 2.1 მუხლის "ზ" ქვეპუნქტი) ძირითად ელემენტს შეადგენს ხელშეკრულების დადება საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით. ამდენად, ხელშეკრულების სამართლებრივ ბუნებას განსაზღვრავს ხელშეკრულების მიზანი. ხელშეკრულების მიზანი განისაზღვრება მისი შინაარსიდან გამომდინარე. გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ხელშეკრულების მხარეების მიერ ნაკისრი ვალდებულებების, ხელშეკრულების დადების შედეგად წარმოშობილი უფლება-მოვალეობების შინაარსს. ის გარემოება, რომ "ვაზისა და ღვინის შესახებ" კანონის 3¹ მუხლის თანახმად და საქართველოს სოფლის მურნეობისა და სურსათის მინისტრის 11.02.03წ. #2-30 ბრძანებით დამტკიცებული დეპარტამენტის დებულების 2.3 მუხლის "ბ" ქვეპუნქტით მევენახეობა-მეღვინეობის დარგში საქმიანობას არეგულირებს სსიპ -ვაზისა და ღვინის დეპარტამენტი "ს-ი", რომლის საქმიანობის ძირითად საგანს, დებულების თანახმად, შეადგენს "დარგის განვითარების, მევენახეობა-მეღვინეობის პროდუქციის ხარისხის ამაღლების ხელშეწყობა", ასევე არ წარმოადგენს დავის ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განხილვის საფუძველს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადების შედეგად შესაბამისი პირი აღიჭურვება საჯარო-სამართლებრივი უფლება-მოვალეობებით, მაშინ, როდესაც სამოქალაქო ხელშეკრულების დადებისას მხარეები გვევლინებიან სამოქალაქო-სამართლებრივი უფლება-მოვალეობების მატარებლებად. განსახილველ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენს სსიპ -ვაზისა და ღვინის დეპარტამენტ "ს-სა" და მ. ხ-იას შორის დადებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებითი ურთიერთობა. ხელშეკრულების საფუძველზე ფიზიკურმა პირმა იკისრა ვალდებულება, შესაბამისი საფასურის სანაცვლოდ განეხორციელებინა მომსახურება, კერძოდ, გაეშენებინა ვენახი ვაზის უნიკალური ჯიშის ნერგებით. მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულების ერთ-ერთ მხარეს წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიული პირი, ხოლო თვით ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების ღია ტენდერის შედეგად დაიდო, ხელშეკრულება არ აღჭურავს პირს საჯარო-სამართლებრივი უფლება-მოვალეობებით, მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულება არ შეიცავს ადმინისტრაციული აქტის გამოცემის ან სხვა მმართველობითი ღონისძიების განხორციელების ვალდებულებას, ხელშეკრულების დადება სახელმწიფო შესყიდვის შედეგად, ღია ტენდერის ჩატარებით თავისთავად არ წარმოადგენს სადავო სამართალურთიერთობის ადმინისტრაციული კატეგორიისადმი მიკუთვნების საფუძველს, ამასთანავე დავის საგანს წარმოადგენს არა სახელმწიფო შესყიდვის პროცედურა, არამედ ტენდერის შედეგად 03.12.04წ. დადებული #14 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის გამო მოსარჩელის სასარგებლოდ მოპასუხისათვის 30 000 ლარის დაკისრება, სანოტარო წესით დამოწმებული 06.12.04წ. იპოთეკის ხელშეკრულების საფუძველზე აუქციონის წესით საგარანტიო ნივთის -იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაცია, რეალიზაციის შედეგად სსიპ -ვაზისა და ღვინის დეპარტამენტი "ს-ის" მიმწოდებლისათვის გადარიცხული თანხის -30 000 ლარის დაბრუნება. მოსარჩელის მოთხოვნას საფუძველად უდევს სამოქალაქო კოდექსის მე-300 (იპოთეკით დატვირთული ნივთის რეალიზაციის მოთხოვნა) და 301-ე (იძულებით გაყიდვა აუქციონზე) მუხლები. ამდენად, სადავო სამართალურთიერთობა არ გამომდინარეობს ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან (სასკ-ის 2.3 მუხლი). მხარეთა შორის არსებული სადავო სამართალურთიერთობა გამომდინარეობს ხელშეკრულებიდან, რომელიც

ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადებულ სამოქალაქო ხელშეკრულებას განეკუთვნება, შესაბამისად, მის შესრულებასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავა, სსკ-ის მე-11 მუხლის, აგრეთვე, სზაკ-ის 25¹ მუხლის, სზაკ-ის 65¹ მუხლის საფუძველზე სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განსჯადია და სამოქალაქო სამართალწარმოების წესით უნდა იქნეს განხილული.

ვინაიდან დავა აღძრულია კანონმდებლობაში ადმინისტრაციული გარიგების ნაცვლად ადმინისტრაციული ხელშეკრულების დეფინიციის შემოღების შემდეგ, განსახილველი დავის განსჯადობის საკითხზე გავლენას ვერ იქონიებს სსკ-ის 35-ე მუხლის დებულება, რომლის მიხედვით, ადმინისტრაციული გარიგების დადებასთან, შესრულებისა და შეწყვეტასთან დაკავშირებული დავები განხილული უნდა იყოს ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, მე-2, მე-5, 25¹, 26-ე მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11, 284-ე, 285-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. სსიპ -ვაზისა და ღვინის დეპარტამენტ "სამტრესტის" სარჩელი მოპასუხე მ. ხ-იას მიმართ განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას;

2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სამოქალაქო განსჯადობა

განჩინება

#ბს-1578-1507(გ-09) 2 დეკემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. მურუსიძე,
ნ. ქადაგიძე

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, განიხილა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საქმეთა კოლეგიებს შორის დავა სსიპ -ვაზისა და ღვინის დეპარტამენტის "ს-ის" სასარჩელო განცხადების განსჯადობის თაობაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

01.06.09წ. სსიპ -ვაზისა და ღვინის დეპარტამენტმა "ს-მა" სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს, მოპასუხე -შპს "ო. ხ-ას" მიმართ და ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო, სამოქალაქო კოდექსის მე-300 და 301-ე მუხლების საფუძველზე აუქციონის წესით საგარანტიო ნივთის -იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაცია მოითხოვა, რომლის შედეგადაც დეპარტამენტს დაუბრუნდება მის მიერ გადარიცხული თანხა -34 996 ლარი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 18.06.09წ. განჩინებით სსიპ -ვაზისა და ღვინის დეპარტამენტის "ს-ის" სარჩელი მოპასუხე შპს "ო. ხ-ას" მიმართ, საგარანტიო ნივთის -იპოთეკით დატვირთული ქონების აუქციონის წესით რეალიზაციის თაობაზე განსჯადობის წესების დაცვით განსახილველად გადაიგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში. ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ სზაკ-ის 2.1 მუხლის "ზ" ქვეპუნქტის საფუძველზე მიუთითა, რომ ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია, გამოიყენოს საქმიანობის როგორც საჯარო-სამართლებრივი, ასევე კერძო-სამართლებრივი ფორმები, მათ შორის, დადოს როგორც ადმინისტრაციული, ისე კერძო-სამართლებრივი ხელშეკრულება, რომელთა გამიჯვნა ხელშეკრულებათა მიზნის დადგენის გზით არის შესაძლებელი. სასამართლომ მიიჩნია, რომ დეპარტამენტსა და შპს "ო. ხ-ას" შორის ვენახის გასაშენებლად დადებული ხელშეკრულება არ გამომდინარეობს ადმინისტრაციული ორგანოს საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნიდან, რის გამოც, ხელშეკრულების არაჯეროვანი შესულებიდან გამომდინარე, ხელშეკრულებით

გათვალისწინებული თანხის ანაზღაურების მიზნით საგარანტიო ნივთის - იპოთეკით დატვირთული ქონების აუქციონის წესით რეალიზაციის ვალდებულება არ წარმოადგენს ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველი დავის საგანს და სადავო სამართალურთიერთობა სამოქალაქო სამართალწარმოების წესით უნდა გადაწყდეს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 10.11.09წ. განჩინებით სსიპ -ვაზისა და ღვინის დეპარტამენტ "ს-ის" სარჩელი შპს "ო. ხ-ას" მიმართ განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად გადაეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს, შემდეგ გარემოებებზე მითითებით:

მოსარჩელე სასარჩელო მოთხოვნის საფუძველად მიუთითებს 02.12.04წ. სსიპ -ვაზისა და ღვინის დეპარტამენტ "ს-სა" და შპს "ო. ხ-ას" შორის დადებულ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ #12 ხელშეკრულებას, რომლის თანახმად შემსყიდველმა ჩაატარა ღია ტენდერი ვაზის უნიკალური ჯიშის ნერგებით ვენახების გაშენების მომსახურების შესყიდვაზე, რომელშიც გამარჯვებულად მიჩნეულ იქნა მიმწოდებლის სატენდერო წინადადება. მიმწოდებლის სატენდერო წინადადების თანახმად, მან იკისრა ვალდებულება გაეწია შემსყიდველისათვის 34 996 ლარის ღირებულების მომსახურება. "ვაზისა და ღვინის შესახებ" კანონის 3¹ მუხლის შესაამისად, მევენახეობა-მელვინეობის დარგში საქმიანობას არეგულირებს სსიპ -ვაზისა და ღვინის დეპარტამენტი -"ს-ი", რომელიც სზაკ-ის მე-2 მუხლის თანახმად ადმინისტრაციულ ორგანოს წარმოადგენს და საჯარო-სამართლებრივ უფლებამოსილებებს ახორციელებს. საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრის 14.02.03წ. #2-30 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ -ვაზისა და ღვინის დეპარტამენტი "ს-ის" დებულების მე-2 მუხლით განსაზღვრულია "ს-ის" უფლებამოსილებანი და საქმიანობის საგანი. დებულების 2.3 მუხლის "ბ" ქვეპუნქტის თანახმად, "ს-ის" საქმიანობის ძირითად საგანს წარმოადგენს "დარგის განვითარების, მევენახეობა-მელვინეობის პროდუქციის ხარისხის ამაღლების ხელშეწყობა".

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სასამართლომ მიიჩნია, რომ ხელშეკრულება დადებულია ადმინისტრაციულ ორგანოსთან, საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით. ამდენად, დავის საგანს შეადგენს ადმინისტრაციული ხელშეკრულების შესრულება, სარჩელის საგანი არ გამომდინარეობს კერძო-სამართლებრივი ურთიერთობებიდან და სასკ-ის 2.1 მუხლის "ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად დავა ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით უნდა იქნეს განხილული.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის და იმავე სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განჩინებებისა და საქმის მასალების გაცნობის შედეგად მიიჩნევს, რომ სსიპ -ვაზისა და ღვინის დეპარტამენტ "ს-ის" სარჩელი სამოქალაქო სამართალწარმოების წესით უნდა იქნას განხილული და განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სასამართლოებს შორის მიმდინარეობს დავა საგნობრივი და არა ტერიტორიული განსჯადობის საკითხზე, რის გამოც საკასაციო სასამართლო იქონიებს მსჯელობას განსახილველი დავის მხოლოდ საგნობრივ განსჯადობაზე. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია, კანონიერი ინტერესების დასაკმაყოფილებლად ისარგებლოს კერძო სამართლის საშუალებით, უკეთუ აღნიშნული უფრო მისაღებია მისთვის. სასკ-ის 25¹ მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადებულ კერძოსამართლებრივი ხელშეკრულების დადებასთან, შესრულებასთან და შეწყვეტასთან დაკავშირებული დავები განიხილება სამოქალაქო სამართალწარმოების წესით. ამდენად, ის გარემოება, რომ სსიპ -ვაზისა და ღვინის დეპარტამენტი, "ს-ი" სზაკ-ის მე-2 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ ორგანოს წარმოადგენს, თავისთავად არ ქმნის განსახილველი დავის ადმინისტრაციულ საქმეთა კატეგორიისადმი მიკუთვნების საფუძველს. საჯარო-სამართლებრივი და კერძო-სამართლებრივი ხელშეკრულების გამიჯვნისათვის არსებითი მნიშვნელობა ენიჭება არა ხელშეკრულების მონაწილეთა სტატუსს, არამედ -ხელშეკრულების მიზანს. ადმინისტრაციული ხელშეკრულების დეფინიციის (სზაკ-ის 2.1 მუხლის "ზ" ქვეპუნქტი) ძირითად ელემენტს შეადგენს ხელშეკრულების დადება საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით. ამდენად, ხელშეკრულების სამართლებრივ ბუნებას განსაზღვრავს ხელშეკრულების მიზანი. ხელშეკრულების მიზანი განისაზღვრება მისი შინაარსიდან გამომდინარე. გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ხელშეკრულების მხარეების მიერ ნაკისრი ვალდებულებების, ხელშეკრულების დადების შედეგად წარმოშობილი უფლებამოვალეობების შინაარსს. ის გარემოება, რომ "ვაზისა და ღვინის შესახებ" კანონის 3¹ მუხლის თანახმად და საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრის 11.02.03წ. #2-30 ბრძანებით დამტკიცებული დეპარტამენტის დებულების 2.3 მუხლის "ბ" ქვეპუნქტით მევენახეობა-მელვინეობის დარგში საქმიანობას არეგულირებს სსიპ -ვაზისა და ღვინის დეპარტამენტი "ს-ი",

რომლის საქმიანობის ძირითად საგანს დებულების თანახმად შეადგენს "დარგის განვითარების, მევენახეობა-მეღვინეობის პროდუქციის ხარისხის ამაღლების ხელშეწყობა", ასევე, არ წარმოადგენს დავის ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განხილვის საფუძველს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადების შედეგად შესაბამისი პირი აღიჭურვება საჯარო-სამართლებრივი უფლება-მოვალეობებით მაშინ, როდესაც სამოქალაქო ხელშეკრულების დადებისას მხარეები გვევლინებიან სამოქალაქო-სამართლებრივი უფლება-მოვალეობების მატარებლებად. განსახილველ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენს სსიპ -ვაზისა და ღვინის დეპარტამენტ "ს-სა" და შპს "ო. ხ-ას" შორის დადებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებითი ურთიერთობა. ხელშეკრულების საფუძველზე შპს "ო. ხ-ამ" იკისრა ვალდებულება, შესაბამისი საფასურის სანაცვლოდ განეხორციელებინა მომსახურება, კერძოდ, გაეშენებინა ვენახი ვაზის უნიკალური ჯიშის ("ალექსანდროული", "მუჯურეთული") ნერგებით. მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულების ერთ-ერთ მხარეს წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიული პირი, ხოლო თვით ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების ღია ტენდერის შედეგად დაიდო, ხელშეკრულება არ აღჭურავს პირს საჯარო-სამართლებრივი უფლება-მოვალეობებით, მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულება არ შეიცავს ადმინისტრაციული აქტის გამოცემის ან სხვა მმართველობითი ღონისძიების განხორციელების ვალდებულებას, ხელშეკრულების დადება სახელმწიფო შესყიდვის შედეგად, ღია ტენდერის ჩატარებით თავისთავად არ წარმოადგენს სადავო სამართალურთიერთობის ადმინისტრაციული კატეგორიისადმი მიკუთვნების საფუძველს. ამასთან, დავის საგანს წარმოადგენს არა სახელმწიფო შესყიდვის პროცედურა, არამედ ტენდერის შედეგად 02.12.04წ. დადებული #12 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის გამო მოსარჩელის სასარგებლოდ მოპასუხისათვის 34 996 ლარის დაკისრება, სანოტარო წესით დამოწმებული 02.12.04წ. იპოთეკის ხელშეკრულების საფუძველზე აუქციონის წესით საგარანტიო ნივთის -იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაცია, რეალიზაციის შედეგად სსიპ -ვაზისა და ღვინის დეპარტამენტი "ს-ის" მიმწოდებლისათვის გადარიცხული თანხის -34996 ლარის დაბრუნება. მოსარჩელის მოთხოვნას საფუძველად უდევს სამოქალაქო კოდექსის მე-300 (იპოთეკით დატვირთული ნივთის რეალიზაციის მოთხოვნა) და 301-ე (იძულებით გაყიდვა აუქციონზე) მუხლები. ამდენად, სადავო სამართალურთიერთობა არ გამომდინარეობს ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან (სასკ-ის 2.3 მუხლი). მხარეთა შორის არსებული სადავო სამართალურთიერთობა გამომდინარეობს ხელშეკრულებიდან, რომელიც ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადებულ სამოქალაქო ხელშეკრულებას განეკუთვნება, შესაბამისად, მის შესრულებასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავა, სსკ-ის მე-11 მუხლის, აგრეთვე, სასკ-ის 25¹ მუხლის, სზაკ-ის 65.2, 65¹ მუხლების საფუძველზე სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განსჯადია და სამოქალაქო სამართალწარმოების წესით უნდა იქნეს განხილული.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, მე-2, მე-5, 25¹, 26-ე მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11, 284-ე, 285-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. სსიპ -ვაზისა და ღვინის დეპარტამენტ "ს-ის" სარჩელი მოპასუხის -შპს "ო. ხ-ს" მიმართ განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას;

2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სამოქალაქო განსჯადობა

განჩინება

#ბს-1461-1395(გ-09)

17 დეკემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. მურუსიძე
პ. სილაგაძე

დავის საგანი: სასამართლოთა შორის განსჯადობა

აღწერილობითი ნაწილი:

2008 წლის 5 სექტემბერს საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის - ინდივიდუალური საწარმო "პ-ას" მიმართ.

სასარჩელო განცხადებაში აღნიშნული იყო, რომ ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის მიერ ვაშლის შეუფერხებელი რეალიზაციისთვის საქართველოს მთავრობის სარევიზიო ფონდიდან "სესხის გამოყოფის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2007 წლის 17 ოქტომბრის #602 განკარგულებით განისაზღვრა, რომ ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობისაგან ვაშლის შესყიდვის მიზნით საკრედიტო რესურსად უნდა გამოყოფილიყო 800 000 ლარი წლიური 8%-ის სარგებლის დარიცხვით. აღნიშნული განკარგულების საფუძველზე, 2007 წლის 19 დეკემბერს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ადმინისტრაციასა და ინდივიდუალურ საწარმო "პ-ას" შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც, ინდ. საწარმო "პ-ას" გამოეყო სესხი 800 000 ლარის ოდენობით. თანდართული გრაფიკის შესაბამისად განისაზღვრა სესხისა და მასზე დარიცხული სარგებლის დაბრუნების დრო. მოსარჩელის განმარტებით, იმის გამო, რომ ინდ. საწარმო "პ-ა" არაჯეროვნად ასრულებდა ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ მოითხოვა მოპასუხეზე სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ 372 259 ლარის გადახდის დაკისრება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 21 ოქტომბრის საოქმო განჩინებით საქმეში მესამე პირად ჩაბმულ იქნა ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ადმინისტრაცია.

2008 წლის 23 დეკემბერს ი/ს "პ-ამ" შეგებებული სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიმართ.

შეგებებული სარჩელის ავტორმა განმარტა, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ, ისევე, როგორც საქართველოს მთავრობამ და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ადმინისტრაციამ ვერ უზრუნველყვეს საპასუხო მოქმედების განხორციელება, ანუ მოსარჩელის ტერიტორიაზე ვაშლის შესყიდვა, ვინაიდან ტერიტორია ამჟამად დროებით ოკუპირებულია უცხო სახელმწიფოს მიერ. შეგებებული სარჩელის ავტორმა აღნიშნა, რომ მას უფლება ჰქონდა, უარი ეთქვა ვალდებულების შესრულებაზე, ვიდრე არ იქნებოდა შესრულებული შესაბამისი საპასუხო მოქმედება საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და ყოფილ სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ადმინისტრაციის მიერ. შესაბამისად, მოითხოვა მოპასუხეებისათვის შეცვლილ გარემოებებზე ხელშეკრულების მისადაგების დავალდებულება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 26 დეკემბრის განჩინებით ი/ს "პ-ას" შეგებებული სარჩელი არ იქნა მიღებული წარმოებაში.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 29 დეკემბრის საოქმო განჩინებით საქმეში მესამე პირად ჩაბმულ იქნა საქართველოს მთავრობა.

ინდივიდუალურმა საწარმომ "პ-ამ" კერძო საჩივრით გაასაჩივრა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 26 დეკემბრის განჩინება შეგებებული სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ და მისი გაუქმება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 27 თებერვლის განჩინებით ი/ს "პ-ას" კერძო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა მოცემულ საქმეზე

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 26 დეკემბრის განჩინება და საქმე შეგებებული სარჩელის წარმოებაში მიღების საკითხის განხილვისათვის დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

2009 წლის 21 მაისს შეგებებული სარჩელის ავტორმა დააზუსტა მოთხოვნა და საბოლოოდ მოითხოვა, საქართველოს მთავრობას დავალებოდა 2007 წლის 17 ოქტომბრის #602 განკარგულებაში ცვლილებების შეტანა და ვაშლის შესყიდვის არეალი გაზრდილიყო შემდეგნაირად: "ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისა და გორის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მცხოვრები მოსახლეობა, მათ შორის, დევნილები", ასევე, მოითხოვა საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ადმინისტრაციას მიესადაგებინათ ხელშეკრულება შეცვლილ გარემოებებს ვადებისა და სხვა პირობების კორექტირების მიზნით, მათ შორის არეალის გაფართოების მხრივ ნაცვლად "ყოფილი სამხრეთ ოსეთის ოლქის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობისა" ჩაწერილიყო "ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისა და გორის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მცხოვრები მოსახლეობისა, მათ შორის დევნილები" და განეცხადებინათ თანხმობა ადმინისტრაციული ხელშეკრულების შესაცვლელად.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 29 მაისის განჩინებით ინდ. საწარმო "პ-ას" სასარჩელო მოთხოვნა -დავალებოდა საქართველოს მთავრობას 2007 წლის 17 ოქტომბრის #602 განკარგულებაში ცვლილების შეტანა -დაუშვებლად იქნა ცნობილი და საქმის წარმოება შეგებებული სარჩელის ამ ნაწილში შეწყდა. ამავე განჩინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სარჩელი მოპასუხე ინდ. საწარმო "პ-ას" მიმართ თანხის დაკისრების თაობაზე, ასევე ინდივიდუალური საწარმო "პ-ას" შეგებებული სარჩელი, მოპასუხეების საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ადმინისტრაციის მიმართ ხელშეკრულების შეცვლილ გარემოებათა მისადაგებისა და ხელშეკრულების შესაცვლელად თანხმობის დავალებების თაობაზე გამოეყო ცალკე წარმოებად და განსჯადობით განსახილველად გადაეცა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ განმარტა, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ადმინისტრაციასა და ინდივიდუალური საწარმო "პ-ას" შორის დადებული სესხის ხელშეკრულება, არ გამოდინარეობდა ადმინისტრაციული ორგანოს საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნიდან, რის გამოც, ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულებიდან გამომდინარე, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ძირითადი თანხისა და მასზე დარიცხული სარგებლის ანაზღაურების ვალდებულება, არ წარმოადგენდა ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველი დავის საგანს და სადავო სახელშეკრულებო ურთიერთობებიდან კონტრაქტებს შორის წარმოშობილი ვალდებულების შესრულების საკითხი განხილული და გადაწყვეტილი უნდა ყოფილიყო სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 25 სექტემბრის განჩინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სარჩელი მოპასუხის -ინდივიდუალური საწარმო "პ-ას" მიმართ თანხის დაკისრების შესახებ, ასევე, ინდივიდუალური საწარმო "პ-ას" შეგებებული სარჩელი მოპასუხეების -საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ადმინისტრაციის მიმართ ხელშეკრულების შეცვლილ გარემოებებთან მისადაგებისა და ხელშეკრულების შესაცვლელად თანხმობის დავალებების თაობაზე თანდართული მასალებით, გადაეგზავნა საკასაციო სასამართლოს სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განმარტებით, სწორედ უშუალო საჯარო სამართლებრივი უფლებამოსილებების -კონკრეტული სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის განხორციელების მიზნით იქნა დადებული აღნიშნული სადავო ხელშეკრულება, შესაბამისად, ხსენებული ხელშეკრულების შესრულების საკითხთან დაკავშირებით იყო აღძრული სარჩელი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ, ხოლო შეგებებული სარჩელი ი/ს "პ-ას" მიერ.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 25¹ მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სახელშეკრულებო დავების გადაწყვეტა ხდება საერთო სასამართლოებისათვის მიმართვის გზით. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით კი ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებასთან, შესრულებასა და შეწყვეტასთან დაკავშირებული დავები განიხილება საერთო სასამართლოების მიერ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით. ამრიგად, სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ მიიჩნია, რომ მოცემული დავა წარმოადგენდა ადმინისტრაციული ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებულ სახელშეკრულებო დავას, შესაბამისად, იგი მიეკუთვნებოდა ადმინისტრაციულ დავათა კატეგორიას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქმე სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე დავის გადასაწყვეტად გადმოეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიისა და თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განჩინებების კანონიერება-დასაბუთებულობა, რის შემდეგაც მივიდა დასკვნამდე, რომ მოცემული საქმის განხილვაზე უფლებამოსილ სასამართლოს წარმოადგენს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლში მოცემულია სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციული საქმეების ჩამონათვალი, კერძოდ, ხსენებული მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ამ კოდექსით დადგენილი წესით საერთო სასამართლოში განიხილება დავა იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ხოლო იმავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანს შეიძლება წარმოადგენდეს: ა) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან; ბ) ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა; გ) ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე; დ) აქტის არარად აღიარება, უფლების ან სამართალურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა. აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილი განსაზღვრავს ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველ საქმეთა კატეგორიებს, კერძოდ, ადგენს, თუ რა შეიძლება წარმოადგენდეს სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანს, ანუ რომელი საქმეები შეიძლება იქნეს განხილული ადმინისტრაციული იურისდიქციის სასამართლოს მიერ ადმინისტრაციული სამართალწარმოების ფარგლებში. ამავე ნორმის "ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის "ზ" ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით ფიზიკურ ან იურიდიულ პირთან, აგრეთვე სხვა ადმინისტრაციულ ორგანოსთან დადებული სამოქალაქო სამართლებრივი ხელშეკრულება.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია კანონიერი ინტერესების დასაკმაყოფილებლად ისარგებლოს კერძო სამართლის საშუალებით, უკეთუ აღნიშნული უფრო მისაღებია მისთვის. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 25¹ მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადებული კერძო-სამართლებრივი ხელშეკრულების დადებასთან, შესრულებასა და შეწყვეტასთან დაკავშირებით დავები განიხილება სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საჯარო-სამართლებრივი და კერძო-სამართლებრივი ხელშეკრულების გამიჯვნისთვის არსებითი მნიშვნელობა ენიჭება არა ხელშეკრულების მონაწილეთა სტატუსს, არამედ ხელშეკრულების მიზანს. ადმინისტრაციული ხელშეკრულების დეფინიციის ძირითად ელემენტს შეადგენს ხელშეკრულების დადება საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით. ამდენად, ხელშეკრულების სამართლებრივ ბუნებას განსაზღვრავს ხელშეკრულების მიზანი. ხელშეკრულების მიზანი განისაზღვრება მისი შინაარსიდან გამომდინარე. გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ხელშეკრულების მხარეების მიერ ნაკისრი ვალდებულებების, ხელშეკრულების დადების შედეგად წარმოშობილი უფლება-მოვალეობების შინაარსს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ განსახილველ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენს ინდ. საწარმო "პ-ასა" და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შორის დადებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებითი ურთიერთობა. ხელშეკრულების საფუძველზე ი/ს "პ-ამ" იკისრა ვალდებულება, შესაბამისი საფასურის სანაცვლოდ განეხორციელებინა მომსახურება, კერძოდ, ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ადმინისტრაციის მიერ, საკრედიტო რესურსად გამოყოფილი 800 000 ლარი გაიცა ინდივიდუალურ საწარმო "პ-აზე" -ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობისგან ვაშლის შესყიდვის მიზნით.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, იმის მიუხედავად, რომ ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების, ღია ტენდერის შედეგად დაიდო, ხელშეკრულება არ აღჭურავს პირს საჯარო-სამართლებრივი უფლება-მოვალეობით, მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულება არ შეიცავს ადმინისტრაციული აქტის გამოცემის ან სხვა მმართველობითი ღონისძიების განხორციელების ვალდებუ-

ლებას, ხელშეკრულების დადება სახელმწიფო შესყიდვის შედეგად ღია ტენდერის ჩატარებით თავისთავად არ წარმოადგენს სადავო სამართალური თვითობის ადმინისტრაციული კატეგორიისადმი მიკუთვნების საფუძველს.

საკასაციო სასამართლო იზიარებს, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია გამოიყენოს, როგორც საჯაროსამართლებრივი, ასევე კერძოსამართლებრივი ფორმები, მათ შორის, დადოს როგორც ადმინისტრაციული, ისე კერძოსამართლებრივი ხელშეკრულება. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ადმინისტრაციული და სამოქალაქოსამართლებრივი ხელშეკრულების გამოიჯენა უნდა განხორციელდეს კონკრეტული ხელშეკრულებათა მიზნის დადების გზით.

საკასაციო სასამართლო ასევე დაეთანხმა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მსჯელობას იმის შესახებ, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულის ადმინისტრაციასა და ინდივიდუალური საწარმო "კ-ას" შორის დადებული სესხის ხელშეკრულება, არ გამომდინარეობდა ადმინისტრაციული ორგანოს საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნიდან, რის გამოც, ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულებიდან გამომდინარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ძირი თანხისა და მასზე დარიცხული სარგებლის ანაზღაურების ვალდებულება, არ წარმოადგენდა ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველი დავის საგანს და სადავო სახელშეკრულებო ურთიერთობებიდან კონტრაქტებს შორის წარმოშობილი ვალდებულების შესრულების საკითხი განხილული და გადაწყვეტილი უნდა ყოფილიყო სამოქალაქო სამართალწარმოების წესით. გარდა ამისა, შეგებებული სარჩელის მოთხოვნას წარმოადგენდა ზემოხსენებული ხელშეკრულების შეცვლილი გარემოებათა მისადაგების დავალდებულება, რაც ასევე სამოქალაქო სამართალწარმოების წესით უნდა განხილულიყო.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მხარეთა შორის არსებული სადავო სამართალური თვითობა გამომდინარეობს ხელშეკრულებიდან, რომელიც ადმინისტრაციულ ორგანოს მიერ დადებულ სამოქალაქო ხელშეკრულებას განეკუთვნება, რის გამოც საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე საქმე განსჯადობით განსახილველად უნდა გადაეცეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. ი/ს "კ-ას" სარჩელის გამო, მოპასუხეების -საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, საქართველოს მთავრობასა და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ადმინისტრაციის მიმართ, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისა და ხელშეკრულების შეცვლილ გარემოებებთან მისადაგების დავალდებულების თაობაზე, განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას;

2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;

3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საერთო განსჯადობა

განჩინება

#ბს-1477-1410(გ-09) 17 დეკემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. ქადაგიძე,
პ. სილაგაძე

დავის საგანი: სასამართლოთა შორის განსჯადობა

აღწერილობითი ნაწილი:

2009 წლის 20 ივლისს საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ სასარჩელო განცხადებით მიმართა სიღნაღის რაიონულ სასამართლოს, მოპასუხის - კ. ბ-შვილის მიმართ.

მოსარჩელემ სასარჩელო განცხადებაში აღნიშნა, რომ მოპასუხემ კ. ბ-შვილმა 2005 წლის 1 მარტს საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთან გააფორმა კონტრაქტი და კონტრაქტით გათვალისწინებული პირობების თანახმად, დაინიშნა სამხედრო-საკონტრაქტო-პროფესიულ სამსახურში.

მოსარჩელის განმარტებით, საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2006 წლის 4 სექტემბრის #1973 ბრძანებით, კ. ბ-შვილი 2006 წლის 8 აგვისტოდან დათხოვნილ იქნა სამხედრო სამსახურიდან კონტრაქტის პირობების დარღვევის გამო.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ მის სასარგებლოდ კ. ბ-შვილისგან ჯარიმის - 17514,36 ლარის, ზიანის საკომპენსაციო თანხის - 5872,44 ლარისა და პირგასამტეხლოს - 17514,36 ლარის 0,2%-ის 2006 წლის 15 სექტემბრიდან ყოველდღიურად გადახდის დაკისრება მოითხოვა.

სიღნაღის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 23 ივლისის განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელით აღძრული ადმინისტრაციული საქმე გადაეგზავნა განსჯად სასამართლოს - თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

რაიონულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ იმ შემთხვევაში, თუ დადგენილი არ იყო ერთმნიშვნელოვნად განსჯადი სასამართლო, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 21-ე მუხლის შესაბამისად, მხარეებს შეეძლოთ შეთანხმების გზით დაედგინათ სასამართლოს განსჯადობა, რის შესახებაც შეთანხმება ფორმდებოდა წერილობით.

რაიონულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ სარჩელზე თანდართული "თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ქვედანაყოფებში სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ" ხელშეკრულების 8.4 პუნქტის მიხედვით, ხელშეკრულების 8.3 მუხლში აღნიშნულ შემთხვევაში, სამხედრო მოსამსახურის საცხოვრებელი ადგილის მიუხედავად, განსჯად სასამართლოდ ითვლებოდა სამინისტროს ადგილსამყოფელი რაიონული სასამართლო ან მისი უფლებამონაცვლე. ამდენად, სიღნაღის რაიონულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ, ვინაიდან საქართველოს თავდაცვის სამინისტროს იურიდიულ მისამართად სარჩელში მითითებული იყო ქ. თბილისი, ... ქ. #20, სარჩელი წარდგენილი იქნა არაგანსჯადად სასამართლოში.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 20 ოქტომბრის განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი მოპასუხე კ. ბ-შვილის მიმართ ჯარიმის, ზიანისა და პირგასამტეხლოს ანაზღაურების შესახებ, განსჯადობის გადასაწყვეტად გადაეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ მიიჩნია, რომ მოცემული საქმე არ შეიძლება ყოფილიყო განხილული თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ, ვინაიდან კონკრეტულ შემთხვევაში არ არსებობდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 21-ე მუხლის გამოყენების საპროცესო საფუძვლები, რადგან იგი ითვალისწინებდა მხარეთა შეთანხმების გზით განსჯადი სასამართლოს დადგენის შესაძლებლობას იმ შემთხვევაში, თუ არ იყო დადგენილი ერთმნიშვნელოვნად განსჯადი სასამართლო.

საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლით დადგენილი საერთო განსჯადობის პრინციპიდან გამომდინარე არ არსებობდა საპროცესო საფუძველი თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელის განხილვა-გადაწყვეტისთვის. ამდენად, საქალაქო სასამართლომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად საქმე გადმოაგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიისა და სიღნაღის რაიონული სასამართლოს განჩინებების კანონიერება-დასაბუთებულობა, რის შემდეგაც მივიდა დასკვნამდე, რომ მოცემული საქმის განხილვაზე უფლებამოსილ სასამართლოს წარმოადგენს სიღნაღის რაიონული სასამართლო, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია, განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. აღნიშნული მუხლის საერთო განსჯადობას განსაზღვრავს და ერთნაირად ვრცელდება ნებისმიერ დავაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამავე კოდექსით განსხვავებული წესია დადგენილი.

საკასაციო სასამართლო იზიარებს და ეთანხმება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მსჯელობას, იმის თაობაზე, რომ ვინაიდან სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ ხელშეკრულების 8.4 პუნქტით მხარეები შეთანხმდნენ, რომ სამხედრო სამსახურის მიერ სამინისტროსათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე დავას განიხილავდა სამინისტროს ადგილსამყოფელი რაიონული სასამართლო ან მისი უფლებამონაცვლე, ამიტომ აღნიშნული დათქმა არ შეიძლება გახდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ მოცემული საქმის განხილვისა და გადაწყვეტის საფუძველი, ვინაიდან იგი ეწინააღმდეგება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამისად დადგენილი განსჯადობის ზოგად დებულებებს.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ აღნიშნული სახელშეკრულებო დათქმა ვერ შეცვლის სამოქალაქო და ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობით დადგენილ დებულებებს განსჯადობის თაობაზე. სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა ერთმნიშვნელოვნად აღიარებს, რომ საქართველოს საერთო სასამართლოები საქმეებს განიხილავენ ამ კოდექსით დადგენილი წესით და მათი განხილვა ხორციელდება საპროცესო კოდექსის ნორმათა შესაბამისად, რაც გულისხმობს, რომ სასამართლოს მიერ საქმის განხილვისას უპირატესად მოქმედებს ამ კოდექსით დადგენილი ნორმები და მხარეთა მიერ დადებული შეთანხმების საფუძველზე მათი შეცვლა დაუშვებელია (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის პირველი მუხლი).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საკასაციო სასამართლო იზიარებს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მსჯელობას იმის თაობაზე, რომ კონკრეტულ შემთხვევაში არ არსებობდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 21-ე მუხლის გამოყენების საპროცესო საფუძველები, ვინაიდან ის ითვალისწინებდა მხარეთა შეთანხმების გზით განსჯადი სასამართლოს დადგენის შესაძლებლობას იმ შემთხვევაში, თუ არ იქნებოდა დადგენილი ერთმნიშვნელოვნად განსჯადი სასამართლო. მოცემულ შემთხვევაში კი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლით დადგენილი საერთო განსჯადობის პრინციპიდან გამომდინარე არ არსებობს საპროცესო საფუძველი თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელის განხილვისათვის.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სარჩელი ტერიტორიული განსჯადობის გათვალისწინებით არ წარმოადგენს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განსჯადს, რის გამოც საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი მოპასუხე კ. ბ-შვილის მიმართ, მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს სიღნაღის რაიონულ სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი მოპასუხე კ. ბ-შვილის მიმართ განსახილველად დაექვემდებაროს სიღნაღის რაიონულ სასამართლოს;
2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ტერიტორიული განსჯადობა

განჩინება

#ბს-1018-976 (გ-09) 7 დეკემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
პ. სილაგაძე

დავის საგანი: სასამართლოთა შორის განსჯადობა

აღწერილობითი ნაწილი:

2009 წლის 8 ივნისს ნ. ჩ-შვილმა განცხადებით მიმართა გორის რაიონულ სასამართლოს და მოითხოვა გორის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 27 მაისის განჩინების გაუქმება, რომლითაც შეჩერდა კასპის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 15 ოქტომბრის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულება დავის განხილვამდე. მანვე მოითხოვა სააღსრულებო ფურცლის გაცემა 2005 წლის 20 აპრილის სააღსრულებო ფურცლის წარმოების გაგრძელების შესახებ.

გორის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 10 ივნისის განჩინებით ნ. ჩ-შვილის განცხადება განსჯადობით გადაეგზავნა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას. გორის რაიონულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ნ. ჩ-შვილის განცხადება უნდა შეფასებულიყო მისი შინაარსის მიხედვით, კერძოდ, მიუხედავად იმისა, რომ განცხადების მიზანი იყო განჩინებით დავის საბოლოო გადაწყვეტამდე შეჩერებული სააღსრულებო წარმოების განახლება და ამის თაობაზე სააღსრულებო ფურცლის გაცემა, იგი წარმოადგენდა გორის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 27 მაისის განჩინებაზე კერძო საჩივარს, რომლის განხილვის უფლებამოსილებაც პირველი ინსტანციის სასამართლოს აღარ გააჩნდა. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, გორის რაიონულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ნ. ჩ-შვილის განცხადება განსჯადობით უნდა გადაგზავნოდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

2009 წლის 30 ივნისის განჩინებით თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა არ დაეთანხმა რაიონული სასამართლოს მიერ განცხადების კერძო საჩივრად მიჩნევას და განმარტა, რომ ნ. ჩ-შვილმა კერძო საჩივრით ერთხელ უკვე გაასაჩივრა გორის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 27 მაისის განჩინება, ხოლო განმეორებით კერძო საჩივრის შეტანას სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა არ ითვალისწინებს. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით საკითხი განხილული უნდა იქნეს გორის რაიონული სასამართლოს მიერ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-7, 263-ე და 267¹ მუხლებით გათვალისწინებული კომპეტენციის ფარგლებში, ვინაიდან იგი წარმოადგენს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებულ საკითხს. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ გორის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 27 მაისის განჩინებით შეჩერებულ იქნა კასპის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება. მისი განახლებისა და აღსრულების შეჩერების შესახებ განჩინების გაუქმების საკითხი უნდა გადაწყვიტოს გადაწყვეტილების მიმღებმა სასამართლომ, ამჟამად - გორის რაიონულმა სასამართლომ სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 30 ივნისის განჩინებით ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველ-

ზე, საქმე განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად გადმოეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გორის რაიონულ სასამართლოსა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას შორის განსჯადობის თაობაზე წამოჭრილი დავის გაცნობის შედეგად მიიჩნევს, რომ ნ. ჩ-შვილის განცხადება განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს გორის რაიონულ სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ გორის რაიონული სასამართლო განიხილავდა ტ. ლ-შვილის სასარჩელო განცხადებას მოპასუხის - შიდა ქართლის სააღსრულებო ბიუროს მიმართ, 2003 წლის 10 ოქტომბრის აუქციონის, ასევე 2003 წლის 24 ოქტომბრის ქონების ნატურით გადაცემის ოქმისა და განკარგულების ბათილად ცნობის თაობაზე. გორის რაიონულ სასამართლოს 2005 წლის 23 მაისის განცხადებით მიმართა ტ. ლ-შვილმა და განმარტა, რომ შიდა ქართლის სააღსრულებო ბიუროს წარმოებაში იყო საქმე მისი გამოსახლების შესახებ, რომელიც დადგენილი იყო კასპის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილებით. განმცხადებელმა მიიჩნია, რომ აღნიშნული გადაწყვეტილების აღსრულება გამოიწვევდა გამოუსწორებელ შედეგს და მოითხოვა შიდა ქართლის სააღსრულებო ბიუროს წარმოებაში არსებული საქმის შეჩერება ადმინისტრაციული დავის განხილვამდე.

გორის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 27 მაისის განჩინებით ტ. ლ-შვილის განცხადება დაკმაყოფილდა. შეჩერდა კასპის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 15 ოქტომბრის გადაწყვეტილების აღსრულება ტ. ლ-შვილის საცხოვრებელი სახლიდან გამოსახლების თაობაზე. აღნიშნულ განჩინებაზე ნ. ჩ-შვილის მიერ წარდგენილ იქნა კერძო საჩივარი, რომელიც საბოლოოდ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 29 იანვრის განჩინებით არ დაკმაყოფილდა. უცვლელად დარჩა გორის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 27 მაისისა და 2006 წლის 20 იანვრის განჩინებები.

ამავდროულად გორის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 5 იანვრის გადაწყვეტილებით ტ. ლ-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდა. ბათილად იქნა ცნობილი ნ. ჩ-შვილისათვის ტ. ლ-შვილის მიერ თანხის (2000 აშშ დოლარის) გადახდისა და 2003 წელს ქონების ნატურით გადაცემასთან დაკავშირებით წარმოებულ სააღსრულებო წარმოების საქმეზე (სააღსრულებო ფურცელი #2/151) შიდა ქართლის სააღსრულებო ბიუროს 2003 წლის 10 ოქტომბრის აუქციონი (მეორე), 203 წლის 24 ოქტომბრის ქონების ნატურით გადაცემის შესახებ ოქმი და განკარგულება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 25 სექტემბრის გადაწყვეტილებით ნ. ჩ-შვილის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა. გორის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 5 იანვრის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება. ტ. ლ-შვილის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 25 სექტემბრის გადაწყვეტილებაზე ტ. ლ-შვილის მიერ წარდგენილი საკასაციო საჩივარი საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 2 აპრილის განჩინებით დატოვებულ იქნა განუხილველად, რითაც ძალაში დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 25 სექტემბრის გადაწყვეტილება.

2009 წლის 8 ივნისს ნ. ჩ-შვილმა განცხადებით მიმართა გორის რაიონულ სასამართლოს და გორის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 27 მაისის განჩინების გაუქმება მოითხოვა, რომლითაც შეჩერდა კასპის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 15 ოქტომბრის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულება დავის განხილვამდე. მანვე მოითხოვა 2005 წლის 20 აპრილის სააღსრულებო წარმოების გაგრძელების შესახებ სააღსრულებო ფურცლის გაცემა.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ნ. ჩ-შვილის განცხადება წარმოადგენს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების შეჩერების განახლების მოთხოვნას. "სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" საქართველოს კანონი ითვალისწინებს აღსრულების შეჩერების წესს. ამავე კანონის 33-ე მუხლის (იმ დროს მოქმედი რედაქციით) თანახმად, კრედიტორის განცხადების გარეშე სააღსრულებო წარმოების შეჩერება შესაძლებელი იყო მხოლოდ სასამართლოს განჩინების საფუძველზე. დღეისათვის, როდესაც განმცხადებლის მოთხოვნაა სააღსრულებო წარმოების განახლება, ამავე კანონის მე-20 მუხლის (დღეს მოქმედი რედაქციით) შესაბამისად, შეჩერებული სააღსრულებო წარმოება შეიძლება განახლდეს მხოლოდ სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე, რაც თავისთავად გულისხმობს თავდაპირველად სააღსრულებო წარმოების შესაჩერებლად მიღებული განჩინების სასამართლოს მიერ გაუქმებას.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს გორის რაიონული სასამართლოს მოსაზრებას, რომ ნ. ჩ-შვილის განცხადება, თავისი შინაარსიდან გამომდინარე, არის კერძო საჩივარი, რაც განხილულ უნდა იქნეს სააპელაციო სასამართლოს მიერ. როგორც ზემოთ აღინიშნა განმცხადებლის მიზანია კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების განახლება. აღნიშნულ საკითხს არეგულირებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 263-ე მუხლი, რომლის პირველი ნაწილიც მოიცავს პირდაპირ მითითებას იმ სასამართლოსადმი მიმართვის სავალდებულობაზე, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება.

როგორც საქმის მასალებიდან იკვეთება, გადაწყვეტილება, რომლის აღსრულების საკითხსაც ეხება წინამდებარე განცხადება, მიღებულია კასპის რაიონული სასამართლოს მიერ სამოქალაქო საქმეზე.

საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო პალატის მოსაზრებას, რომ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის #150 გადაწყვეტილების მე-13 მუხლზე დაყრდნობით, აღნიშნული გადაწყვეტილების განმხილველ სასამართლოს წარმოადგენს გორის რაიონული სასამართლო, რომელმაც განცხადება უნდა განიხილოს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით,

ზემოაღნიშნული საპროცესო ნორმების მხედველობაში მიღებით საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ნ. ჩ-შვილის განცხადება განსახილველად უნდა დაექვემდებაროს გორის რაიონულ სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2-ე, 26.3-ე მუხლებით და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11, 390-ე, 399-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. საქართველოს ნ. ჩ-შვილის განცხადება განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს გორის რაიონულ სასამართლოს;
2. საქმე გადაეცეს განსჯად სასამართლოს;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

2. დისპოზიციურობის პრინციპი

განჩინება

#ბს-102-102(კ-08)

15 აპრილი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. წევლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. ქადაგიძე,
მ. ვაჩაძე

დავის საგანი: ქმედების განხორციელების შესახებ

საკასაციო სასამართლომ საქმის მასალების გაცნობის შედეგად

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

ზ. ჯ-ავამ სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოში მოპასუხეების -ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტისა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ, რომლითაც მოითხოვა საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობის დამადასტურებელი ცნობისა და ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანის ახალი ნიშნის მოწმობის გაცემა.

საქმის გარემოებები:

მოსარჩელე 1992 წლის 19 ოქტომბრიდან 1993 წლის 27 სექტემბრამდე ირიცხებოდა აფხაზეთის ყოფილი სამხედრო პოლიციის სამმართველოში. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს აფხაზეთის სამხედრო პოლიციის სამმართველოს უფროსის #210 ბრძანებით ზ. ჯ-ავა ჩაირიცხა სამხედრო პოლიციის სამმართველოში მბეჭდავ-მემანქანედ. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სამხედრო კომისარიატის #210 ბრძანების საფუძველზე გაიცა ცნობა შეღავათების მიღების მიზნით.

სარჩელის ფაქტობრივი საფუძვლები:

საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს #134 ბრძანებით აღრიცხვიანობის წესრიგში მოყვანის მიზნით, გაუქმებული ნაწილებისა და შენაერთების პირადი შემადგენლობა, გარდა იმ სამხედრო მოსამსახურეებისა, რომლებიც დანიშნულნი იყვნენ შეიარაღებულ ძალებში თანამდებობებზე, სამხედრო ნაწილების გაუქმების დღიდან ორი თვის შემდეგ, მათ შორის, მოსარჩელეც, ითვლებოდნენ დათხოვნილად ნამდვილი სამხედრო სამსახურიდან და თადარიგში ჩარიცხულად 1994 წლის 6 ივლისიდან (ამონაწერი გაცემული 1995 წლის 17 მარტს). მოსარჩელე ასევე განმარტავს, რომ იგი ირიცხებოდა სამხედრო პოლიციის სიებში (ამონაწერი გაცემული 2006 წლის 3 ნოემბერს #კოლ/207), რასაც ადასტურებს სამხედრო პოლიციის ომის ვეტერანთა და ინვალიდთა კავშირის მიერ გაცემული საბრძოლო მოკვლევა. საქართველოს ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების 2006 წლის 19 მაისის მოწმობის ნიმუშების შესახებ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 17 დეკემბრის #1058 ბრძანებულებაში ცვლილებებისა და დამატებების თაობაზე #323 ბრძანებულების მე-2 პუნქტის შესაბამისად, ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების დამადასტურებელ ძველ ნიმუშებს იურიდიული ძალა შეუნარჩუნდათ 2006 წლის 1 აგვისტომდე. აღნიშნულიდან გამომდინარე, 2 აგვისტოდან პენსიის მიღება შეუჩერდათ იმ ვეტერანებს, რომლებსაც ხელახალი რეგისტრაცია არ გაუვლიათ ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტში. აღნიშნულს მოსარჩელე ადასტურებს საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფილიალის მიერ გაცემული ამონაწერით. მოსარჩელის განმარტებით, მან მიმართა ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტს და მოითხოვა ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანის მოწმობის გაცემა, ხოლო მათ მოსთხოვეს თავდაცვის სამინისტროდან წარმოედგინა საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობის დამადასტურებელი ცნობა. თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ჯ-1 პირადი შემადგენლობის დეპარტამენტმა უარი განაცხადა ასეთი ცნობის გაცემაზე იმ მოტივით, რომ მათ არ მოეპოვებათ ინფორმაცია ზ. ჯ-ავას საქართველოს შეიარაღებული ძალების რიგებში ჩარიცხვისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის აფხაზეთის რეგიონში მიმდინარე საომარ მოქმედებებში მონაწილეობის შესახებ.

სარჩელის სამართლებრივი საფუძვლები:

მოსარჩელის განმარტებით, იგი ვერ სარგებლობს იმ კანონიერი უფლებებით, რაც გათვალისწინებულია "ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ" საქართველოს კანონით. "ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ" საქართველოს კანონის მე-12, მე-13, მე-15 და მე-17 მუხლების თანახმად, ირდევსა მოსარჩელის ინტერესები და უფლებები, რის გამოც სარჩელი ექვემდებარება დაკმაყოფილებას.

საქალაქო სასამართლოს სხდომაზე მოპასუხე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელი სასარჩელო მოთხოვნას საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობის დამადასტურებელი ცნობის გაცემის ნაწილში არ დაეთანხმა და მოითხოვა ამ ნაწილში სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 11 მაისის გადაწყვეტილებით ზ. ჯ-ავას სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ - მოპასუხე ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტს დაევალა ზ. ჯ-ავაზე ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის გაცემა; ზ. ჯ-ავას სარჩელი მოპასუხე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობის დამადასტურებელი ცნობის გაცემის დავალების ნაწილში არ დაკმაყოფილდა, რაც საქალაქო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტები:

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს აფხაზეთის სამხედრო პოლიციის სამმართველოს უფროსის 1992 წლის 19 ოქტომბრის 210 ბრძანებით ზ. ჯ-ავა ჩაირიცხა სამხედრო პოლიციის სამმართველოში. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სამხედრო კომისარიატის მიერ 1999 წლის 21 დეკემბერს გაცემული #1218/1 ცნობის თანახმად, ზ. ჯ-ავა 1992 წლის ოქტომბრიდან 1993 წლის სექტემბრამდე იმყოფებოდა სამხედრო სამსახურში და არის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლის მონაწილე. აღნიშნული ცნობა გაცა შედავათების მისაღებად, რომელიც დადგენილია საქართველოს კანონმდებლობით, სამხედრო მოსამსახურეებისა და მათი ოჯახის წევრებისათვის. მთავარსარდლის 1994 წლის 6 ივლისის ბრძანებით გაუქმდა სამხედრო პოლიციის სამმართველო და მის დაქვემდებარებაში მყოფი შენაერთები და აღრიცხვიანობის წესრიგში მოყვანის მიზნით გაუქმებული ნაწილებისა და შენაერთების პირადი შემადგენლობა, გარდა იმ სამხედრო მოსამსახურეებისა, რომლებიც დანიშნულნი არიან შეიარაღებულ ძალებში თანამდებობებზე, სამხედრო ნაწილების გაუქმების დღიდან ორი თვის შემდეგ ჩაითვალნენ დათხოვნილად ნამდვილი სამხედრო სამსახურიდან და ჩარიცხნენ თადარიგში 1994 წლის 6 ივლისიდან. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საკვეუწყებო დაწესებულება ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტის 2006 წლის

3 ნოემბრის #კოლ/207 საპასუხო წერილიდან დგინდება, რომ ზ. ჯ-ავა ირიცხება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მცხოვრებლების საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობის ფაქტის დამდგენის კომისიის ოქმით გადმოცემულ სამხედრო პოლიციის სიებში. აფხაზეთის ომის ინვალიდთა და ვეტერანთა კავშირი "სოხუმის" 2006 წლის 2 მაისის #1/416 საბრძოლო მოკვლევიდან დგინდება, რომ აფხაზეთში მიმდინარე საომარი მოქმედებების დროს ზ. ჯ-ავა ირიცხებოდა აფხაზეთის ყოფილი სამხედრო პოლიციის სამმართველოში მბეჭდავის შტატში 1992 წლის 19 ოქტომბრიდან 1993 წლის 27 სექტემბრამდე. აღნიშნულს ადასტურებს აფხაზეთის ყოფილი სამხედრო პოლიციის სამმართველოს უფროსი, თადარიგის პოლკოვნიკი ს. ა-ია, ყოფილი სამხედრო პოლიციის სამმართველოს გულრიფშის ასეულის მეთაური, თადარიგის მაიორი ე. შ-ვა, სამხედრო პოლიციის შრომის ასეულის ზემდეგი ჯ. ქ-ვა. საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფილიალის 2006 წლის 10 ნოემბრის #25/70 საპასუხო წერილიდან ირკვევა, რომ ზ. ჯ-ავას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლის მონაწილის პენსიის ჩარიცხვა შეუწყდა ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტიდან ახალი ნიმუშის ვეტერანის მოწმობის წარმოდგენლობის გამო, ხოლო აღნიშნულის წარმოდგენის შემთხვევაში პენსია იქნება აღდგენილი. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტის 2006 წლის 13 დეკემბრის # ხ/2415 წერილის თანახმად, საქართველოს ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტის თავმჯდომარის 2004 წლის 20 ივლისის #175 ბრძანებით დამტკიცებული "ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანის პირადობის მოწმობის დამზადების და გაცემის წესის შესახებ" ინსტრუქციის მე-6 მუხლის "დ" პუნქტის "დ.ა." ქვეპუნქტის მიხედვით, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის საბრძოლო მოქმედებების ვეტერანმა უნდა წარმოადგინოს ძალოვანი უწყების კადრების ცნობა იმის შესახებ, რომ ფორმირება, რომელშიც პირი მსახურობდა (ჩარიცხული იყო) საბრძოლო მოქმედებების პერიოდში, იმყოფებოდა საბრძოლო მოქმედებების ზონაში და აღნიშნულ პირს მონაწილეობა აქვს მიღებული საბრძოლო ოპერაციებში. ეგრეთ წოდებული "ყვითელი ცნობა" წარმოადგენს თავდაცვის სამინისტროს მიერ გაცემულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რომელიც ადასტურებს პირის მონაწილეობას საბრძოლო მოქმედებებში. ადმინისტრაციული აქტის გამოცემა რეგულირდება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტის 2006 წლის 15 დეკემბრის # ჯ-2397 წერილის თანახმად, ვეტერანის სტატუსის მისანიჭებლად წარდგენილ უნდა იქნეს საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ჯ-1 პირადი შემადგენლობის დეპარტამენტის მიერ გაცემული ცნობა, რომელიც დაადასტურებს საბრძოლო მოქმედებებში ზ. ჯ-ავას მონაწილეობას. საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ჯ-1 პირადი შემადგენლობის დეპარტამენტის 2006 წლის 8 ნოემბრის #5910 საპასუხო წერილიდან ირკვევა, რომ საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის პირადი შემადგენლობის დეპარტამენტის 1992-1994 წლების საარქივო მასალებში არ მოიპოვება ინფორმაცია ზ. ჯ-ავას საქართველოს შეიარაღებული ძალების რიგებში ჩარიცხვისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის აფხაზეთის რეგიონში მიმდინარე საომარ მოქმედებებში მონაწილეობის შესახებ, რის შესახებაც არაერთხელ ეცნობა ზ. ჯ-ავას. ხოლო ზ. ჯ-ავას მიერ წარმოდგენილი საქართველოს თავდაცვის სამინისტროს აფხაზეთის სამხედრო პოლიციის სამმართველოს უფროსის 1992 წლის 19 ოქტომბრის #210 ბრძანების ამონაწერი არც შინაარსითა და არც რეგისტრაციის თარიღით არ შეესაბამება საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის პირადი შემადგენლობის დეპარტამენტის საარქივო მასალებში არსებულ ამავე წლის ამავე ნომრით რეგისტრირებულ ბრძანებას.

საქალაქო სასამართლომ გამოიყენა "ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის დამზადებისა და გაცემის წესის შესახებ ინსტრუქციის" მე-6 მუხლის "დ" ქვეპუნქტი და განმარტა, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საბრძოლო მოქმედებების ვეტერანმა პირადობის მოწმობის დასამზადებლად საჭირო ანკეტის შევსებისათვის უნდა წარმოადგინოს შემდეგი საბუთები: ძალოვანი უწყებების კადრების სამსახურის ცნობა იმის შესახებ, რომ ფორმირება, რომელშიც პირი მსახურობდა (ჩარიცხული იყო), საბრძოლო მოქმედების პერიოდში საბრძოლო მოქმედებების ზონაში იმყოფებოდა და მონაწილეობდა საბრძოლო ოპერაციებში. ცნობას დართული უნდა ჰქონდეს მისი გაცემის საფუძველი (ფორმირებაში სამსახურის, ჩარიცხვის ან ამორიცხვის შესახებ, ბრძანებიდან ამონაწერი, მივლინების შესახებ ბრძანებიდან ამონაწერი, საბრძოლო მოკვლევა, სასარჩელო წესით განხილვის შედეგად დეპარტამენტის წარმომადგენლის მონაწილეობით მიღებული სასამართლო გადაწყვეტილება. დეპარტამენტის ვეტერანობის დამდგენი კომისიის გადაწყვეტილება). თუ სათანადო ბრძანება არ იყო გაფორმებული და არ მოიპოვება, საჭიროა წარმოდგენილ იქნეს ცნობა იმ უწყებიდან, რომლითაც დადასტურდებოდა ასეთი საბუთების მიღების ან მათი მიღების შეუძლებლობა. ასეთ შემთხვევაში უნდა ჩატარდეს საბრძო-

ლო მოკვლევა, რომლის დროსაც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობა დამტკიცდება სხვა მტკიცებულებებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტის ქმედება უკანონოა, ვინაიდან ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანის სტატუსი მოსარჩელო ზ. ჯ-ავას უკვე მინიჭებული აქვს თავად მოპასუხე მხარისაგან, მის მოთხოვნას წარმოდგენდა მხოლოდ ვადაგასული მოწმობის გამოცვლა და არა გაუქმებული სტატუსის აღდგენა, ვინაიდან აღნიშნულს ადგილი არ ჰქონდა, კერძოდ, მოპასუხე მხარის მიერ ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანის სტატუსის ჩამორთმევა არ მომხდარა და შესაბამისად, ახალი მოწმობის გაცემა უსაფუძვლო და კანონსაწინააღმდეგო იყო, რამდენადაც საბრძოლო მოკვლევის წარმოება საქართველოს თავდაცვის სამინისტროს არ ევალუბოდა.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2001 წლის 18 ივლისის #155 ბრძანებით დატკიცებული იყო საბრძოლო მოკვლევის წარმოების წესის შესახებ დებულება. ამავე დებულების მე-14 ნაწილის თანახმად, საბრძოლო მოკვლევით დადგენილი ფაქტების საფუძველზე, სამხედრო მოსამსახურეებს, რეზერვისტებსა და მოქალაქეებს შესაძლებელია დაუდასტურდეთ: ა) შეიარაღებული ძალების რიგებში ჩარიცხვა-ამორიცხვა; ბ) საბრძოლო მოქმედების დროს (თავდაცვის მინისტრის, მათი მოადგილეების, კორპუსის მეთაურების) მიერ მათთვის სიტყვიერად მინიჭებული სამხედრო წოდებები. საქმეში წარმოდგენილი საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2007 წლის 3 აპრილის #158 ბრძანების თანახმად ძალადაკარგულად იქნა გამოცხადებული "საბრძოლო მოკვლევის წარმოების წესის შესახებ" დებულების დამტკიცების თაობაზე საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2001 წლის 18 ივლისის #155 ბრძანება. შესაბამისად, მოსარჩელო ზ. ჯ-ავას სასარჩელო მოთხოვნა ამ ნაწილში, როგორც უსაფუძვლო, არ ექვემდებარებოდა დაკმაყოფილებას.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტმა, რომელმაც მოითხოვა მისი გაუქმება და ზ. ჯ-ავას სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა, შემდეგი მოტივით:

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2004 წლის 21 დეკემბრის #351/ნ ბრძანებულების (რომლითაც დამტკიცებულია დეპარტამენტის დებულება) მე-2 მუხლის "ე" პუნქტის თანახმად დეპარტამენტის საქმიანობის სფეროს წარმოდგენს "ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი პირების ზუსტი აღრიცხვა და მათზე ვეტერანის ერთიანი ნიშნის მოწმობის გაცემა. "ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლით, აღნიშნული კანონის დებულებების შესრულების სისტემური კონტროლი ევალუბა ვეტერანთა დეპარტამენტს. შესაბამისად, ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტი ვეტერანის სტატუსს კი არ განსაზღვრავს, არამედ აღრიცხავს სხვადასხვა კატეგორიის ვეტერანებს და გასცემს მათზე შესაბამის მოწმობებს, ასევე, ევალუბა ამ საქმის სისტემური კონტროლი და მონიტორინგი, ე.ი. შეუძლია ნებისმიერ დროს დააყენოს ექვემდებარებული მოწმობის გაცემის საფუძვლიანობა და მოსთხოვოს ვეტერანობის მაძიებელს დამატებით საბუთების წარმოდგენა, რასაც ადგილი ჰქონდა კონკრეტულ შემთხვევაში.

ამასთან, საქმეში არ მოიპოვება ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტის წერილობითი უარი, რაც განსაზღვრულია ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 23-ე და 24-ე მუხლებში. სასამართლომ უარყოფით პასუხად მიიჩნია დეპარტამენტის მიერ თ. ხ-შვილისთვის გაგზავნილი 2006წ. 13 დეკემბრის #ხ/2415 წერილი. განცხადება, რომელიც საფუძვლად დაედო დეპარტამენტის აღნიშნულ წერილს, თ. ხ-შვილმა დეპარტამენტში შემოიტანა როგორც მოქალაქემ და არა როგორც ზ. ჯ-ავას წარმომადგენელმა, რის გამოც არ არსებობს პირდაპირ ზიანი, რომელიც მიადგა მოსარჩელის ინტერესებს, რასაც ასევე დისპოზიციურად ითხოვს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 23-24-ე მუხლები. ამასთან, მოსარჩელის მიერ დარღვეულია ერთიანი გასაჩივრების ვადა, ვინაიდან თ. ხ-შვილმა წერილი ჩაიბარა 14.12.2006წ, ხოლო სარჩელი დეპარტამენტის მიმართ აღძრულია 13.04.2007წ.

სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე აპელანტის ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტის წარმომადგენელმა განმარტა, რომ სააპელაციო საჩივრის განაცხადს (გასაჩივრების ფარგლებს) წარმოდგენდა სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილება, საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მოსარჩელის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტის მიმართ სასარჩელო მოთხოვნის ნაწილში.

მოწინააღმდეგე მხარის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელმა განმარტა, რომ საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ სარჩელის მოთხოვნის ნაწილში იყო დასაბუთებული, ამ ნაწილში გადაწყვეტილება არ გასაჩივრებულა, რის გამოც მოითხოვა მისი უცვლელად დატოვება.

სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 5 ნოემბრის გადაწყვეტილებით ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების შეცვლით სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დაევალა მოსარჩელეზე საქართველოს შეიარაღებული ძალების რიგებში ჩარიცხვისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის აფხაზეთის რეგიონში საბრძოლო ოპერაციებში მისი მონაწილეობის შესახებ ცნობის გაცემა, ხოლო ზ. ჯ-ავას სარჩელი ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტის მიმართ ვეტერანის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის გაცემის თაობაზე არ დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ იქნა შემდეგი ფაქტები:

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 11 მაისის გადაწყვეტილებით ზ. ჯ-ავას სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ: მოპასუხე ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტს დაევალა ზ. ჯ-ავაზე გასცეს ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანის პირადობის დამადასტურებელი მოწმობა; მოსარჩელეს უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე, თავდაცვის სამინისტროსათვის საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობის დამადასტურებელი ცნობის გაცემის დავლების მოთხოვნის ნაწილში; საქართველოს თავდაცვის სამინისტროს აფხაზეთის სამხედრო პოლიციის სამმართველოს უფროსის 1992 წლის 19 ოქტომბრის #210 ბრძანების საფუძველზე, დადგენილია, რომ ზ. ჯ-ავა ჩარიცხულ იქნა სამხედრო პოლიციის სამმართველოში; საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს 1995 წლის 17 მარტის #134 ბრძანების საფუძველზე ზ. ჯ-ავა -აფხაზეთის სამხედრო სამმართველოს მბეჭდავ-მემანქანე, სამხედრო ნაწილების გაუქმების დღიდან ორი თვის შემდეგ ჩაითვალია დათხოვნილად ნამდვილი სამხედრო სამსახურიდან და -თადარიგში ჩარიცხულად, 1994 წლის 6 ივლისიდან.

სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა საქართველოს ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტის თავმჯდომარის 2004 წლის 20 ივლისის #175 ბრძანებით დამტკიცებული "ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანის პირადობის მოწმობის დამზადებისა და გაცემის წესის შესახებ" ინსტრუქციის მე-6 მუხლის "დ" პუნქტის, "დ" ქვეპუნქტი და განმარტა, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის საბრძოლო მოქმედებების ვეტერანმა უნდა წარმოადგინოს ძალგანი უწყების კადრების სამმართველოს ცნობა იმის შესახებ, რომ ფორმირება, რომელშიც პირი მსახურობდა (ჩარიცხული იყო) საბრძოლო მოქმედებების პერიოდში, იმყოფებოდა საბრძოლო მოქმედებების ზონაში და აღნიშნულ პირს მონაწილეობა აქვს მიღებული საბრძოლო ოპერაციებში.

სააპელაციო სასამართლოს დასკვნით, ზ. ჯ-ავას ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტისათვის არ წარუდგენია ზემოაღნიშნული ინსტრუქციით გათვალისწინებული ცნობა, რაც შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოს ანიჭებდა უფლებას, უარი ეთქვა ზ. ჯ-ავას მიმართ ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის გაცემაზე, რამდენადაც ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, პირის განცხადების საფუძველზე, გამოსცეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი -ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადასტურებული, გარკვეული ინფორმაციის შემცველი დოკუმენტი (ცნობა), რომელსაც შეიძლება მოჰყვეს სამართლებრივი შედეგი, პირისთვის რაიმე უფლების მინიჭების ან სარგებლის მიღების სახით. ასეთი აქტის გამოცემის შესახებ ადმინისტრაციული ორგანოს უარი დასაბუთებული უნდა იყოს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია საქალაქო სასამართლოს მიერ სარჩელის იმ ნაწილის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა, რომლითაც მოსარჩელე ითხოვდა თავდაცვის სამინისტროს დავალდებულებას საბრძოლო მოქმედებებში მისი მონაწილეობის დამადასტურებელი ცნობის გაცემის შესახებ, ვინაიდან საქართველოს თავდაცვის სამინისტროს აფხაზეთის სამხედრო პოლიციის სამმართველოს უფროსის 1992 წლის 19 ოქტომბრის #210 და საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს 1995 წლის 17 მარტის #134 ბრძანებები არ არის გაუქმებული და მათი არსებობა საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობის დამადასტურებელი ცნობის გაცემის პირდაპირი საფუძველია.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ, რომელმაც მოითხოვა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება სარჩელის დაკმაყოფილებულ ნაწილში.

კასაციის მოტივი:

სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევებით, კერძოდ, დადგენილია, რომ მოსარჩელემ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მიმართა სასარჩელო განცხადებით მოპასუხეების -საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტის მიმართ და მოითხოვდა საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობის დამადასტურებელი ცნობისა და ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანის ახალი ნიშნის მოწმობის გაცემას. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის გა-

დაწვეტილებით მოსარჩელეს უარი ეთქვა მოპასუხე თავდაცვის სამინისტროსათვის საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობის დამადასტურებელი ცნობის გაცემის დავალების თაობაზე. მოსარჩელეს 2007 წლის 11 მაისის გადაწყვეტილება არ გაუსაჩივრებია, მითითებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მხოლოდ ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტმა იმ ნაწილში, რომლითაც დაევალით მოსარჩელის მიმართ ვეტერანის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის გაცემა. უფრო მეტიც, საქმეში წარმოდგენილია მოსარჩელის შეპასუხება ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტის სააპელაციო საჩივარზე, რომელშიც პირდაპირ მიუთითებს, რომ ეთანხმება საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებას და ითხოვს მის უცვლელად დატოვებას. შესაბამისად, გადაწყვეტილების ის ნაწილი, რომლითაც მოსარჩელის მოთხოვნა თავდაცვის სამინისტროს მიმართ არ დაკმაყოფილდა, შესულია კანონიერ ძალაში, ხოლო სააპელაციო სასამართლოს განხილვის საგანი უნდა ყოფილიყო მხოლოდ ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტის მიერ ვეტერანის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის მოსარჩელეზე გაცემის ან არგაცემის საკითხი.

ამდენად, სააპელაციო სასამართლომ დაარღვია საპროცესო სამართლის მოთხოვნები, კერძოდ, სასამართლო გასცდა დავის საგნის მოთხოვნას და იმსჯელა კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილების იმ ნაწილზე, რომელიც არც მოსარჩელეს და არც მოპასუხეებს არ გაუსაჩივრებიათ, რითაც დაარღვია სსსკ-ის 381-ე მუხლის მოთხოვნები. სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა და არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა (სსსკ-ის 393.2 მუხლი), ხოლო გადაწყვეტილება დაუსაბუთებელი და არასრულია (სსსკ-ის 394-ე მუხლის "ე" და "ე¹" ქვეპუნქტები).

ამასთან, სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება ეფუძნება საქართველოს ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტის თავმჯდომარის 2004 წლის 20 ივლისის #175 ბრძანებით დამტკიცებულ "ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანის პირადობის მოწმობის დამზადებისა და გაცემის წესის შესახებ" ინსტრუქციის მე-6 მუხლის "დ" და "დ.ა" პუნქტებს, რომელთა მიხედვით, ვეტერანმა უნდა წარმოადგინოს ძალგანი უწყების კადრების ცნობა იმის შესახებ, რომ მონაწილეობა აქვს მიღებული საბრძოლო ოპერაციებში. "ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ" საქართველოს კანონის მე-9 მუხლის "გ" ქვეპუნქტის მიხედვით საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის საბრძოლო მოქმედების ვეტერანად და მათთან გათანაბრებულ პირებად განსაზღვრულნი არიან ის პირები, რომლებიც საქართველოს მთლიანობისათვის, აფხაზეთსა და შიდა ქართლში თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის ბრძოლაში მონაწილეობდნენ, ანუ საქართველოს თავდაცვის, შინაგან საქმეთა და უშიშროების სამინისტროების, აგრეთვე დაზვერვის სახელმწიფო დეპარტამენტის მოსამსახურეები და მუშაკები, მათ შორის, სამხედრო ფორმირებაში ჩარიცხული სამოქალაქო პირები, მოხალისეები. მითითებული კანონის მე-3 მუხლის თანახმად, ვეტერანებისა და მათი ოჯახის წევრების სოციალური დაცვის უზრუნველყოფა ევალება ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურს. ამასთან, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2004 წლის 21 დეკემბრის #351/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-2 მუხლის "ე" პუნქტის მიხედვით, ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტის ფუნქციად განისაზღვრა - ვეტერანების და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულ, უგზო-უკვლოდ დაკარგულ, მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილთა ოჯახის წევრების სოციალური დაცვა, აგრეთვე საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებით დადგენილი პირების (ვეტერანები) ზუსტი აღრიცხვა, ერთიან კომპიუტერულ მონაცემთა ბაზის შექმნა და მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული საქართველოს ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანის დამადასტურებელი ერთიანი პირადობის მოწმობების დამზადება-გაცემა. საბრძოლო მოქმედებებში პირის მონაწილეობის დადასტურება და ვეტერანის სტატუსის მინიჭების საკითხის გადაწყვეტა, მათი სოციალურ-სამართლებრივი უზრუნველყოფა განეკუთვნება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტის კომპეტენციას და არა თავდაცვის სამინისტროს. ამასთან, კასატორის მითითებით, ინსტრუქცია, რომელსაც სააპელაციო სასამართლო ეყრდნობა, არ წარმოადგენს "ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად გამოცემულ ნორმატიულ აქტს, რომელსაც შესასრულებლად სავალდებულო ძალა ექნება, მით უფრო, საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის.

საკასაციო სასამართლოს 2008 წლის 11 მარტის განჩინებით ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის "გ" პუნქტის საფუძველზე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად /პროცესუალური კასაცია/.

მოწინააღმდეგე მხარეებს მოსაზრებები საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობასთან დაკავშირებით არ წარმოუდგენიათ.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის მოტივების საფუძვლიანობისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთებულობა-კანონიერების შემოწმების შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, შესაბამისად გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 5 ნოემბრის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლოს მიერ გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამოტანისას დაირღვა მატერიალური და საპროცესო სამართლის ნორმები, კერძოდ, სსსკ-ის 393.2, 394 "ე" მუხლების მოთხოვნები. სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, გადაწყვეტილება გამოტანილია საპროცესო ნორმების არსებითი დარღვევით.

საკასაციო სასამართლო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 384-ე მუხლის საფუძველზე განმარტავს, რომ სააპელაციო ინსტანციის სასამართლო უფლებამოსილია, შეცვალოს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება მხოლოდ იმ ფარგლებში, რასაც მხარეები მოითხოვენ. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 248-ე მუხლი განსაზღვრავს სასამართლოს გადაწყვეტილების ფარგლებს, კერძოდ, მითითებული ნორმის თანახმად, სასამართლო შეზღუდულია მხარეთა მოთხოვნის ფარგლებით, რაც გულისხმობს, რომ სასამართლოს უფლება არა აქვს, მიაკუთვნოს მხარეს ის, რაც მას არ უთხოვია ან იმაზე მეტი, ვიდრე ის მოითხოვდა.

საკასაციო სასამართლო იზიარებს კასაციის მოტივს, რომ სააპელაციო სასამართლო გაცდა სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებს, კერძოდ, საქმის მასალების თანახმად, მოსარჩელემ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას სასარჩელო განცხადებით მიმართა მოპასუხეების -საქართველოს თავდაცვის სამინისტროს და ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტის მიმართ, რომლითაც მოითხოვდა საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობის დამადასტურებელი ცნობისა და ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანის ახალი ნიშნის მოწმობის გაცემას. საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 11 მაისის გადაწყვეტილებით ზ. ჯ-ავას სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, კერძოდ, მოპასუხე ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტს დაევალა ზ. ჯ-ავაზე ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის გაცემა, ხოლო ზ. ჯ-ავას სარჩელი მოპასუხე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობის დამადასტურებელი ცნობის გაცემის დავალების ნაწილში არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლო გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტმა სარჩელის დაკმაყოფილებულ -ვეტერანის ახალი ნიშნის მოწმობის გაცემის დავალების ნაწილში, ხოლო მოსარჩელე ჯ. ჯ-ავას საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით სარჩელის დაუკმაყოფილებელ ნაწილში არ გაუსაჩივრებია, უფრო მეტიც, საქმეში წარმოდგენილია მოსარჩელის შეპასუხება ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტის სააპელაციო საჩივარზე, რომელშიც პირდაპირ მიუთითებს, რომ ეთანხმება საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებას და ითხოვს მის უცვლელად დატოვებას.

სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე აპელანტის ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტის წარმომადგენელმა განმარტა, რომ სააპელაციო საჩივრის განაცხადს (გასაჩივრების ფარგლებს) წარმოადგენდა სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილება, საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მოსარჩელის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტის მიმართ სასარჩელო მოთხოვნის ნაწილში, ხოლო მოწინააღმდეგე მხარის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელმა განმარტა, რომ საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ სარჩელის მოთხოვნის ნაწილში იყო დასაბუთებული, ამ ნაწილში გადაწყვეტილება არ გასაჩივრებულა, რის გამოც მოითხოვა მისი უცვლელად დატოვება.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულ იქნა მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, ვინაიდან საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ სარჩელის მოთხოვნის ნაწილში შესულია კანონიერ ძალაში. მოსარჩელე ზ. ჯ-ავას აღნიშნულ ნაწილში საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით არ გაუსაჩივრებია, ხოლო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 375.1. მუხლის თანახმად, თუ არსებობს სააპელაციო საჩივრის ყველა წინაპირობა და იგი მიღებულია სააპელაციო სასამართლოს მიერ, გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლა შეჩერდება იმ ნაწილში, რომელიც გასაჩივრებულია. მოცემულ შემთხვევაში საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება გასაჩივრდა საქართველოს ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტის მიერ სარჩელის დაკმაყოფილებულ -ვეტერანთა მოწმობის გაცემის დავალების ნაწილში, შესაბამისად საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმების უფლებამოსილება სააპელაციო სასამარ-

თლოს გააჩნდა მხოლოდ გასაჩივრებულ ნაწილში, მაშინ, როცა სააპელაციო სასამართლომ ახალი გადაწყვეტილების მიღებით იმსჯელა ზ. ჯ-ავას სარჩელის მოთხოვნაზე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ, რომელიც კანონიერ ძალაშია შესული. ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სასამართლომ თავისი გადაწყვეტილებით პრაქტიკულად გადასინჯა კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, რაც არსებით პროცესუალურ დარღვევას წარმოადგენს, რამდენადაც კანონიერ ძალაში შესული სასამართლო აქტი რევიზიას არ ექვემდებარება.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მიხედვით, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში მხარეები სარგებლობენ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობაში მე-3 მუხლით მინიჭებული უფლება-მოვალეობებით, რომელთა შესაბამისად სამოქალაქო სამართალწარმოება აგებულია დისპოზიციურობის პრინციპზე, რაც მოცემულ საპროცესო სამართალში ნიშნავს მხარეთა ნების თავისუფლებას, შეხედულებისამებრ განკარგონ თავიანთი მატერიალური და საპროცესო უფლებები. მხარეები იწყებენ საქმის წარმოებას სასამართლოში სარჩელის ან განცხადების შეტანის გზით. ისინი განსაზღვრავენ დავის საგანს და თვითონ იღებენ გადაწყვეტილებას სარჩელის (განცხადების) შეტანის შესახებ. დისპოზიციურობის პრინციპი ერთ-ერთი ფუნდამენტური პრინციპია საპროცესო სამართალში, რაც ნების ავტონომიიდან გამომდინარეობს და თავის მხრივ, გულისხმობს, რომ მხარეები თავისუფალნი არიან განკარგონ თავიანთი მატერიალური და საპროცესო უფლებები. ამასთან, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 248-ე მუხლის საფუძველზე სასამართლო შეზღუდულია დისპოზიციურობის პრინციპით, რის გამოც, სასამართლოს უფლება არა აქვს, მიაკუთვნოს თავისი გადაწყვეტილებით მხარეს ის, რაც მას არ უთხოვია ან იმაზე მეტი, ვიდრე ის მოითხოვდა.

საკასაციო სასამართლო დასკვნის სახით განმარტავს, რომ დისპოზიციურობის პრინციპი სამართალწარმოებაში ესაა საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული და მხარეთა გარანტირებული შესაძლებლობა, თავისუფლად ისარგებლონ ან განკარგონ თავიანთი მატერიალური და საპროცესო უფლებები. ამასთან, დისპოზიციურობის პრინციპის ერთ-ერთი გამოვლინებაა მხარის მიერ სასამართლო გადაწყვეტილებაზე სააპელაციო ან საკასაციო საჩივრის შეტანა, გასაჩივრების საპროცესო კანონმდებლობით უზრუნველყოფილი უფლების გამოყენება, რითაც მოცემულ შემთხვევაში ზ. ჯ-ავას არ უსარგებლია.

საკასაციო სასამართლო იზიარებს კასაციის მოტივს, რომ სააპელაციო სასამართლოს განხილვის საგანი უნდა ყოფილიყო მხოლოდ ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტის მიერ ვეტერანის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის მოსარჩელეზე გაცემის ან არ გაცემის საკითხი, შესაბამისად სასამართლო გასცდა სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებს და იმსჯელა კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების იმ ნაწილზე, რომელიც მოსარჩელეს და მოპასუხეს არ გაუსაჩივრებიათ, რითაც დაირღვა სსსკ-ის 381-ე მუხლის მოთხოვნები. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ აღნიშნულით სააპელაციო სასამართლომ პრაქტიკულად საუარესოდ შეაბრუნა მოწინააღმდეგე მხარის -საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მდგომარეობა, რაც არსებით პროცესუალურ დარღვევას წარმოადგენს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სსსკ-ის 412.2 მუხლის შესაბამისად არსებობს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების პროცესუალური და სამართლებრივი საფუძვლები, რის გამოც, სსსკ-ის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლოს მიერ ახალი გადაწყვეტილების მიღება შეუძლებელია. ამდენად, სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვისას ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 და მე-19 მუხლებით მინიჭებული უფლებამოსილების გამოყენებით, კანონიერი და ობიექტური გადაწყვეტილების დადგენის მიზნით, სრულყოფილად უნდა გამოიკვლიოს ზემომითითებული გარემოებები და დავა გადაწყვიტოს მოქმედი საპროცესო და მატერიალური სამართლის კანონმდებლობის შესაბამისად.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53.4 მუხლის შესაბამისად, სასამართლო ხარჯები უნდა გადანაწილდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების დადგენისას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 257-ე, 372-ე, 390-ე, 399-ე, 412-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 5 ნოემბრის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. სასამართლო ხარჯები გადანაწილდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების დადგენისას;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

დისპოზიციურობის პრინციპი

განჩინება

#ბს-433-416(კ-კს-08) 8 ივლისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. წიკვლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ნ. ქადაგიძე

დავის საგანი: სააპელაციო საჩივარზე საქმის წარმოების შეწყვეტა

საკასაციო სასამართლომ საქმის მასალების გაცნობის შედეგად

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

თ. შ-მემ სარჩელი აღძრა თბილისის მთაწმინდა-კრწანისის რაიონულ სასამართლოში, მოპასუხის -ე. წ-ის, თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის, თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის, ძველი თბილისის რაიონის გამგეობის, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსა და შპს "ა-ნის" მიმართ, რომლითაც მოითხოვა ადმინისტრაციული აქტების ბათილად ცნობა.

თბილისის მთაწმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 25 ივლისის გადაწყვეტილებით თ. შ-მის სარჩელი არ დაკმაყოფილდა დაუსაბუთებლობისა და ხანდაზმულობის გამო.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა თ. შ-მემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილება.

თბილისის საოლქო სასამართლოს 2004 წლის 8 ივნისის განჩინებით თ. შ-მის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, შესაბამისად, უცვლელად დარჩა რაიონული სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

თბილისის საოლქო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა თ. შ-მემ, რომელმაც მოითხოვა საოლქო სასამართლოს განჩინების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება იმავე სასამართლოში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2005 წლის 8 ივნისის განჩინებით თ. შ-მის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა -გაუქმდა თბილისის მთაწმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

2008 წლის 12 თებერვლის სასამართლო სხდომაზე მოსარჩელე თ. შ-მემ უარი თქვა სარჩელის მოთხოვნაზე მორალური და მატერიალური ზიანის ანაზღაურების ნაწილში, ხოლო 2008 წლის 4 მარტის სასამართლო სხდომაზე თ. შ-მემ კვლავ დააზუსტა სასარჩელო მოთხოვნა და დამატებით უარი განაცხადა სარჩელის მოთხოვნაზე მთაწმინდის რაიონის გამგეობის 1998 წლის 27 თებერვლის #49 გადაწყვეტილებისა და შპს "ა-ნის" პროექტის ბათილად ცნობის ნაწილშიც.

სააპელაციო სასამართლოს საოქმო განჩინებებზე თ. შ-მეს შენიშვნები არ წარუდგენია.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 4 მარტის განჩინებით თ. შ-მის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, შესაბამისად, უცვლელად დარჩა თბილისის მთაწმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სახელმწიფო არქიტექტურულ-სამშენებლო კონტროლის

ინსპექციის 1999 წლის 31 დეკემბრის #243 მშენებლობის დაწყების ნებართვის, მთავარი არქიტექტორის 1999 წლის 27 მაისის #293 ბრძანების ბათილად ცნობაზე 11,06 კვ.მ გადაცემის და 3 კვ.მ-ის დაბრუნების თაობაზე უარის თქმის ნაწილში, ხოლო მთაწმინდის რაიონის გამგეობის 1998 წლის 27 თებერვლის #49 გადაწყვეტილების, შპს "ა-ნის" მიერ ე. წ-ის სახლის მშენებლობასთან დაკავშირებული პროექტის ბათილად ცნობის, მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურების ნაწილში სააპელაციო საჩივარი შეწყდა წარმოებით.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა თ. შ-მემ, რომელმაც მოითხოვა სააპელაციო სასამართლოს განჩინების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება იმავე სასამართლოში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 8 ივლისის განჩინებით თ. შ-მის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დაუშვებლად.

სააპელაციო სასამართლოს განჩინების მე-3 პუნქტი სააპელაციო საჩივარზე წარმოების შეწყვეტის შესახებ კერძო საჩივრით გაასაჩივრა თ. შ-მემ, რომელმაც მოითხოვა ამ ნაწილში სააპელაციო სასამართლოს განჩინების გაუქმება და ამ ნაწილში საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება, შემდეგი მოტივით:

სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა სსსკ-ის 378.1. მუხლი, რამდენადაც სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ის გარემოება, რომ მოსარჩელემ მორალური და მატერიალური ზიანის ანაზღაურების ნაწილში სარჩელზე უარის თქმასთან ერთად დამატებით უარი განაცხადა სარჩელის მოთხოვნაზე -მთაწმინდის რაიონის გამგეობის 1998 წლის 27 თებერვლის #49 გადაწყვეტილებისა და შპს "ა-ნის" პროექტის ბათილად ცნობის ნაწილშიც, რამდენადაც კერძო საჩივრის ავტორის მითითებით, მან უარი განაცხადა მხოლოდ მორალური და მატერიალური ზიანის ანაზღაურების დაკისრების ნაწილში სარჩელზე, რაც დასტურდება სასამართლო სხდომის ოქმითა და ახსნა-განმარტებებით.

კერძო საჩივრის ავტორის მითითებით, სააპელაციო სასამართლომ დაარღვია სსსკ-ის მე-3 მუხლი (დისპოზიციურობის პრინციპი), ასევე, საპროცესო კანონმდებლობა არ ითვალისწინებს სააპელაციო საჩივრის შეწყვეტის შესაძლებლობას, რამდენადაც კანონით დასაშვებია მხოლოდ საქმის წარმოების შეწყვეტა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალებისა და კერძო საჩივრის მოტივების გაცნობის შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ თ. შ-მის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, შესაბამისად, უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 4 მარტის განჩინების მე-3 პუნქტი, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ სწორად იქნა გამოკვლეული საქმის მასალები, არ დარღვეულა საპროცესო ნორმები, რის გამოც გასაჩივრებული განჩინების მიღებისას ასევე არ დარღვეულა სსსკ-ის 393.2. "ა" პუნქტისა და 394 "ე" მუხლების მოთხოვნები.

როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, 2008 წლის 12 თებერვლის სასამართლო სხდომაზე მოსარჩელე თ. შ-მემ უარი თქვა სარჩელის მოთხოვნაზე -მორალური და მატერიალური ზიანის ანაზღაურების ნაწილში, ხოლო 2008 წლის 4 მარტის სასამართლო სხდომაზე თ. შ-მემ კვლავ დააზუსტა სასარჩელო მოთხოვნა და დამატებით უარი განაცხადა სარჩელის მოთხოვნაზე -მთაწმინდის რაიონის გამგეობის 1998 წლის 27 თებერვლის #49 გადაწყვეტილებისა და შპს "ა-ნის" პროექტის ბათილად ცნობის ნაწილშიც.

სააპელაციო სასამართლოს სხდომის ოქმში დაფიქსირებულ მის პოზიციაზე თ. შ-მეს შენიშვნები არ წარუდგენია.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მიხედვით, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში მხარეები სარგებლობენ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობაში მე-3 მუხლით მინიჭებული უფლება-მოვალეობებით, რომელთა შესაბამისად, სამოქალაქო სამართალწარმოება აგებულია დისპოზიციურობის პრინციპზე, რაც მოცემულ საპროცესო სამართალში ნიშნავს მხარეთა ნების თავისუფლებას, შეხედულებებისამებრ განკარგონ თავიანთი მატერიალური და საპროცესო უფლებები. მხარეები იწყებენ საქმის წარმოებას სასამართლოში სარჩელის ან განცხადების შეტანის გზით. ისინი განსაზღვრავენ დავის საგანს და თვითონ იღებენ გადაწყვეტილებას სარჩელის (განცხადების) შეტანის შესახებ. დისპოზიციურობის პრინციპი ერთ-ერთი ფუნდამენტური პრინციპია საპროცესო სამართალში, რაც ნების ავტონომიიდან გამომდინარეობს და თავის მხრივ, გულისხმობს, რომ მხარეები თავისუფალი არიან თავიანთი მატერიალური და საპროცესო უფლებების განკარგვისას. ამასთან, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 248-ე მუხლის საფუძველზე სასამართლო შეზღუდულია დისპოზიციურობის

პრინციპით, რის გამოც, სასამართლოს უფლება არა აქვს, მიაკუთვნოს თავისი გადაწყვეტილებით მხარეს ის, რაც მას არ უთხოვია ან იმაზე მეტი, ვიდრე ის მოითხოვდა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ, თუ მხარე უარს ამბობს სარჩელზე /მოცემულ შემთხვევაში სასარჩელო მოთხოვნების ნაწილზე/, ამგვარად გამოხატავს ნებას თავისი საპროცესო და მატერიალური უფლების რეალიზაციაზე, რაც სავალდებულოა სასამართლოსათვის, როგორც პროცესის მონაწილე მხარეთა ნების შეუზღუდავი გამოვლენა, ვინაიდან, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის თანახმად სასამართლოს უფლებამოსილება განსაზღვრულია მხარეთა მოთხოვნის ფარგლებით.

საკასაციო სასამართლო დასკვნის სახით განმარტავს, რომ დისპოზიციურობის პრინციპი სამართალწარმოებაში ესაა საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული და მხარეთა გარანტირებული შესაძლებლობა, თავისუფლად ისარგებლონ ან განკარგონ თავიანთი მატერიალური და საპროცესო უფლებები. ამასთან, დისპოზიციურობის პრინციპის ერთ-ერთი გამოვლინებაა მხარეთა თავისუფალი ნება, დარღვეული უფლების აღდგენის მოთხოვნით სარჩელი აღძრან სასამართლოში, ასევე უარი განაცხადონ სარჩელის მოთხოვნაზე სრულად ან ნაწილობრივ.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სხდომის ოქმში მითითებული გარემოება, რომ თ. შ-მემ მოხსნა სასარჩელო მოთხოვნები მორალური და მატერიალური ზიანის ანაზღაურების ნაწილში, ასევე მთაწმინდის რაიონის გამგეობის 1998 წლის 27 თებერვლის #49 გადაწყვეტილებისა და შპს "ა-ნის" პროექტის ბათილად ცნობის ნაწილშიც, არ შეიძლება გახდეს საკასაციო სასამართლოს მიერ აღნიშნულ მტკიცებულებაში /სხდომის ოქმში/ ეჭვის შეტანის საფუძველი, იმ პირობებში, როცა თ. შ-მეს არ უსარგებლია სსსკ-ის 291.1. მუხლით მინიჭებული უფლებამოსილებით და სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 12 თებერვლისა და 2008 წლის 4 მარტის სხდომის ოქმებზე მისი პოზიციის არასწორად ასახვის თაობაზე შენიშვნა არ წარუდგენია, ანუ მხარეს სადავოდ არ გაუხდია სასამართლო სხდომის ოქმებში მითითებული ჩანაწერი სარჩელის მოთხოვნებზე უარის თქმის შესახებ, რამდენადაც აღნიშნული საქმის მასალებით არ დასტურდება.

ამასთან, რამდენადაც სხდომის ოქმში დაფიქსირებულია გარემოება სხვა უტყუარი მტკიცებულებებით, ხოლო ამგვარი სინამდვილეში არ მომხდარა, არ დასტურდება, იძლევა საკმარის საფუძველს საკასაციო სასამართლოსათვის იმ გარემოების დასადგენად, რომ სააპელაციო სასამართლო ვალდებული იყო სარჩელის ამ ნაწილში სააპელაციო საჩივარზე შეეწყვიტა წარმოება.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, განსხვავებით სამოქალაქო სამართალწარმოებისაგან, ამკვიდრებს ადმინისტრაციული (საჯარო) კანონმდებლობის მნიშვნელოვან პრინციპს -ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გადაწყვეტილების მიღებას უფლებამოსილების ფარგლებში, ანუ განსხვავებით კერძო სამართლებრივი ურთიერთობებისაგან, სადაც მოქმედებს ნების ავტონომიის პრინციპი, ადმინისტრაციული ორგანო მოქმედი კანონმდებლობით შეზღუდულია ნების გამოხატვის თვალსაზრისით, კერძოდ, მისი გადაწყვეტილება ნებისმიერ შემთხვევაში უნდა გამომდინარეობდეს მისთვის კანონით პირდაპირ მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებიდან.

ადმინისტრაციული ორგანო სამართალწარმოებაში დისპოზიციურობის პრინციპის გამოვლენისას შეზღუდულია კანონით მინიჭებული უფლებამოსილების და კანონიერების ფარგლებით, რამდენადაც მისი ნების გამოვლენა (სარჩელის ცნობა, მორიგება, სარჩელზე უარის თქმა) ნებისმიერ შემთხვევაში უნდა იყოს კანონიერი, კანონის ჩარჩოში მოქცეული, წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო ვალდებულია რა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 3.2. მუხლის საფუძველზე შეამოწმოს ადმინისტრაციული ორგანოს ამგვარი ნების გამოვლენა, არაუფლებამოსილია, მიიღოს ამ უკანასკნელისგან იგი იმ შემთხვევაში, თუკი ამგვარი ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას, მაშინ, როცა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 3.2. მუხლით განსაზღვრული სასამართლო კონტროლი ფიზიკური პირის მიერ ამგვარი ნების (სარჩელის ცნობა, მორიგება, სარჩელზე უარის თქმა) გამოხატვაზე არ ვრცელდება.

შესაბამისად, საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომ მორჩელის მიერ სარჩელის მოთხოვნების ნაწილზე -მორალური და მატერიალური ზიანის ანაზღაურების შესახებ, ასევე მთაწმინდის რაიონის გამგეობის 1998 წლის 27 თებერვლის #49 გადაწყვეტილებისა და შპს "ა-ნის" პროექტის ბათილად ცნობის ნაწილშიც სსსკ-ის 378.2. მუხლის თანახმად წარმოების შეწყვეტის შესახებ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ თ. შ-მის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, რამდენადაც სახეზე არ არის სააპელაციო სასამართლოს განჩინების მე-3 პუნქტის გაუქმების პროცესუალური საფუძველები.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე, 408.3, 419-ე-420-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. თ. შ-მის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს უსაფუძვლოდ გამო;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 4 მარტის განჩინების მე-3 პუნქტი;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

3. სახელმწიფო ბაჟი

განჩინება

#ბს-1005-962(კს-07) 6 თებერვალი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. მურუსიძე,
ნ. ქადაგიძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა გ. ბ-მის კერძო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 25.06.07წ. განჩინებაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

07.08.06წ. ი/მ "გ. ბ-მემ" სასარჩელო განცხადებით მიმართა ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას და თბილისის საგადასახადო ინსპექციის 14.01.05წ. #500027 ოქმის, 28.01.05წ. #500027 დადგენილების ბათილად ცნობა, უკანონოდ დარიცხული საურავის -155.55 ლარი და ჯარიმის -500 ლარის გაუქმება და მორალური ზიანის ასანაზღაურებლად მოპასუხისათვის 5000 აშშ დოლარის დაკისრება მოითხოვა. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ არის II ჯგუფის ინვალიდი და ინდემწარმე; 07.06.06წ. მისთვის ცნობილი გახდა, რომ 14.01.05წ. შედგენილი იყო სამართალდარღვევის ოქმი სალარო აპარატის გამოუყენებლობის გამო და მის საფუძველზე მიღებული იყო 28.01.05წ. დადგენილება. 28.07.06წ. მოსარჩელემ მიმართა თბილისის საგადასახადო ინსპექციას და ჩაიბარა 14.01.05წ. #500027 სამართალდარღვევის ოქმის ასლი. მოსარჩელის აზრით, დარღვეულია საკონტროლო სალარო აპარატის წესების დაცვაზე კონტროლის პროცედურების შესახებ ინსტრუქციისა და საგადასახადო კოდექსის მოთხოვნები. საგადასახადო კოდექსის 47-ე მუხლის თანხმად, თბილისის საგადასახადო ინსპექციას არ გამოუგზავნია წერილი სალარო აპარატის გამოყენებისა და დადგმის აუცილებლობაზე, ოქმზე არ არის მოსარჩელის ხელმოწერა და აღნიშვნა იმის თაობაზე, ჩაჰბარდა თუ არა მას ოქმი. მოსარჩელის მითითებით, მას შეეზღუდა უფლება მიეღო და გაესაჩივრებინა სამართალდარღვევის ოქმი, რომელსაც არ ეთანხმება. მოსარჩელის განცხადებით, 07.07.06წ. მიღებული შედარების აქტით დაადგინა, რომ მას ერიცხებოდა 155.51 ლარი საურავი, რომლის დარიცხვის საფუძველი საგადასახადო ორგანომ ვერ მიუთითა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 26.12.06წ. გადაწყვეტილებით ი/მ "გ. ბ-მის" სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4 მუხლის შესაბამისად, ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის 14.01.05წ. საგადასახადო სამართალდარღვევის #500027 ოქმი და მის საფუძველზე მიღებული 28.01.05წ. #500027 სერია "სა" დადგენილება და მოპასუხეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა დაევალა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციამ და ი/მ "გ. ბ-მემ".

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 19.03.07წ. განჩინებით ი/მ "გ. ბ-მის" სააპელაციო საჩივარს დაუდგინდა ხარვეზი და აპელანტს სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში სახელმწიფო ბაჟის გადახდა დაეკისრა.

05.04.07წ. ი/მ "გ. ბ-ქემ" განცხადებით მიმართა სააპელაციო პალატას, რომელშიც აღნიშნა, რომ იყო მეორე ჯგუფის ინვალიდი, ამასთან სოციალურად დაუცველი. განმცხადებელმა სასამართლოს წარუდგინა ინვალიდობის დამადასტურებელი მოწმობა, სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციის მოწმობა და სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 13.04.07წ. განჩინებით ი/მ "გ. ბ-ქეს" გაუგრძელდა ხარვეზის გამოსასწორებლად დანიშნული ვადა. 21.05.07წ. განმცხადებელმა კვლავ მიმართა სასამართლოს სახელმწიფო ბაჟისაგან განთავისუფლების თხოვნით. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 28.05.07წ. განჩინებით ი/მ "გ. ბ-ქეს" კვლავ გაუგრძელდა ხარვეზის გამოსწორებისათვის დადგენილი ვადა. გ. ბ-ქემ 20.06.07წ. განცხადებით მიმართა და იმავე მოტივით სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 25.06.07წ. განჩინებით ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების შესახებ ი/მ "გ. ბ-ქეს" შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა, ხარვეზის გამოუსწორებლობის გამო მისი სააპელაციო საჩივარი განუხილველად იქნა დატოვებული.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ი/მ "გ. ბ-ქემ". კერძო საჩივრის ავტორმა აღნიშნა, რომ ასკ-ის მე-9 მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან არ თავისუფლდებიან ინდემწარმეები, თუმცა იგი, ამასთანავე, არის II ჯგუფის ინვალიდი და "სახელმწიფო ბაჟის შესახებ" კანონის მე-5 მუხლით გათავისუფლებულია სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან. კერძო საჩივრის ავტორის განცხადებით, სახელმწიფო ბაჟისაგან მისი გათავისუფლების საფუძველს ქმნის ასევე ის გარემოება, რომ იგი სოციალურად დაუცველია. კერძო საჩივრის ავტორმა სააპელაციო პალატის 25.06.07წ. განჩინების გაუქმება და სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლება მოითხოვა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა საქმის მასალების გაცნობის, კერძო საჩივრის საფუძვლიანობისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერების შემოწმების შედეგად თვლის, რომ ი/მ "გ. ბ-ქეს" კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

"სახელმწიფო ბაჟის შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის "მ" ქვეპუნქტის თანახმად, საერთო სასამართლოებში განსახილველ საქმეებზე სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან თავისუფლდებიან ინვალიდები, ინვალიდთა საზოგადოებრივი ორგანიზაციები, მათი დაწესებულებები, სასწავლო-საწარმო ორგანიზაციები და გაერთიანებები -ყველა სარჩელზე. ამავე მუხლის პირველი ნაწილის "მ¹" ქვეპუნქტის თანახმად, საერთო სასამართლოებში განსახილველ საქმეებზე სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან თავისუფლდებიან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული პირები, რაც დასტურდება სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციის მოწმობით.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ გ. ბ-ქე არის II ჯგუფის ინვალიდი, ამავე დროს, არის სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული პირი, რაც დასტურდება საქმეში დაცული სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციის მოწმობით, აღნიშნული კი სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან კერძო საჩივრის ავტორის გათავისუფლების საფუძველს ქმნის.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ გ. ბ-ქეს კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და საქმე გ. ბ-ქეს სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღების საკითხის გადასაწყვეტად უნდა გადაეცეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ სამეთა პალატას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე, 419-ე და 420-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. გ. ბ-ძის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 25.06.07წ. განჩინება;
2. საქმე გ. ბ-ძის სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღების საკითხის გადასაწყვეტად გადაეცეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

4. სადავო საკითხის გადაწყვეტლად აქტის ბათილად ცნობა

განჩინება

#ბს-987-951 (კ-08) 13 მაისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. ქადაგიძე,
ლ. მურუსიძე

დავის საგანი: ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, საჯარო რეესტრის ჩანაწერებში ცვლილებების შეტანის აკრძალვა

აღწერილობითი ნაწილი:

შპს "...-მა" 13.03.2006 წ. სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხე -საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის მიმართ, რომლითაც 06.02.2006 წ. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა და საჯარო რეესტრის ჩანაწერებში ცვლილებების შეტანის აკრძალვა მოითხოვა.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ მოპასუხის მიერ მიღებულია გადაწყვეტილება საჯარო რეესტრის ჩანაწერებში ცვლილებების შეტანის შესახებ. გადაწყვეტილების მიღების საფუძვლად მიჩნეულია ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 13.04.2005 წ. გადაწყვეტილება, რომლითაც ბათილად იქნა ცნობილი ს/ს "...-ის" 06.08.2002 წ. აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილება -ოქმი #5. რეგისტრატორის გადაწყვეტილებას შედეგად მოჰყვება შპს "...-ის" კუთვნილი ქონების, კერძოდ ... #26-ში და რკინიგზის სადგურ ლილოს მიმდებარედ მდებარე უძრავი ქონების გადარეგისტრირება ს/ს "...-ის" საკუთრებად. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 13.04.2005 წ. გადაწყვეტილებით აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილება -ოქმი #5 ბათილად იქნა ცნობილი მხოლოდ კრების მოწვევის და წარმართვის პროცედურული დარღვევების და არა მიღებული გადაწყვეტილების უკანონობის გამო. კრების ოქმის ბათილობას შედეგად უნდა მოჰყოლოდა პროცედურული წესების დაცვით კრების ხელახლა მოწვევა, განსახილველი საკითხების ხელახლა განხილვა და შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღება. შესაბამისად, სასამართლოს გადაწყვეტილება არანაირად გულისხმობს ქონების ავტომატურად დაბრუნებას სააქციო საზოგადოებისათვის. გარდა ამისა, სააქციო საზოგადოებასა და შპს "...-ს" შორის დაიდო შეთხმება, რომელიც, კომერციული თვალსაზრისით, მომგებიანი იყო ორივე მხარისათვის, შეთანხმების თანახმად, სააქციო საზოგადოებას დაუბრუნდა ქონების გარკვეული ნაწილი, ქონების ნაწილის კომპენსაცია კი დაფარულია სრულად.

მოსარჩელემ აგრეთვე აღნიშნა, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება საჯარო რეესტრში წარდგენილია ს/ს-ს ერთ-ერთი აქციონერის -ო. რ-უას მიერ. გადაწყვეტილება არ ადასტურებს საკუთრების უფლებას მამინ, როცა "მიწის რეგისტრაციის შესახებ" კანონის 36-ე მუხლის "ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, რეგისტრატორს შეუძლია შეასწოროს სააღრიცხვო ბარათი ან რომელიმე დოკუმენტი პირის მიერ საკუთრების უფლების დამადასტურებელი სასამართლო გადაწყვეტილების შემთხვევაში. სასამართლო გადაწყვეტილება ო. რ-უას ასეთ უფლებას არ ანიჭებს, ო. რ-უა არ წარ-

მოადგენს ს/ს-ს ქონების მესაკუთრეს, ქონება ს/ს-ს საკუთრებაა, ხოლო აქციონერი ფლობს და განკარგავს აქციას, მას აქვს მხოლოდ საზოგადოების დივიდენდის მოთხოვნის უფლება. ამდენად, ო. რ-უა არ არის უფლებამოსილი, მოაწესრიგოს ს/ს-ს ქონებრივი საკითხი. "მიწის რეგისტრაციის შესახებ" კანონის 26-ე მუხლის თანახმად, საკუთრების გადასვლის რეგისტრაციისას რეგისტრატორი ეყრდნობა დაინტერესებული პირის მიერ წარდგენილ აქტებს. მოსარჩელე თვლის, რომ ო. რ-უა არ წარმოადგენს ზაკ-ის მე-2 მუხლის "ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დაინტერესებულ მხარეს. ამდენად, გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი პირდაპირ და უშუალო გავლენას ვერ მოახდენს მის კანონიერ ინტერესზე. მოსარჩელე მიიჩნევს, რომ რეგისტრატორის უკანონო გადაწყვეტილება და მის შესაბამისად განხორციელებული მოქმედება ფინანსური ზიანის მომტანი იქნება ორივე საზოგადოებისათვის.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ ო. რ-უა საქმეში ჩაბმული იქნა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16.1 მუხლის საფუძველზე, ხოლო ს/ს "..."-16.2 მუხლის საფუძველზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 16.08.2006 წ. გადაწყვეტილებით მოსარჩელე შპს "...-ის" სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეგისტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 06.02.2006 წ. წერილი და მოპასუხეს დაევალა ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა. სასამართლომ დადგენილად სცნო ის გარემოება, რომ დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 13.04.2005 წ. გადაწყვეტილებით ბათილად იქნა ცნობილი ს/ს "...-ს" 06.08.2002 წ. აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილება - ოქმი #5. მოპასუხის 06.02.2006 წ. წერილით შპს "...-ს" ეცნობა თბილისის სარეგისტრაციო სამსახურში შესული დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 13.04.2005 წ. გადაწყვეტილების საფუძველზე საჯარო რეგისტრის ჩანაწერებში განსახორციელებელი ცვლილებების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება. ადმინისტრაციული კოლეგიის მიერ თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 06.02.2006 წ. წერილი მიჩნეულ იქნა ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად. სასამართლომ გაიზიარა მოსარჩელეთა განმარტება, რომ მოპასუხე ვალდებული იყო, გადაწყვეტილების მიღებამდე ზაკ-ის 95-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩაება დაინტერესებული მხარე - შპს "...", ვინაიდან მიღებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტით შესაძლებელია გაუარესებულიყო მისი სამართლებრივი მდგომარეობა. სასამართლომ მიიჩნია, რომ გადაწყვეტილების მიღებისას მოპასუხის მიერ დაირღვა ზაკ-ის 96-ე-97-ე მუხლების მოთხოვნები, რაც ამავე კოდექსის 60¹.1 მუხლისა და ასკ-ის 32.4 მუხლის შესაბამისად, აქტის ბათილობის საფუძველად მიიჩნია. სასამართლომ მიუთითა, რომ მოპასუხემ ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი უნდა გამოსცეს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, კერძოდ, უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ადმინისტრაციულ წარმოებაში დაინტერესებული მხარეების მონაწილეობა, მოსმენილ უნდა იქნეს მათი ახსნა-განმარტებები, შეფასება უნდა მიეცეს შპს "...-სა" და ს/ს "..."-ს შორის დადებულ შეთანხმებას, ცნობას კომპენსაციის შესახებ და სხვა დოკუმენტაციას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 16.08.2006 წ. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საჯარო რეგისტრის ეროვნულმა სააგენტომ და ახალი გადაწყვეტილების მიღება მოითხოვა. სააპელაციო საჩივრის ავტორის მოსაზრებით, ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას არ უმსჯელია დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 13.04.2005 წ. კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების შესასრულებლად სავალდებულო ხასიათზე. აპელანტი ასევე მიიჩნევს, რომ სასამართლომ არასწორად მიუთითა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 95-ე-97-ე მუხლებზე, ვინაიდან საჯარო რეგისტრმა მხოლოდ აცნობა დაინტერესებულ პირებს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებით "მიწის რეგისტრაციის შესახებ" კანონის 36-ე, 38-ე მუხლების მოთხოვნების შესახებ. აპელანტი ასევე სადავოდ ხდიდა სასამართლოს მიერ სახელმწიფო ბაჟის გადახდის დაკისრებას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 11.06.2008 წ. განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 16.08.2006 წ. გადაწყვეტილება. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და დაეთანხმა მის სამართლებრივ შეფასებებს. აღნიშნული განჩინება საკასაციო წესით გასაჩივრდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეგისტრის ეროვნული სააგენტოს მიერ, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

კასატორმა მიუთითა, რომ სასამართლომ საქმე განიხილა ერთ-ერთი მხარის დაუსწრებლად, კერძოდ, მოპასუხე –თბილისის სარეგისტრაციო სამსახურს სასამართლო უწყება სასამართლო სხდომის თაობაზე არ ჩაზარებია. მოპასუხე მხარეს ასევე არ ჩაზარებია თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ 16.08.2008 წ. მიღებული გადაწყვეტილება. კასატორი აღნიშნავს, რომ სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღების დროს სათანადოდ არ ყოფილა გამოკვლეული წერილის ადმინისტრაციულ აქტად მიჩნევის საფუძველი. სასამართლოს არ შეუსწავლია აგრეთვე სარეგისტრაციო სამსახურში არსებული სარეგისტრაციო მასალები, რაც შესაძლოა საფუძველად დაედებოდა საქმეზე სხვაგვარი გადაწყვეტილების მიღებას. კასატორი მიიჩნევს, რომ აღნიშნული გარემოებები წარმოადგენს გადაწყვეტილების აბსოლუტური გაუქმების საფუძველს, მათი არარსებობა გამოიწვევდა საქმეზე სწორი გადაწყვეტილების მიღებას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 04.02.09წ. განჩინებით სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად, საქმე განხილულ იქნა ზეპირი მოსმენით.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალებისა და საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის შედეგად მიიჩნევს, რომ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 11.06.08წ. განჩინება შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ ს/ს "...-ს" აქციონერთა 06.08.2002 წ. საერთო კრებაზე (ოქმი #5) მე-5 საკითხად განხილული იქნა აქციონერების წერილობითი განცხადება აქციების სანაცვლოდ ქონების ნატურით მიღების თაობაზე, იმავე პროფილის საწარმოს შექმნის მიზნით. საკითხის განხილვის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებით ს/ს-დან გამსვლელ აქციონერებს კუთვნილი აქციების ნაცვლად უნდა გადაცემოდათ ძირითადი საშუალებების ნაწილი. 13.08.2002 წ. მიღება-ჩაბარების ხელშეკრულებით ს/ს "...-ის" გენერალურმა დირექტორმა შპს "...-ს" გადასცა ს/ს-ს ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების პასიური და აქტიური ნაწილი.

დიდუბე-ჩულურეთის რაიონული სასამართლოს 13.04.2005 წ. გადაწყვეტილებით ბათილად იქნა ცნობილი ს/ს "...-ს" 06.08.2002 წ. აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილება –ოქმი #5. სასამართლო გადაწყვეტილება დაეფუძნა იმ გარემოებას, რომ ს/ს "...-ს" აქციონერთა საერთო კრების ჩატარებისას დაირღვა კრების მოწვევის, კრების მოწვევის გამოცხადების, ასევე გადაწყვეტილების მიღების წესები, რამაც განაპირობა მიღებული გადაწყვეტილების უკანონობა. დიდუბე-ჩულურეთის რაიონული სასამართლოს 13.04.2005 წ. გადაწყვეტილება ს/ს "...-ს" არ გაუსაჩივრებია და იგი კანონიერ ძალაშია შესული.

დადგენილია, რომ თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 06.02.2006 წ. წერილით დაინტერესებულ პირებს "მიწის რეგისტრაციის შესახებ" კანონის 38-ე მუხლის თანახმად, ეცნობათ დიდუბე-ჩულურეთის რაიონული სასამართლოს 13.04.2005 წ. გადაწყვეტილების საფუძველზე მიღებული რეგისტრაციის გადაწყვეტილება და განემარტათ მისი გასაჩივრების წესი.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო ზაკ-ის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის "ა" ქვეპუნქტის მიხედვით, ადმინისტრაციულ ორგანოს წარმოადგენს, ხოლო 06.02.2006 წ. წერილი, ამავე მუხლის პირველი ნაწილის "დ" ქვეპუნქტის თანახმად, თავისი შინაარსით არის დოკუმენტი, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს სამართლებრივი შედეგი, შესაბამისად, მას არ აქვს მხოლოდ ინფორმაციული ხასიათი და სზაკ-ის 2.1 მუხლის "დ" ქვეპუნქტის თანახმად იგი მართებულად არის მიჩნეული ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერება განპირობებულია მისი გამოცემისას მატერიალური და პროცედურული ნორმების მოთხოვნათა დაცვით. საჯარო რეესტრის მწარმოებელი ორგანო ვალდებულია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას დაიცვას ზაკ-ით დადგენილი ადმინისტრაციული წარმოების დაწყებისა და მისი ჩატარების წესი. თბილისის სარეგისტრაციო სამსახური ვალდებული იყო ზაკ-ის 95-ე მუხლის საფუძველზე ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩაება დაინტერესებული მხარე –შპს "...". ამავე კოდექსის 96.1,97.1 მუხლების თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქმის გარემოებებიდან გამომდინარე ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია გამოითხოვოს დოკუმენტები, შეაგროვოს ცნობები, მოუსმინოს დაინტერესებულ მხარეებს და სხვ. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას თბილისის სარეგისტრაციო სამსა-

ხურის მიერ დაირღვა ზემოთ აღნიშნული ნორმების მოთხოვნები, შესაბამისად სადავო აქტი გამოცემულია მისი მომზადების და გამოცემის წესის დარღვევით, რაც სზაკ-ის 60¹ მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად აქტის ბათილად ცნობის საფუძველია. სადავო აქტის გამოცემის დროს მოქმედი "მიწის რეგისტრაციის შესახებ" კანონის 36.1 მუხლის "ბ" ქვეპუნქტი ითვალისწინებდა რეგისტრატორის უფლებამოსილებას საკუთრების დამადასტურებელი სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე შეესწორებინა სააღრიცხვო ბარათი ან რომელიმე დოკუმენტი. დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 13.04.2005 წ. გადაწყვეტილება არ წარმოადგენს საკუთრების დამადასტურებელ საპროცესო დოკუმენტს და იგი უპირობოდ არ წარმოშობს ს/ს "...-ის" საკუთრების უფლებას შპს "...-ის" საწესდებო კაპიტალში შეტანილ უძრავ ქონებაზე. აღნიშნული გადაწყვეტილებით ბათილად იქნა ცნობილი ს/ს-ის აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილება -ოქმი #5, რომელიც შეეხებოდა გამსვლელი აქციონერებისათვის აქციების ნაცვლად ძირითადი საშუალებების ნაწილის გადაცემას. აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილებით არ განსაზღვრულა იმ ქონების სახელობითი სია, რაშიც შემდგომში გამოიხატა ყოფილ აქციონერებზე კუთვნილი აქციების ნაცვლად გადასაცემი ძირითადი საშუალებები. სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლით აღდგა 2002 წლის 6 აგვისტომდე არსებული მდგომარეობა და შესასრულებლად სავალდებულო ხასიათი შეიძინა ს/ს-ს აქციონერებისადმი. ს/ს-ს კრების ოქმის ბათილად ცნობა იწვევს მის საფუძველზე საჯარო რეესტრში განხორციელებული ჩანაწერის გაუქმებას იმ შემთხვევაში უკეთუ შპს "...-ის" საკუთრების უფლების რეგისტრაციის საფუძველი იყო 06.08.02წ. კრების ოქმი, რაც არ არის საქმეზე დადგენილი. გარდა ამისა, კრების ოქმის ბათილად ცნობის გამო საჯარო რეესტრის ჩანაწერის გაუქმება არ იწვევს მანამდე არსებული რეგისტრაციის ავტომატურ აღდგენას. ამ სახის სასამართლო გადაწყვეტილებით საკუთრების წარმოშობის ფაქტი დამოკიდებულია კერძო პირთა ნების გამოვლენასა და შემდგომი მათ მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე. განსახილველ შემთხვევაში, საქმეში დაცული ს/ს "...-სა" და შპს "...-ს" შორის მიღწეული შეთანხმებით და მის საფუძველზე შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტით ს/ს "...-ს" დაუბრუნდა უძრავ-მომრავი ქონება, ხოლო დანარჩენი ქონების საკომპენსაციო თანხა შპს-ს მიერ 2005 წლის 27 დეკემბრისათვის იქნა დაფარული.

ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სა-რეგისტრაციო სამსახური ადმინისტრაციული წარმოების დაწყებისას ვალდებული იყო, გაერკვია დაინტერესებულ პირთა წრე, მოეწვია ისინი ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობის მისაღებად, ადმინისტრაციული წარმოების შედეგად უნდა შეესწავლა და გაერკვია მხარეთა მიერ სასამართლო გადაწყვეტილების ნებაყოფლობითი აღსრულების შედეგად ქონებაზე მხარეთა საკუთრების უფლება. ამდენად, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახური ვალდებული იყო, საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა სრულყოფილად გამოკვლევისა და დადგენის მიზნით, გამოეთხოვა დოკუმენტები და მიეღო კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ზომები, რაზეც შემდგომში დაეფუძნებოდა რეგისტრაციის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო დადგენილად მიიჩნევს, რომ სადავო აქტი გამოცემულია ადმინისტრაციული წარმოების წესის დარღვევით, არ არის გამოკვლეული ისეთი არსებითი გარემოებები, რომლებსაც შეეძლოთ ზეგავლენა მოეხდინათ საბოლოო გადაწყვეტილებაზე, რაც სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის საფუძველს წარმოადგენს. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სასკ-ის 32.4 მუხლის საფუძველზე სადავო აქტის ბათილად ცნობა მართებულია, თბილისის სარეგისტრაციო სამსახურმა, საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, თავად უნდა მიიღოს გადაწყვეტილება რეგისტრაციის განხორციელების ან მასზე უარის თქმის თაობაზე.

საფუძველს მოკლებულია კასატორის მოსაზრება იმის შესახებ, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა ერთ-ერთი მხარის-თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის დასწრების გარეშე. საქმის მასალებით დასტურდება, რომ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს 11.06.2008წ. სასამართლო სხდომის ჩატარების შესახებ უწყება 30.05.08წ. ჩაჰბარდა. იმავედ მოქმედი "უძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრაციის შესახებ" კანონის 30-ე მუხლის თანახმად, თბილისის სარეგისტრაციო სამსახური წარმოადგენდა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ტერიტორიულ ორგანოს, ისინი იერარქიულ დაქვემდებარებაში იმყოფებიან ერთმანეთთან, შესაბამისად საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს უფლება აქვს გამოვიდეს სისტემის ქვემდგომი ორგანოს ინტერესებშიც, 3.3 მუხლის მიხედვით სააგენტო უფლებამოსილებებს ახორციელებს უშუალოდ ან თავისი ტერიტორიული სარეგისტრაციო სამსახურის მეშვეობით, ერთიანი სისტემის იერარქიულ დაქვემდებარებაში მყოფ ორგანოებს ერთი ინტერესი აქვთ, ამდენად საქმის თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის დასწრების გარეშე განხილვა არ წარმოადგენს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველს, მით უფრო, რომ უკანასკნელს აღნიშნულის შესახებპრეტენზია არ განუცხადებია.

საკასაციო სასამართლო საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის "გ" ქვეპუნქტის თანახმად, სრულად ეთანხმება ქვედა ინსტანციის სასამართლოების მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს, სამართლებრივ შეფასებებს, დამატებით მიუთითა მათზე და თვლის, რომ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის გასაჩივრებული განჩინება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე, 410-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 11.06.08წ. განჩინება;

საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სადავო საკითხის გადაუწყვეტლად აქტის ბათილად ცნობა

**გადაწყვეტილება
საქართველოს სახელით**

#ბს-1299-1259(23-08)

15 ივლისი, 2009 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ცისკაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
პ. სილაგაძე**

დავის საგანი: ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა და ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

ნ. გ-იამ 2006 წლის ივლისში სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ და მოითხოვა მისთვის პოლკოვნიკის სამხედრო წოდების მინიჭების თაობაზე ბრძანების, ასევე, 2005 წლის 28 დეკემბრიდან ავამყოფობის გამო მისი სამხედრო ძალებიდან დათხოვნის და ამ მომენტამდე განაცდლური პერიოდის სპეციალობით ნამსახურობის წლებში ჩათვლის შესახებ მოპასუხისათვის ბრძანების გამოცემის დავალდებულება; მოსარჩელემ ასევე მოითხოვა 2005 წლის 28 დეკემბრიდან სამხედრო ძალების რიგებიდან პოლკოვნიკის სტატუსის მქონე სამხედრო მოსამსახურის დათხოვნის შემთხვევაში კანონით გათვალისწინებული ყველა სარგოს და 2004 წლის 1 ივლისიდან შრომის წიგნაკის ჩაბარებამდე სამხედრო ძალებიდან დათხოვნის თაობაზე ბრძანების გამოუცემლობით ხელფასის ოდენობის გათვალისწინებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება. მოსარჩელემ ასევე მოითხოვა თავდაცვის მინისტრის 2006 წლის 16 ივნისის #1446 ბრძანების ბათილად ცნობა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 6 თებერვლის გადაწყვეტილებით ნ. გ-იას სარჩელი მოპასუხე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2006 წლის 16 ივნისის #1446 ბრძანება ნ. გ-იას საქართველოს შეიარაღებული ძალებიდან 1997 წლის 25 ივნისიდან დათხოვნის ნაწილში; მოსარჩელეს უარი ეთქვა პოლკოვნიკის სამხედრო წოდების მინიჭების თაობაზე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემით მოპასუხის დავალდებულებაზე; მოსარჩელეს უარი ეთქვა 2005 წლის 28 დეკემბრიდან შეიარაღებული ძალების რიგებიდან მოსარჩელის დათხოვნის და ამ მომენტამდე განაცდლური პერიოდის სპეციალობით ნამსახურობის წლებში ჩათვლის შესახებ ბრძანების -ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემით მოპასუხის დავალდებულებაზე; მოსარჩელეს უარი ეთქვა

1997 წლის 1 იანვრიდან პოლკოვნიკის სტატუსის მქონე სამხედრო მოსამსახურის დათხოვნის შემთხვევაში კანონით გათვალისწინებული სარგოების ანაზღაურებაზე. მოსარჩელეს უარი ეთქვა შრომის წიგნაკის მიუღებლობით იძულებითი განაცდური ხელფასის ოდენობის ზიანის ანაზღაურებაზე.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება ეფუძნება შემდეგ მოტივებს: პირველი ინსტანციის სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 1992 წლის 3 აპრილის #23 ბრძანებით კაპიტანი ნ. გ-ია დაინიშნა ცენტრალური ... მ/შემსრულებლად, ხოლო 1992 წლის 1 ივლისის #100 ბრძანებით უფროსი კაპიტანი ნ. გ-ია დაინიშნა შეიარაღებული ძალების ... უფროს თავმჯდომარედ. 1996 წლის აპრილის #192 ბრძანებით ნ. გ-იას მიენიჭა ვიცე-პოლკოვნიკის წოდება; საქართველოს თავდაცვის მინისტრის 1996 წლის 5 დეკემბრის #842 ბრძანებით კი ნ. გ-ია გადაიყვანეს კადრების მთავარი სამმართველოს განკარგულებაში. 1997 წლის 28 ივლისის #306 ბრძანებით ნ. გ-ია სამსახურებრივი შეუფერებლობის მოტივით დაითხოვეს შეიარაღებული ძალების რიგებიდან. სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2001 წლის 25 იანვრის #34 ბრძანებით გაუქმდა 1997 წლის 28 ივნისის #306 ბრძანების მე-2 პუნქტი ნ. გ-იას შეიარაღებული ძალების რიგებიდან დათხოვნის შესახებ და 1997 წლის 25 თებერვლიდან იგი აღდგენილ იქნა კადრების მთავარი სამმართველოს განკარგულებაში. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 2006 წლის 16 ივნისის #1446 ბრძანებით გაუქმდა 2001 წლის 25 იანვრის #34 ბრძანების მე-2 პუნქტი და ნ. გ-ია შეიარაღებული ძალების რიგებიდან დათხოვნილად ჩაითვალა რეზერვში 1997 წლის 25 ივნისიდან საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პირადი შემადგენლობის სიებიდან ამორიცხვითა და ყველა სახის კმაყოფიდან მოხსნით.

პირველი ინსტანციის სასამართლომ განმარტებით საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2006 წლის 16 ივნისის #1446 ბრძანება წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რომლის ბათილად ცნობისათვის საჭიროა არსებობდეს იყოს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლით გათვალისწინებული გარემოებები. სასამართლომ მითითებით, გასაჩივრებულ ბრძანებაში დათხოვნის საფუძვლად მითითებულია "სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ" კანონის მე-2 თავის 21 მუხლის "გ" ქვეპუნქტი. აღნიშნული კანონის 21-ე მუხლით განისაზღვრა სამხედრო მოსამსახურის სამსახურიდან დათხოვნის საფუძვლები, მაგრამ გასაჩივრებულ ბრძანებაში დათხოვნის საფუძვლად მითითებული კანონი მიღებული იქნა 1998 წლის 25 იანვარს, ხოლო მოსარჩელე ამ კანონით გათვალისწინებული საფუძვლით დათხოვნილად ჩაითვალა 1997 წლიდან. სასამართლომ აღნიშნა, რომ "სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ" საქართველოს კანონს უკუქცევითი ძალა არ გააჩნია და მისი გამოყენება წინა პერიოდში დათხოვნის დროს დაუშვებელია, რადგან "ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის 47-ე მუხლის I პუნქტის თანახმად ნორმატიულ აქტს უკუძალა აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს პირდაპირ არის დადგენილი ამ ნორმატიული აქტით.

ამდენად, პირველი ინსტანციის სასამართლომ მიიჩნია, რომ გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ნ. გ-იას დათხოვნის ნაწილში უკანონოა და იგი საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლის I ნაწილით გათვალისწინებული საფუძვლებით ბათილად უნდა იქნეს ცნობილი.

პირველი ინსტანციის სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ ამავე მოტივით მოსარჩელეს უარი უნდა ეთქვას 2005 წლის 28 დეკემბრიდან შეიარაღებული ძალების რიგებიდან დათხოვნის და ამ მომენტამდე განცდური პერიოდის სპეციალობით ნამსახურობის წლებში ჩათვლის მოთხოვნაზე, რადგან 2006 წლის 16 ივნისის #1446 ბრძანების ბათილად ცნობის სამართლებრივ შედეგს არ წარმოადგენდა მოსარჩელის თანამდებობაზე აღდგენა, "სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ" კანონის მე-12 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად სამხედრო სამსახურში ყოფნის პერიოდი პირს ეთვლება -შრომის საერთო სტაჟში და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში სპეციალობის მიხედვით ნამსახურობის სტაჟში. სასამართლომ მოსაზრებით, ვინაიდან მოსარჩელე შეიარაღებული ძალების რიგებში არ არის აღდგენილი, ამიტომ მისი მოთხოვნა განაცდური წლების სტაჟში ჩათვლის თაობაზე უსაფუძვლოდ იქნა მიჩნეული.

პოლკოვნიკის სამხედრო წოდების მინიჭებასთან დაკავშირებით პირველი ინსტანციის სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელეს 1996 წლის აპრილში მიენიჭა ვიცე/პოლკოვნიკის სამხედრო წოდება, ხოლო პოლკოვნიკის სამხედრო წოდების მინიჭების დრო შეუსრულდა 2001 წლის აპრილში. პირველი ინსტანციის სასამართლომ აღნიშნა, რომ 2006 წლის #1446 ბრძანების ბათილად ცნობით ძალაშია 2001 წლის 25 იანვრის #34 ბრძანება, რომლითაც ნ. გ-ია კადრების განკარგულებაში ადღგენილ იქნა 1997 წლის 25 თებერვლიდან, ეს კი იმას ნიშნავს, რომ 2001 წლის აპრილში, როცა მოსარჩელეს პოლკოვნიკის მორიგი წოდების მიღების დრო შეუსრულდა, იგი იმყოფებოდა კადრების განკარგულებაში. "სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ" კანონის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის "გ" ქვეპუნქტის თანახმად კი სამხედრო წოდების მინიჭება

ხდება საშტატო განრიგისა და დაკავებული თანამდებობის მიხედვით. სასამართლოს განმარტებით, კადრების განკარგულებაში მყოფ პირს ვერ მიენიჭებოდა პოლკოვნიკის სამხედრო წოდება.

პირველი ინსტანციის სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელის მოთხოვნა ამ ნაწილში უსაფუძვლოა და შესაბამისად არ არსებობდა მოსარჩელისათვის 1997 წლის 1 იანვრიდან პოლკოვნიკის სტატუსის მქონე სამხედრო მოსამსახურის დათხოვნის კანონით გათვალისწინებული სარგოს ანაზღაურების საფუძველი. სასამართლომ იმ გარემოებაზე გაამახვილა ყურადღება, რომ მოსარჩელეს პოლკოვნიკის სამხედრო წოდების მიღების ვადა შეუსრულდა 2001 წელს.

პირველი ინსტანციის სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია ასევე სასარჩელო მოთხოვნა შრომის წიგნაკის მიუღებლობით მიყენებული იძულებითი განაცდური ხელფასის ოდენობის ზიანის ანაზღაურების თაობაზე. სასამართლოს მითითებით, მოსარჩელემაც აღიარა, რომ 1997 წლის 8 სექტემბერს ნ. გ-ია დაინიშნა საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ... უფროსის მოადგილედ. 2000 წლის 30 ივნისს ნ. გ-ია გათავისუფლდა ... უფროსის მოადგილის თანამდებობიდან და დაინიშნა საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ... თავმჯდომარის მოადგილედ, საიდანაც გათავისუფლებულა 2001 წლის 19 მარტს და დაინიშნა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ... თავმჯდომარედ, აღნიშნული თანამდებობიდან კი მოსარჩელე გათავისუფლდა 2004 წლის 30 ივნისს.

პირველი ინსტანციის სასამართლომ განმარტა, რომ ნ. გ-ია იყო რა საჯარო მოსამსახურე, "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 64-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, იმავდროულად ვერ იქნებოდა სხვა სახელმწიფო სამსახურში. შესაბამისად სასამართლომ აღნიშნა, რომ არ არსებობდა სამხედრო სამსახურში იძულებითი განაცდური პერიოდის და ამ პერიოდში შრომის წიგნაკის მიუღებლობით დამდგარი ზიანის ანაზღაურების საფუძველი. სასამართლომ განმარტა, რომ მოსარჩელემ ვერ წარმოადგინა ვერანაირი მტკიცებულება შრომის წიგნაკის მოთხოვნისა და მასზე უარის თქმის მიღების თაობაზე.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ნ. გ-იამ და საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 1 ივლისის განჩინებით ნ. გ-იას და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 6 თებერვლის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლო დაეთანხმა და გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებები და დასკვნები საქმის ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით და დამატებით აღნიშნა, რომ 1992 წლის 29 დეკემბრის "საყოველთაო სამხედრო ვალდებულების შესახებ" საქართველოს კანონით (ძალადაკარგულია საქართველოს 09/17/97 #860 კანონით) განისაზღვრა საქართველოს მოქალაქეთა მიერ სამხედრო ვალდებულებების მოხდის წესი. სააპელაციო პალატის განმარტებით, ამ კანონის 35-ე მუხლის თანახმად, ოფიცერთა შემადგენლობის სამხედრო სამსახურის გავლის წესს განსაზღვრავდა საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი. ოფიცრები სამხედრო სამსახურს გადიოდნენ და იმყოფებოდნენ შეიარაღებული ძალების რიგებში ზღვრული ასაკის მიღწევამდე (ზღვრული ასაკი სხვადასხვა რანგის ოფიცრებისათვის იყო სხვადასხვა), ხოლო ამ კანონის 36-ე მუხლით, ზღვრულ ასაკს მიღწეული კადრის ოფიცერი ექვემდებარებოდა სამხედრო სამსახურიდან დათხოვნას. სააპელაციო პალატის განმარტებით, ამავე კანონის 37-ე მუხლის მიხედვით ზღვრული ასაკის შესრულებამდე ოფიცრები შეიძლება დაეთხოვათ სამხედრო სამსახურიდან შემდეგ შემთხვევებში: ა) ავადმყოფობის გამო; ბ) სამსახურეობრივი შეუფერებლობისათვის; გ) შტატების შემცირების გამო; დ) ოფიცრის დამამცირებელი საქციელისათვის; ამავე კანონის 48 "გ" მუხლით მოქმედ სამხედრო სამსახურში ყოფნის დროს კი სამხედრო მოსამსახურეებს ეკრძალებოდათ შეთავსებით სამსახური.

სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის 20 ოქტომბრის #748 დადგენილებით (ძალადაკარგულია საქართველოს პრეზიდენტის 10/26/98 #609 ბრძანებულებით) დამტკიცდა "საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებში სამხედრო სამსახურის გავლის წესის შესახებ" დებულება. ამ დებულების მეშვიდე თავით განისაზღვრა სამხედრო სამსახურიდან დათხოვნის წესი. ამ დებულების 41 "ბ" პუნქტის თანახმად, სამხედრო სამსახურიდან ოფიცერთა დათხოვნის წესი განისაზღვრებოდა საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის მიერ, ხოლო 47-ე პუნქტის მიხედვით ოფიცრების სამხედრო სამსახურიდან დათხოვნის ან სამსახურიდან გადადგომის დღედ ითვლებოდა ნაწილის პირადი შემადგენლობიდან ნაწილის მეთაურის (უფროსის) ბრძანებით მათი ამორიცხვის დღედ.

სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია ის გარემოება, რომ 1992-1997 წლებში (1997 წლის 3 აპრილი -1997 წელი კადრების მთავარი სამმართველოს განკარგულებაში ყოფნის ვადის გასვლის მომენტამდე) მოსარჩელე ნ. გ-ია წარმოადგენდა სამხედრო მოსამსახურეს. შესაბამისად,

მოსარჩელე ნ. გ-ია, როგორც სამხედრო მოსამსახურე სამხედრო სამსახურიდან უნდა გაეთავისუფლებინათ "საყოველთაო სამხედრო ვალდებულების შესახებ" საქართველოს კანონითა და საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის 20 ოქტომბრის #748 დადგენილებით დამტკიცებული "საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებში სამხედრო სამსახურის გავლის წესის შესახებ დებულების" საფუძველზე.

სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მესამე ნაწილის და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლების შესაბამისად აპელანტ ნ. გ-იას მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი რაიმე სახის მტკიცებულება, ვერც სააპელაციო პალატის მიერ გამოთხოვილი და აპელანტ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ წარმოდგენილი რეზერვის ვიცე პოლკოვნიკის -ნ. ლ. ძე გ-იას პირადი საქმის დათვალიერებით ვერ დადასტურდა ის ფაქტი რომ ნ. გ-იას მიერ სამხედრო სამსახურის გავლის დროს წარდგენილი იქნა შრომის წიგნაკი (ნამსახურობის ნუსხასთან, სამხედრო ბილეთთან ერთად). სააპელაციო პალატის განმარტებით, ნ. გ-იას სადავოდ არ გაუხდია და არც მოუთხოვია მისთვის, როგორც რეზერვის შემადგენლობაში მყოფი ოფიცერისათვის მორიგი სამხედრო წოდების მინიჭება.

სააპელაციო პალატის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრეს საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ და ნ. გ-იამ.

კასატორმა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ მოითხოვა სააპელაციო პალატის განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

კასატორის განმარტებით, ნ. გ-ია 1997 წლის 25 ივნისამდე 4 თვის განმავლობაში იმყოფებოდა კადრების განკარგულებაში, ხოლო 1997 წლისათვის ნ. გ-იამ მუშაობა დაიწყო სხვა საჯარო დაწესებულებაში. საკასაციო საჩივარში საქართველოს თავდაცვის სამინისტრო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ სააპელაციო სასამართლომ არ მისცა სწორი შეფასება იმ გარემოებას, რომ ნ. გ-იას მიმართ ამოწურულია კადრების განკარგულებაში ყოფნის ზღვრული ვადა, რის გამოც მას არ ეკუთვნის შრომის ანაზღაურება და მისი კვლავ კადრების განკარგულებაში ყოფნა კანონმდებლობის დარღვევას წარმოადგენს.

კასატორმა ნ. გ-იამ მოითხოვა სააპელაციო პალატის განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

კასატორმა აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად ჩათვალა, რომ თავდაცვის მინისტრის 2006 წლის 16 ივნისის #1446 ბრძანების ბათილად ცნობის შედეგს თითქოს არ წარმოადგენს მის პირვანდელ თანამდებობაზე აღდგენა.

კასატორის განმარტებით, მის პირვანდელ თანამდებობაზე აღდგენის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს "სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ" დებულების მე-9 თავის მე-5 მუხლი და საქართველოს კანონის "სამხედრო სამსახურის სტატუსის შესახებ" 21-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

კასატორის განმარტებით, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებამდე მის სასარჩელო განცხადებაში დაყენებული იყო პირვანდელ თანამდებობაზე აღდგენის და არა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო თანამდებობიდან დათხოვნის მოთხოვნები.

კასატორის მოთხოვნა განაცდური პერიოდის სპეციალობით ნამსახურობის წლებში ჩათვალაზე ეხებოდა განთავისუფლებიდან 2005 წლის 28 დეკემბრამდე პერიოდს, ხოლო ის, რომ განაცდური პერიოდი კასატორს უნდა ჩაეთვალოს ნამსახურობის წლებში, გამომდინარეებს მისი პირვანდელ თანამდებობაზე აღდგენის დასაბუთებიდან.

კასატორის არ იზიარებს სააპელაციო პალატის მოსაზრებას, შრომის წიგნაკის მოთხოვნასთან დაკავშირებით.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, საკასაციო საჩივრების მოტივების შემოწმების, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის შედეგად თვლის, რომ ნ. გ-იას საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს; საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ; გაუქმდეს მოცემულ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 11 ივლისის განჩინება იმ ნაწილში, რომლითაც უცვლელი დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილება ნ. გ-იას სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილების ნაწილში, კერძოდ, რომლითაც ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2006 წლის 16 ივნისის #1446 ბრძანება ნ. გ-იას საქართველოს შეიარაღებული ძალებიდან 1997 წლის 25 ივნისიდან დათხოვნის ნაწილში; სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად უნდა იქნეს ცნობილი საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2006 წლის 16 ივნისის #1446 ბრძანება ნ. გ-იას საქართველოს შეიარაღებული ძალებიდან 1997 წლის 25 ივნისიდან დათხოვნის ნაწილში და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს

უნდა დაევალოს ამ საკითხთნ დაკავშირებით ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის გამოცემა შემდეგ გარემოებათა გამო:

როგორც საქმის მასალებით ირკვევა, საქართველოს თავდაცვის მინისტრის 1996 წლის 5 დეკემბრის #842 ბრძანებით ... ვიცე-პოლკოვნიკი ნ. გ-ია განთავისუფლდა ... უფროსის თანამდებობიდან და დაინიშნა კადრის მთავარი სამმართველოს განკარგულებაში.

საქართველოს თავდაცვის მინისტრის 1997 წლის 28 ივლისის #306 ბრძანებით ნ. გ-ია სამსახურეობრივი შეუფერებლობის მოტივით დაითხოვეს შეიარაღებული ძალების რიგებიდან; საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2001 წლის 25 იანვრის #34 ბრძანებით კი გაუქმდა თავდაცვის მინისტრის 1997 წლის 28 ივლისის #306 ბრძანების მე-2 პუნქტი კადრების მთავარი სამმართველოს განკარგულებაში მყოფი ... ვიცე-პოლკოვნიკი ნ. გ-იას დათხოვნის შესახებ, როგორც საფუძველს მოკლებული; ... ვიცე-პოლკოვნიკი ნ. გ-ია აღდგენილ იქნა კადრების მთავარი სამმართველოს განკარგულებაში 1997 წლის 25 თებერვლიდან.

საკასაციო პალატა ასევე დადგენილად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2006 წლის 16 ივნისის #1446 ბრძანებით საქართველოს უზენაეს სასამართლოს 2004 წლის 30 ივლისის #ბს-751-642 განჩინების და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს იურიდიული სამმართველოს 2006 წლის 6 ივნისის #6/1026 მომართვის საფუძველზე გაუქმდა საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2001 წლის 25 იანვრის #34 ბრძანების მე-2 პუნქტი და შესაბამისად ვიცე-პოლკოვნიკი ნ. გ-ია ჩაითვალა დათხოვნილად საქართველოს შეიარაღებული ძალების რიგებიდან რეზერვში 1997 წლის 25 ივნისიდან (საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პირადი შემადგენლობის სიებიდან ამორიცხვითა და ყველა სახის კმაყოფიდან მოხსნით), საქართველოს კანონის "სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ" მე-2 თავის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის "გ" ქვეპუნქტის (რეორგანიზაციით და შტატების შემცირებით) თანახმად.

საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად აღნიშნა, რომ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2006 წლის 16 ივლისის #1446 ბრძანებაში დათხოვნის საფუძველად მითითებულია "სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ" კანონის მე-2 თავის 21 მუხლის მეორე პუნქტის "გ" ქვეპუნქტი. აღნიშნული კანონის 21-ე მუხლით განისაზღვრა სამხედრო მოსამსახურის სამსახურიდან დათხოვნის საფუძველები, მაგრამ გასაჩივრებულ ბრძანებაში დათხოვნის საფუძველად მითითებული კანონი მიღებულ იქნა 1998 წელს, ხოლო მოსარჩელე ამ კანონით გათვალისწინებული საფუძველით დათხოვნილად ჩაითვალა 1997 წლიდან; ზემოაღნიშნულ კანონს კი უკუქცევითი ძალა არ გააჩნია და მისი გამოყენება წინა პერიოდში დათხოვნის დროს დაუშვებელია; საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ მოცემულ შემთხვევაში სწორად გამოიყენა "ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის 47-ე მუხლის I პუნქტი, რომლის თანახმად, ნორმატიულ აქტს უკუძალა აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს პირდაპირ არის დადგენილი ამ ნორმატიული აქტით.

დადგენილია, რომ 1997 წლის 8 სექტემბერს ნ. გ-ია დაინიშნა საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ... უფროსის მოადგილედ. იმ პერიოდისათვის მოქმედი "საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო სამსახურის შესახებ" კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის იმპერატიული მოთხოვნაა, რომ სახელმწიფო მოსამსახურეს უფლება არა აქვს ეკავოს სხვადასხვა თანამდებობა, ანდა ასრულებდეს ანაზღაურებად სამუშაოს სხვა სახელმწიფო ორგანოში. სადავო პერიოდში მოქმედი "საყოველთაო სამხედრო ვალდებულების შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონის 37-ე მუხლის "გ" ქვეპუნქტის თანახმად ზღვრული ასაკის შესრულებამდე ოფიცერი შეიძლება დაითხოვონ სამხედრო სამსახურიდან შტატების შემცირების გამო.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, იმისათვის, რომ შესრულდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის მე-3 და მე-5 ნაწილების და 96-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების მოთხოვნები და ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება იყოს კანონშესაბამისი, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის მეტად მნიშვნელოვანი და სავალდებულო წინაპირობაა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოების გამოკვლევა, გაანალიზება, შესწავლა და გადაწყვეტილების მიღება ამ გარემოებათა კომპლექსური შეფასების შედეგად, იმისათვის, რომ თავიდან იქნეს აცილებული ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან რაიმე შეცდომა და ამის საფუძველზე დაუსაბუთებელი დასკვნის გაკეთება.

საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის მიხედვით, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია საქმისათვის არსებითი მნიშვნე-

ლობის გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, რის გამოც მოცემულ საქმეზე გამოყენებული უნდა იქნეს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილი და სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად უნდა იქნეს ცნობილი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დაევალოს გამოიკვილოს და შეფასება მისცეს ზემოაღნიშნულ გარემოებებს და ამის შემდეგ გამოსცეს ახალი ინდივიდუალურ სამართლებრივი აქტი ნ. გ-ის მიმართ სადავო სამართლებრივი ურთიერთობის დროისათვის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

საკასაციო პალატას დაუსაბუთებლად მიაჩნია კასატორი ნ. გ-ის საკასაციო საჩივრის მოტივები, რადგან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს, რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორი შეფასება და მატერიალურ-სამართლებრივი ნორმების არასწორად გამოყენება და განმარტება. საკასაციო პალატა თვლის, რომ კასატორ ნ. გ-ის სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების მიმართ ასეთი დასაბუთებული პრეტენზია არ წარმოუდგენია. რის გამოც, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ არ არსებობს კასატორ ნ. გ-ის საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე, 411-ე მუხლებით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. ნ. გ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი;
3. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 1 ივლისის განჩინება იმ ნაწილში, რომლითაც უცვლელი დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილება ნ. გ-ის სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილების ნაწილში, კერძოდ, რომლითაც ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2006 წლის 16 ივლისის #1446 ბრძანება ნ. გ-ის საქართველოს შეიარაღებული ძალებიდან 1997 წლის 25 ივნისიდან დათხოვნის ნაწილში;
4. სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2006 წლის 16 ივლისის #1446 ბრძანება ნ. გ-ის საქართველოს შეიარაღებული ძალებიდან 1997 წლის 25 ივნისიდან დათხოვნის ნაწილში და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დაევალოს ამ საკითხთან დაკავშირებით ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის გამოცემა;
5. დანარჩენ ნაწილში უცვლელი დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 1 ივლისის განჩინება;
6. საკასაციო პალატის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სადავო საკითხის გადაუწყვეტლად აქტის ბათილად ცნობა

განჩინება

#ბს-355-340(23-09) 28 სექტემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა შემადგენლობა: ნ. ქადაგიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

მ. ვაჩაძე,

მ. ცისკაძე

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა და ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა

აღწერილობითი ნაწილი:

სს "...“ დირექტორმა ჯ. ა-შვილმა 2007 წლის 12 ნოემბერს სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხეების -საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ქ. თბილისის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექციის) მიმართ და მოითხოვა ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის 2007 წლის 13 ივნისის #1568 საგადასახადო მოთხოვნის, თბილისის საგადასახადო ინსპექციის 2007 წლის 18 მაისის შემოწმების აქტის და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 2007 წლის 25 ოქტომბრის #7455 ბრძანების ბათილად ცნობა და ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა.

სს "...“ დირექტორის ჯ. ა-შვილმა დააზუსტა სასარჩელო განცხადება და მოპასუხეებად დაასახელა: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ქ. თბილისის რეგიონალური ცენტრი (საგადასახადო ინსპექცია) და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური. სარჩელის საფუძველზე მოითხოვა ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის 2007 წლის 13 ივნისის #1568 საგადასახადო მოთხოვნის, თბილისის საგადასახადო ინსპექციის 2007 წლის 16 მარტის #03/გ/285, 2007 წლის 8 მაისის #03/გ/432, 2007 წლის 1 ივნისის #2/358 ბრძანებების, 2007 წლის 18 მაისის შემოწმების აქტის და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 2007 წლის 25 ოქტომბრის #7455 ბრძანების ბათილად ცნობა და ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა, ასევე მოითხოვა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურს დავალებოდა სს "...“ ბიუჯეტში ზედმეტად გადახდილი თანხების უკან დაბრუნება 39755.30 ლარის ოდენობით.

2008 წლის 21 მარტის საქალაქო სასამართლოს სხდომაზე დაკმაყოფილდა მოპასუხე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის წარმომადგენლის ზ. ა-შვილის შუამდგომლობა არასათანადო მოპასუხედ ცნობის და მოპასუხეთა სიიდან ამორიცხვის შესახებ. მოპასუხეთა სიიდან ამორიცხვა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური.

მოსარჩელე სასარჩელო განცხადებაში მიუთითებდა, რომ 2007 წლის 7 მარტს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლე გ. გ-ძის მიერ გაიცა ბრძანება სს "...“ შემოწმების შესახებ, რომლის საფუძველზეც თბილისის საგადასახადო ინსპექციის გადამხდელთა აუდიტის სამმართველოს ინსპექტორების მიერ დაიწყო სს "...“ შემოწმება. 2007 წლის 7 მარტის ბრძანება მოსარჩელეს არ ჩაბარებია და შესაბამისად, არ იყო კანონიერ ძალაში შესული. აღნიშნული ბრძანების საფუძველზე თბილისის საგადასახადო ინსპექციამ 2007 წლის 16 მარტს გამოსცა #03/გ/285 ბრძანება გასვლითი საგადასახადო შემოწმების შესახებ, რომლითაც ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის გადამხდელთა აუდიტის სამმართველოს ინსპექტორები მივლინებულ იქნენ სს "...“, 2000 წლის 1 იანვრიდან 2006 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდის ბიუჯეტთან ანგარიშსწორების საკითხების შემოწმების მიზნით. აღნიშნულით დაირღვა "ამნისტიისა და არადეკლარირებული საგადასახადო ვალდებულებებისა და ქონების ლეგალიზაციის შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის 1 ნაწილი, კერძოდ, ამ კანონის ამოქმედებისთანავე შესრულებულად ჩაითვალოს საქართველოს რეზიდენტი და არარეზიდენტი ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ 2004 წლის 1 იანვრამდე წარმოშობილი და შეუსრულებელი საგადასახადო და საბაჟო ვალდებულებები.

მოსარჩელემ სასარჩელო განცხადებაში განმარტა, რომ 2007 წლის 13 აპრილს მოსამართლე გვენეტაძის მიერ გაცემულ იქნა ბრძანება სს "...“ შემოწმების ვადის გაგრძელების შესახებ, რომლის საფუძველზეც თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ გამოიცა 2007 წლის 8 მაისის #03/გ/432 ბრძანება, რომლითაც ინსპექციის ინსპექტორებს გაუგრძელდათ მივლინების ვადა, შესაბამისად, აღნიშნულის საფუძველზე გაგრძელდა და დასრულდა სს "...“ შემოწმება.

მოსარჩელე აღნიშნავდა, რომ თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ გამოცემული 2007 წლის 8 მაისის #03/გ/432 ბრძანება ბათილად უნდა ყოფილიყო ცნობილი იმ საფუძველით, რომ საზოგადოებას არ ჰქონდა ბრძანება ჩაბარებული და არ იყო კანონიერ ძალაში შესული. 2007 წლის 18 მარტის შემოწმების აქტი ეყრდნობა 16 მარტის #03/გ/285 ბრძანებას და ასევე საგადასახადო ინსპექციის 2007 წლის 8 მაისის #03/გ/432-ე ბრძანებას. 2007 წლის 13 ივნისის #1568 საგადასახადო მოთხოვნა ეყრდნობა 2007 წლის 18 მაისის შემოწმების აქტს, თბილისის საგადასახადო ინსპექციის 2007 წლის 16 მარტის ბრძანებას, ასევე 2007 წლის 8 მაისის ბრძანებას, გამომდინარე აქედან, აღნიშნული საგადასახადო მოთხოვნა ბათილად უნდა ყოფილიყო ცნობილი. რაც შეეხება 2007 წლის 25 ოქტომბრის #7455 ბრძანებას, რომლითაც მოსარჩელეს უარი ეთქვა

მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, ასევე იყო ბათილი ვინაიდან ეყრდნობა ბათილ საგადასახადო მოთხოვნას -ზემოაღნიშნული ინსპექციის ბრძანებებს.

მოსარჩელე სასარჩელო განცხადებაში ასევე მიუთითებდა, რომ სს "... " დაჯარიმება და თანხების დარიცხვა დღგ-ის ნაწილში მოხდა კანონის დარღვევით და მნიშვნელოვანი ფაქტების გაუთვალისწინებლად, კერძოდ, სს "... " გარკვეული მიზეზების გამო არ ფუნქციონირებს თავისი პროფილით. საწარმოს ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ფართის იჯარით გაცემა. შემოწმების აქტით ხელოვნურად, არასწორად, მიზანმიმართულად იქნა გაზრდილი შემოსავალი 2004 წლის აგვისტოდან 2005 წლის აგვისტომდე 4000 ლარით და ყოველად დაუსაბუთებლად შეტანილი იქნა აქტში, რომ დღგ-ის გადამხდელად სს "... " უნდა დარეგისტრირებულიყო 2005 წლის აგვისტოდან. აღნიშნული გამოიწვია შემდეგმა გარემოებებმა: 2005 წლის 1 იანვრიდან სს "... " და ინდ. მეწარმე მ. დ-მეს შორის დადებული იყო იჯარის ხელშეკრულება. 2005 წლის 1 თებერვლიდან, ინდ. მეწარმე მ. დ-მესთან ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ, იგივე ფართი იჯარით აიღო ინდ. მეწარმე ზ. ს-მემ, რომელიც დღემდე ფუნქციონირებს. საწარმოს შემოწმების დროს ყოველგვარი საფუძვლის გარეშე ჩაითვალა, რომ დ-მეს და ს-მეს ერთდროულად ჰქონდათ გაფორმებული იჯარის ხელშეკრულებები სს "... " და შესაბამისად ხელოვნურად იქნა გაზრდილი საწარმოს შემოსავალი, ანუ შემოწმების აქტის მიხედვით მიჩნეულია, რომ ერთი ფართი ერთსა და იმავე დროს დატვირთული იყო ორი სხვადასხვა მეწარმის სასარგებლოდ. მოსარჩელე მიუთითებდა, რომ მოპასუხის მიერ თანხის დარიცხვისას არ იქნა გამოკვლეული ის ფაქტი, რომ გარკვეული დროის მონაკვეთში მიმდინარეობდა საწყობის რემონტი და შესაბამისად, სს "... " არ იღებდა შემოსავალს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელე ითხოვდა დასახელებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობას და ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 21 მარტის გადაწყვეტილებით სს "... " დირექტორის ჯ. ა-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შესაფასების გარეშე, სადაო საკითხის გადაწყვეტლად, ბათილად იქნა ცნობილი ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის 2007 წლის 13 ივნისის #1568 საგადასახადო მოთხოვნა, ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის 16.03.07 წლის #03/გ285, 08.05.07 წლის #03/გ432, 01.06.07 წლის #2/358 ბრძანებები, 2007 წლის 18 მაისის შემოწმების აქტი და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 2007 წლის 25 ოქტომბრის #7455 ბრძანება, დაევალა მოპასუხე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ქ. თბილისის რეგიონალურ ცენტრს (საგადასახადო ინსპექცია) საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ ზემოთ მითითებული აქტების ბათილად ცნობასთან დაკავშირებით ახალი ადმინისტრაციული აქტის გამოცემა; არ დაკმაყოფილდა სს "... " დირექტორის ჯ. ა-შვილის მოთხოვნა ბიუჯეტში ზედმეტად გადახდილი თანხის 39755.30 ლარის უკან დაბრუნების თაობაზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია გადაწყვეტილებაში მიუთითებდა, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის "ა" ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანს შეიძლება წარმოადგენდეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან. ამავე კოდექსის 22-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი შეიძლება აღიძრას ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის მოთხოვნით, ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ასეთი სარჩელი დასაშვებია, თუ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, ან მისი ნაწილი პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას, ან ინტერესს ან უკანონოდ ზღუდავს მის უფლებებს. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60¹ მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამავე კოდექსის 53-ე მუხლის თანახმად, ყველა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი უნდა შეიცავდეს წერილობით დასაბუთებას, რომელიც წინ უნდა უძღოდეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის სარეზოლუციო ნაწილს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მითითებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვლიოს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასების და ურთიერთშეჯერების საფუძველზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის 2007 წლის 13 ივნისის #1568 საგადასახადო მოთხოვნა, ქ. თბილისის საგადასახადო ინ-

სპექციის 16.03.07 წლის #03/გ285, 08.05.07 წლის #03/გ432, 01.06.07 წლის #2/358 ბრძანებები, 2007 წლის 18 მაისის შემოწმების აქტი და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 2007 წლის 25 ოქტომბრის #7455 ბრძანება გამოცემული იყო ადმინისტრაციული ორგანოს მიერ არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, ვინაიდან საქმის მასალებით დადგენილია, რომ 2007 წლის 7 მარტს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ გაიცა ბრძანება სს "... " შემოწმების შესახებ, რომლის საფუძველზეც თბილისის საგადასახადო ინსპექციის გადამხდელთა აუდიტის სამმართველოს ინსპექტორების მიერ დაიწყო სს "... " შემოწმება. 2007 წლის 7 მარტის ბრძანება მოსარჩელეს არ ჩაბარებია, რაც დადასტურებულია და მხარეებს სადაოდ არ გაუხდიათ. ბრძანების საფუძველზე თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ 2007 წლის 16 მარტს გამოიცა #03/გ/285 ბრძანება გასვლითი საგადასახადო შემოწმების შესახებ, რომლითაც ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის გადამხდელთა აუდიტის სამმართველოს ინსპექტორები მივლინებული იქნენ სს "... ", 2000 წლის 1 იანვრიდან 2006 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდის ბიუჯეტთან ანგარიშსწორების საკითხების შემოწმების მიზნით, რითაც დარღვეულ იქნა "ამნისტიისა და არადეკლარირებული საგადასახადო ვალდებულებებისა და ქონების ლეგალიზაციის შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის 1 ნაწილი.

პირველი ინსტანციის სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს კანონის "სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ" მე-3 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, კანონის დარღვევით განხორციელებული შემოწმების შედეგად მიღებულ მტკიცებულებებს იურიდიული ძალა არა აქვს. საგადასახადო ორგანოს მიერ დარღვეულ იქნა "საგადასახადო მოთხოვნის" გამოცემის და გადამხდელისათვის გაგზავნის კანონით განსაზღვრული წესი, კერძოდ, საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-80 მუხლის მე-3 ნაწილი ითვალისწინებს გადასახადის გადამხდელისათვის საგადასახადო მოთხოვნის გაგზავნას 5 სამუშაო დღის განმავლობაში, მას შემდეგ, რაც საგადასახადო ორგანოს უფროსის მოადგილის მიერ მიღებული იქნება გადაწყვეტილება თანხების დარიცხვის შესახებ. მოცემულ შემთხვევაში გადაწყვეტილება სს "... " თანხების დარიცხვის თაობაზე მიღებულ იქნა 2007 წლის 1 ივნისს (ბრძანება #2/358), საგადასახადო მოთხოვნა დათარიღებულია 2007 წლის 19 ივნისით, ანუ თოთხმეტი დღის დაგვიანებით. საგადასახადო მოთხოვნაში არ არის მითითებული ნორმა, რომლის საფუძველზეც მოხდა გადასახადების დარიცხვა.

პირველი ინსტანციის სასამართლომ მიუთითა, რომ ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ გამოცემული 2007 წლის 8 მაისის #03/გ/432 ბრძანება ბათილია, ვინაიდან მის საფუძველზე გამოცემული ბრძანება არ იყო კანონიერ ძალაში შესული. 2007 წლის 18 მაისის შემოწმების აქტი ეფუძნება 16 მარტის #03/გ/285-ე ბრძანებას და ასევე საგადასახადო ინსპექციის 2007 წლის 8 მაისის #03/გ/432-ე ბრძანებას. 2007 წლის 13 ივნისის #1568 საგადასახადო მოთხოვნა ეფუძნება 2007 წლის 18 მაისის შემოწმების აქტს, თბილისის საგადასახადო ინსპექციის 2007 წლის 16 მარტის ბრძანებას, ასევე 2007 წლის 8 მაისის ბრძანებას, გამომდინარე აქედან, აღნიშნული საგადასახადო მოთხოვნა ბათილია. ასევე ბათილია 2007 წლის 25 ოქტომბრის #7455 ბრძანება, რომლითაც მოსარჩელეს უარი ეთქვა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, ვინაიდან ეყრდნობა ბათილ საგადასახადო მოთხოვნას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ მიუთითა, რომ საქმის მასალებით დადგენილია და მხარეებს სადაოდ არ გაუხდიათ ის გარემოება, რომ საწარმოს ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ფართის იჯარით გაცემა. საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-18 მუხლით ქონების იჯარით გაცემა განეკუთვნება მომსახურეობას. მომხმარებელი მომსახურეობის საფასურს იხდის მომსახურეობის შეძენისას. საიჯარო ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში ფორმდება დოკუმენტი მომსახურეობის მოწოდებაზე. 2005 წლის 1 იანვრიდან სს "... " და ინდ. მეწარმე მ. დ-ძეს შორის დადებული იყო იჯარის ხელშეკრულება. 2005 წლის 1 თებერვლიდან, ინდ. მეწარმე მ. დ-ძესთან ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ, იგივე ფართი იჯარით აიღო ინდ. მეწარმე ზ. ს-ძემ (ხელშეკრულება ძალაში არ გაუქმებულა). შემოწმების აქტის მიხედვით მიჩნეულია, რომ იჯარის ხელშეკრულებით ერთი ფართი ერთსა და იმავე დროს დატვირთული იყო ორი სხვადასხვა მეწარმის სასარგებლოდ, რაც უსაფუძვლოა და სამართლებრივად შეუძლებელი.

გარდა ამისა, მოპასუხის მიერ არ იქნა გამოკვლეული ის ფაქტი, რომ თანხის დარიცხვისას, გარკვეული დროის მონაკვეთში მიმდინარეობდა საწყობის რემონტი და შესაბამისად, სს "... " არ ღებულობდა შემოსავალს.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს სს "... " დირექტორმა ჯ. ა-შვილმა, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ქ. თბილისის რეგიონალურმა ცენტრმა (საგადასახადო ინსპექცია), საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურმა. სს "... " დირექტორმა ჯ. ა-შვილმა მოითხოვა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს

შემოსავლების სამსახურის ქ. თბილისის რეგიონალურ ცენტრს (საგადასახადო ინსპექცია) და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურს მის სასარგებლოდ დაკისრებოდათ პროცესის ხარჯების გადახდა, კერძოდ: სახელმწიფო ბაჟის 1200 ლარის და სააპელაციო საჩივართან დაკავშირებით გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 150 ლარის ოდენობით.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ქ. თბილისის რეგიონალურმა ცენტრმა (საგადასახადო ინსპექცია) და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურმა მოითხოვეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 21 მარტის გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით გადაწყვეტილების გასაჩივრებულ ნაწილში სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა. აპელანტებმა სააპელაციო საჩივარში მიუთითეს, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება იყო უკანონო და დაუსაბუთებელი, რადგან სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, გამოეყენა კანონი, რომელი არ უნდა გამოეყენებინა და არასწორად განმარტა კანონი. სასამართლომ გამოყენებულ ნორმებს მისცა არასწორი ინტერპრეტაცია, არასწორად შეაფასა და ზოგიერთ შემთხვევაში საერთოდ არ შეაფასა ფაქტობრივი გარემოებები.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 20 ოქტომბრის განჩინებით სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 21 მარტის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ განჩინების მიღებისას იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390.3 "გ" მუხლით და სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებები და დასკვნები საქმის ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით.

მითითებული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გასაჩივრეს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ქ. თბილისის რეგიონალურმა ცენტრმა (საგადასახადო ინსპექცია) და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურმა.

კასატორი - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ქ. თბილისის რეგიონალური ცენტრი (საგადასახადო ინსპექცია) საკასაციო საჩივარში მიუთითებდა, რომ სასამართლომ არასწორად გამოიყენა და განმარტა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60¹, 53-ე და 96-ე მუხლები. არ გამოიყენა საქართველოს საგადასახადო კოდექსისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლები.

კასატორი მიუთითებდა, რომ სასამართლომ დაუშვა ფაქტობრივი ხასიათის შეცდომა, როდესაც აღნიშნა, რომ მოსამართლის 2007 წლის 7 მარტის ბრძანება მხარეს არ ჩაბარებია. ამის საპირისპიროდ, სს "... " თავის დაზუსტებულ სარჩელში აღნიშნავს, რომ "შემოსავლების სამსახურში საქმის განხილვის დროისათვის ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ სს "... " ერთ-ერთ რიგით თანამშრომელს ხელზე მიუღია აღნიშნული ბრძანება." აქედან გამომდინარე, კასატორი მიუთითებდა, რომ ეს ფაქტი საკმარისია იმისათვის, რომ მოსამართლის 2007 წლის 7 მარტის ბრძანების კანონიერების მიმართ კითხვა არ დასმულიყო.

კასატორის მოსაზრებით, ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციას კანონი არ დაურღვევია. "ამნისტიისა და არადეკლარირებული საგადასახადო ვალდებულებებისა და ქონების ლეგალიზაციის შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-3 ნაწილში გარკვევით არის ნათქვამი, რომ სათანადო პირობების არსებობისას შეიძლება შემოწმდეს ობიექტი 2004 წლის 1 იანვრამდე. ბუნებრივია, ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის 2007 წლის 16 მარტის #03/გ/285 ბრძანების გამოცემისას შეუძლებელი იყო საგადასახადო ინსპექციას გაერკვია ამ პირობების შესაძლო არსებობის შესახებ, მით უფრო, რომ მოსამართლის 2007 წლის 7 მარტის ბრძანებაში მითითებულია სწორედ 2000 წლის 1 იანვრიდან 2006 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდი.

ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის 2007 წლის 16 მარტის #03/გ/285 ბრძანებით სს "... " მივიღინებულ საგადასახადო ინსპექციის თანამშრომლებს უკვე ჰქონდათ ზემოაღნიშნულის გარკვევის შესაძლებლობა და ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის 2007 წლის 18 მაისის რევიზიის აქტი შეეხო მხოლოდ 2004 წლის 1 იანვრიდან 2006 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდს, ანუ საგადასახადო ინსპექციის მხრიდან სრულად არის დაცული კანონი "ამნისტიისა და არადეკლარირებული საგადასახადო ვალდებულებებისა და ქონების ლეგალიზაციის შესახებ".

კასატორის მითითებით, სასამართლომ არასწორად შეაფასა მტკიცებულებები, კერძოდ, სასამართლომ მოსარჩელის მიერ წარდგენილი ხელშეკრულებების საფუძველზე დადასტურებულად ჩათვალია, რომ 2005 წლის 1 იანვრიდან სს "... " და ინდ. მეწარმე მ. დ-მეს შორის დადებული იყო იჯარის ხელშეკრულება, ხოლო 2005 წლის 1 თებერვლიდან, ინდ. მეწარმე მ. დ-მესთან ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ, იგივე ფართი იჯარით აიღო ინდ. მეწარმე ზ. ს-მემ.

არც საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები და არც მოწმეთა ჩვენებები არ ადასტურებს ინდ. მეწარმე მ. დ-მესთან დადებული იჯარის ხელშეკრულების მოშლას.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 317.1 მუხლით განსაზღვრულია, რომ ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელია მონაწილეთა შორის ხელშეკრულება". იმავე კოდექსის 581.3 მუხლის მიხედვით, იჯარის ხელშეკრულების მიმართ გამოიყენება ქირავნობის ხელშეკრულების წესები".

ხოლო 563-ე მუხლი ცალსახად განსაზღვრავს, რომ საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტა წერილობით უნდა გაფორმდეს. ამასთან, ქირავნობის ხელშეკრულების მოშლის ვადა შეადგენს 3 თვეს, გარდა იმ შემთხვევისა, როცა საქმის გარემოებებიდან ან მხარეთა შეთანხმებიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს.

ზემოაღნიშნულის საფუძველზე თბილისის რეგიონალური ცენტრი თვლის, რომ თბილისის საპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ სრულიად უსაფუძვლოდ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს პოზიცია იჯარით გაცემული ფართის იჯარის ხელშეკრულების მოშლის მიმართ და კანონსაწინააღმდეგოდ მიიჩნია, რომ საგადასახადო ორგანომ გამოსცა ადმინისტრაციული აქტი საკითხის გამოკვლევის გარეშე.

კასატორის მითითებით, სს "... " მიერ მოიჯარებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში არსად არის განსაზღვრული, სააქციო საზოგადოების კონკრეტულად რომელი ფართია გაცემული იჯარით. ასეთი ფაქტის დადგენა შეუძლებელია როგორც წარმოდგენილი ხელშეკრულების საფუძველზე ისე მოწმის სახით დაკითხული დ-მისა და ს-მის ჩვენებებიდან.

კასატორი არ იზიარებს სასამართლოს პოზიციას, რომ არ იქნა გამოკვლეული სს "... " მიერ წარმოებული რემონტის და ამ პერიოდში, ამ ფართიდან მის მიერ შემოსავლის მიღების ფაქტი. სს "... " მიერ გაფორმებულია ხელშეკრულებები და თუ რაიმე ცვლილება შევიდა ამ ხელშეკრულებაში, ანუ თუ გამქირავებელმა მეიჯარესთან შეუთანხმებლად დაიწყო გაქირავებულ ფართში რემონტი, ან თუ გაქირავებული ფართის ნაცვლად შესთავაზა მას სხვა ფართი, ეს იწვევს სრულიად სხვა სამართლებრივ ურთიერთობებს და არ უკავშირდება საგადასახადო ინსპექციის წინაშე წარმოშობილ ვალდებულებებს.

კასატორი აღნიშნავდა, რომ სასამართლოებმა გასაჩივრებული გადაწყვეტილებით უგულებელყვეს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 199-ე მუხლით გათვალისწინებული შემოსავლებისა და ხარჯების აღრიცხვის პრინციპი, რომლის თანახმად, გადასახადის გადამხდელი ვალდებულია სწორად და დროულად აღრიცხოს შემოსავლები და ხარჯები დოკუმენტურად დადასტურებულ მონაცემთა საფუძველზე ამ თავით გათვალისწინებული მეთოდების გამოყენებით და მიაკუთვნოს იმ საანგარიშო პერიოდს, რომელშიც მოხდა მათი მიღება და გაწევა იმგვარად, რომ ცხადად აისახოს დასაბეგრი შემოსავალი (მოგება). გადასახადის გადამხდელის მიერ შემოსავლებისა და ხარჯების აღსარიცხავად გამოიყენება საკასო ან დარიცხვის მეთოდი, იმის მიხედვით, თუ რომელ მეთოდს იყენებს ბუღალტრული აღრიცხვისათვის.

გადასახადის გადამხდელი ვალდებულია სრულად აღრიცხოს მის საქმიანობასთან დაკავშირებული ყველა ოპერაცია, რათა გარანტირებული იყოს კონტროლი მათ დაწყებაზე, მიმდინარეობასა და დასრულებაზე. ამასთან, აღრიცხვის პირველად დოკუმენტებში სრულად და გარკვევით უნდა იყოს ასახული სამეურნეო ოპერაციის შინაარსი, საგანი, თანხა, სამეურნეო ოპერაციაში მონაწილე მხარეების დასახელება. გარდა ამისა, ეკონომიკური საქმიანობისათვის ქვეყნის შიგნით საქონლის მიწოდების შემთხვევაში (გარდა სპეციალური დღგ-ის ანგარიშფაქტურების მიხედვით განხორციელებული მიწოდებისა, რომლებიც მოიცავს ზედნადებით გათვალისწინებულ რეკვიზიტებს) სავალდებულოა სასაქონლო ზედნადები გამოიწეროს საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი ფორმითა და წესით, რომლის გარეშე აკრძალულია საქონლის ტრანსპორტირება, შენახვა და რეალიზაცია.

სადავო არ არის, რომ სს "... " ვალდებულია აწარმოოს და აწარმოებს კიდევ შემოსავლებისა და ხარჯების აღრიცხვას დარიცხვის მეთოდით.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 203-ე მუხლის მიხედვით, გადასახადის გადამხდელის მიერ აღრიცხვაში დარიცხვის მეთოდის გამოყენებისას შემოსავლები და ხარჯები აღრიცხება გადასახადის გადამხდელის მიერ ამ შემოსავლების მიღების უფლების მოპოვების და ასეთი ხარჯების აღიარების მომენტის მიხედვით, შემოსავლების ფაქტობრივად მიღებისა და ხარჯების გაწევის მომენტის მიუხედავად.

კასატორი აღნიშნავდა, რომ საგადასახადო ორგანომ სრულიად კანონიერად ასახა სს "... " ერთობლივ შემოსავალში ყველა ის თანხა, რომელიც უნდა გადაეხადა მეიჯარეს სს "... " არსებული ხელშეკრულების საფუძველზე.

კასატორი თვლის, რომ სასამართლო განხილვისას მხარის მიერ არ ყოფილა წარმოდგენილი ისეთი მტკიცებულება, რომელიც ეჭვქვეშ დააყენებს საიჯარო თანხების ერთობლივ შემოსავალში ჩართვას და, შესაბამისად, არ არსებობს ახალი ადმინისტრაციული აქტის გამოცემის საფუძველი.

მეორე კასატორი -საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური საკასაციო საჩივარში მიუთითებდა, სააპელაციო და საქალაქო სასამართლოებმა გადაწყვეტილების გამოტანისას საქმის გარემოებებს მისცა არასწორი სამართლებრივი შეფასება, სრულყოფილად არ იქნა გამოკვლეული ფაქტობრივი გარემოებები.

კასატორის განმარტებით, "ამნისტიისა და არადეკლარირებული საგადასახადო ვალდებულებებისა და ქონების ლეგალიზაციის შესახებ". საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, საგადასახადო ორგანო არ იყო უფლებამოსილი 2004 წლის პირველ იანვრამდე პერიოდზე განხორციელებინა საგადასახადო კონტროლი. ეს მოსაზრება, რასაც სააპელაციო და საქალაქო სასამართლოები უკანონოდ დაეთანხმნენ, არ შეიძლება გაზიარებული იქნეს, რადგან "ამნისტიისა და არადეკლარირებული საგადასახადო ვალდებულებებისა და ქონების ლეგალიზაციის შესახებ". საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად ამ კანონის მოქმედება არ ვრცელდება: ა) შესაბამის სახელმწიფო ორგანოებში კანონმდებლობით დადგენილი წესით დეკლარირებულ, დარიცხულ და აღრიცხულ, მაგრამ გადაუხდელ საგადასახადო და საბაჟო ვალდებულებებზე..."

აგრეთვე, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 68-ე მუხლის შესაბამისად, გადასახადის თანხების დარიცხვა გულისხმობს საგადასახადო ორგანოში კონკრეტული საგადასახადო პერიოდისათვის გადასახადის გადამხდელის/საგადასახადო აგენტის, სხვა ვალდებული პირის კუთვნილი გადასახადის თანხის აღრიცხვას. დარიცხვა მოიცავს შესწორებით დარიცხვასა და სავარაუდო დარიცხვას. ამასთან, შესწორებითი დარიცხვის შემთხვევაში უქმდება სავარაუდო დარიცხვა.

საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს განახორციელოს თითოეული გადასახადის გადამხდელის/საგადასახადო აგენტის ან სხვა ვალდებული პირის კუთვნილი საგადასახადო ვალდებულების დარიცხვა ამ კოდექსისა და საგადასახადო კანონმდებლობის სხვა აქტების მიხედვით, შემდეგი ერთი ან ერთზე მეტი ინფორმაციის წყაროს საფუძველზე, როგორცაა: ა) გადასახადის გადამხდელის/საგადასახადო აგენტის საგადასახადო დეკლარაციები; ბ) ამ კოდექსის 218-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად გადახდილი თანხების შესახებ ინფორმაცია; გ) შემოწმების მასალები და სხვა სათანადო ინფორმაცია, რომელიც ცნობილია საგადასახადო ორგანოსათვის.

კასატორის მითითებით, საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით, საკონტროლო-გასვლითი საგადასახადო შემოწმება სს "...". ჩატარდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 7 მარტის ბრძანების საფუძველზე და აღნიშნული შემოწმების შედეგად სს "...". სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სხვადასხვა გადასახადებში (საშემოსავლო და სოციალურ გადასახადებში, დღგ-ში) დამატებით დაერიცხა გადასახადის თანხები 51 469.68 ლარის ოდენობით.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 199-ე მუხლის მიხედვით, გადასახადის გადამხდელი ვალდებულია სწორად და დროულად აღრიცხოს შემოსავლები და ხარჯები დოკუმენტურად დადასტურებულ მონაცემთა საფუძველზე... და მიაკუთვნოს იმ საანგარიშო პერიოდს, რომელშიც მოხდა მათი მიღება იმგვარად, რომ ცხადად აისახოს დასაბეგრი შემოსავალი (მოგება).

კასატორი საკასაციო საჩივარში აღნიშნავდა, რომ სს "...". დღგ-ის გადამხდელად სავალდებულო რეგისტრაციას ექვემდებარებოდა 2005 წლის 1 აგვისტოდან, ვინაიდან დღგ-ის დასაბეგრმა ბრუნვამ (შემოსავლების სამსახურის პოზიციიდან გამომდინარე) 31 ივლისისათვის შეადგინა 100 494.9 ლარი, ანუ ამ დროისათვის გადააჭარბა დღგ-ის გადასახადის სავალდებულო წესით რეგისტრაციისათვის დადგენილ ზღვარს.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 221-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, პირი ვალდებულია გატარდეს დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციაში თუ ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას და ნებისმიერი უწყვეტი 12 კალენდარული თვის განმავლობაში მის მიერ განხორციელებული დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციების საერთო თანხა აღემატება 100 000 ლარს; მან ამ მომენტის დადგომიდან არა უგვიანეს 2 სამუშაო დღისა საგადასახადო ორგანოში უნდა წარადგინოს განცხადება დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციისათვის. შესაბამისად გადამხდელს დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის გარეშე საქმიანობისათვის დაერიცხება სანქცია სსკ-ის 140-ე მუხლით გათვალისწინებული ოდენობით და ფარგლებში.

კასატორის განმარტებით, იმის გამო, რომ საზოგადოების მხრიდან არ შესრულდა დღგ-ის გადამხდელისათვის დადგენილი კიდევ ერთი პირობა საგადასახადო ორგანოში საგადასახადო დეკლარაციების წარდგენასთან დაკავშირებით, დამატებით ასევე დაერიცხა სანქცია 131-ე მუხლით დადგენილი წესის შესაბამისად.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორები საკასაციო საჩივრით ითხოვდნენ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 21 მარტის გადაწყვეტილების სრულად გაუქმებას და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის და ამავე სამსახურის თბილისის რეგიონალური ცენტრის საკასაციო საჩივრები უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს განჩინება დაუსაბუთებელია და შეუძლებელია მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება, რაც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის "ე¹" პუნქტის შესაბამისად იძლევა გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტურ საფუძველს.

იმის გათვალისწინებით, რომ სააპელაციო სასამართლო გასაჩივრებულ განჩინებაში შემოიფარგლება მხოლოდ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390.3 მუხლის "გ" ქვეპუნქტზე მითითებით და დამატებითი მოტივაციის გარეშე ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებს, საკასაციო სასამართლო მოცემულ პირობებში საჭიროდ მიიჩნევს უცვლელად დატოვებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმებას.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო და სარეზოლუციო ნაწილი ურთიერთშეუსაბამო და წინააღმდეგობრივი ხასიათისაა, სასამართლოს დასკვნები არ გამომდინარეობს საქმეში დაცული მტკიცებულებებიდან და არ ემყარება მატერიალური სამართლის ნორმებს.

გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის შესაბამისად, სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი ქ.თბილისის საგადასახადო ინსპექციის 2007 წლის 13 ივნისის #1568 საგადასახადო მოთვნა, ქ.თბილისის საგადასახადო ინსპექციის 16.03.07წ. #03/გ/285, 08.05.07წ. #03/გ/432, 07.06.07 წ. #2/358 ბრძანებები, 2007 წლის 18 მაისის შემოწმების აქტი და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს #7455 ბრძანება. მოპასუხე ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურს და საქარველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ქ.თბილისის რეგიონალურ ცენტრს (საგადასახადო ინსპექციას) დაევალა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ ახალი ადმინისტრაციული აქტის გამოცემა.

გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის შინაარსიდან გამომდინარე სასამართლოს მიერ გამოყენებულ იქნა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4 მუხლის დანაწესი, რომლის შესაბამისადაც, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, იგი უფლებამოსილია სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად ცნოს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და დაავალოს ადმინისტრაციულ ორგანოს, ამ გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოსცეს ახალი.

საკასაციო სასამართლო ნორმის შინაარსზე დაყრდნობით მნიშვნელოვნად მიიჩნევს სასამართლოთა ყურადღება მიაპყროს იმ გარემოებას, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32 მუხლის მე-4 ნაწილის გამოყენება სასამართლოს შეუძლია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე და ეს გარემოებები იმდენად არსებითი მნიშვნელობისაა, რომ მათი შემოწმება და შეფასება სასამართლოსათვის შეუძლებელია.

იმ პირობებში, როდესაც სასამართლო მოტივირებს "სამეწარმო საქმიანობის კონტროლის შესახებ" კანონზე და თვლის, რომ მეწარმის საქმიანობის შემოწმება მოხდა მითითებული კანონის უხეში დარღვევით, რის გამოც შემოწმების შედეგად მიღებული მტკიცებულებები იურიდიული ძალის არმქონეა, გაუგებარი ხდება იმავე სასამართლოს მხრიდან საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილზე აპელირება.

როგორც ზემოთ აღინიშნა, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის გამოყენების შემთხვევაში სასამართლოს მხრიდან არ ხდება აქტის არსებითად ბათილად ცნობა, ასეთ პირობებში სასამართლო გასაჩივრებულ აქტს ბათილად ცნობს სადავო საკითხის გადაწყვეტლად და ავალებს ადმინისტრაციულ ორგანოს გამოიკვლიოს და შეისწავლოს საქმის გარემოებები და საქმე გადაწყვიტოს ადმინისტრაციული წარმოების ნორმების დაცვით.

ადმინისტრაციული ორგანო ვერ დაუბრუნდება საკითხის შესწავლას, საქმის გარემოებების გამოკვლევა-შეფასებას, თუ მტკიცებულებები, რომელიც საფუძვლად უდევს ადმინისტრაციულ წარმოებას მიღებული და მოპოვებულია კანონის მოთხოვნათა დარღვევით. ასეთ მტკიცებულებებზე დაყრდნობით მიღებული გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება უკანონოდ და ამ პირობებში დამატებით ადმინისტრაციული წარმოების ჩატარება მოკლებულია რაიმე სამართლებრივ შედეგს.

ზემოაღნიშნული მოსაზრება საკასაციო სასამართლოს აძლევს საფუძველს დაასკვნას, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება თავისი არსით წინააღმდეგობრივია და არ იძლევა მისი დასაბუთებულობის შემოწმების შესაძლებლობას.

საკასაციო სასამართლო ასევე დაუსაბუთებლად მიიჩნევს სასამართლოს მითითებას გასაჩივრებული აქტების ბათილობის თაობაზე და ვერ გაიზიარებს სასამართლოს მსჯელობას მტკიცებულებათა კანონდარღვევით ამოღებისა და მათი იურიდიული ძალის არქონის შესახებ. ამასთან, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ ეს უკანასკნელი სასამართლოს მხრიდან საჭიროებს დამატებით გამოკვლევას. საქმეში წარმოდგენილია თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ გაცემული ბრძანებები სს "...“ შემოწმებისა და შემოწმების ვადის გაგრძელების თაობაზე. ასეთ პირობებში მნიშვნელოვანია დადგინდეს, აღნიშნული ბრძანებები იყო თუ არა მხარის მიერ სადავოდ გამხდარი და იყო თუ არა კანონიერ ძალაში.

იმ ვითარებაში, თუ მხარეს კანონით დადგენილი წესით არ ჩაბარებია მოსამართლის ბრძანება საწარმოს შემოწმების თაობაზე სასამართლო შეფასების საგნად უნდა იქცეს, გასაჩივრდა თუ არა აღნიშნული მას შემდეგ, რაც მხარისათვის ცნობილი გახდა ბრძანების არსებობის ფაქტი. საგულისხმოა, რომ მოსამართლის ბრძანების არსებობის თაობაზე ინფორმაცია დაფიქსირებულია თავად შემოწმების აქტში.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ ამოღებული მტკიცებულებების კანონიერების შეფასების პროცესში ქვემდგომი ინსტანციის სასამართლომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს შემოწმების პერიოდს, რომელმაც სადავო აქტის საფუძველზე, მოიცვა პერიოდი 2004 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე. ამდენად, მიუხედავად მოსამართლის ბრძანებაში დაშვებული გარკვეული კანონშეუსაბამობისა, შემოწმების პერიოდი არ შეხებია ამნისტირებულ პერიოდს, რასაც ასევე სასამართლოს მხრიდან უნდა მიექცეს ყურადღება.

რაც შეეხება სასამართლოს მითითებას სააქციო საზოგადოების კუთვნილი ერთი და იგივე ფართის ერთი და იგივე დროს სხვადასხვა მეწარმის სასარგებლოდ დატვირთვისთვის დაუშვებლობის თაობაზე, საკასაციო სასამართლო ამ ნაწილში იზიარებს სასამართლოს მსჯელობის მართებულობას და აღნიშნავს, ადმინისტრაციული ხელშეკრულებისაგან განსხვავებით, სამოქალაქო ხელშეკრულებები სრულადაა გაჯერებული სახელშეკრულებო თავისუფლების ელემენტებით და ემყარება მხარეთა ავტონომიურობის პრინციპებს. მიუხედავად წარმოდგენილი მოტივაციის მართებულობისა, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სასამართლოთა მხრიდან არასრულყოფილადაა გამოკვლეული საქმის ფაქტობრივი გარემოებები, კერძოდ, სასამართლოს არ დაუსაბუთებია რეალურად ჰქონდა თუ არა ერთდროულად ერთი და იგივე ფართზე დადებული ხელშეკრულებებით მიღებული შემოსავლის დაბეგვრას ადგილი და კონკრეტულად რომელი მტკიცებულებები იძლეოდა აღნიშნულზე მოტივირების შესაძლებლობას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სახეზეა გასაჩივრებული განჩინების გაუქმების, საკასაციო საჩივრების ნაწილობრივ დაკმაყოფილების და საქმის ხელახალი განხილვისათვის იმავე სასამართლოში დაბრუნების პროცესუალური საფუძველები.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

1. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონალური ცენტრის საკასაციო საჩივრები დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 20 ოქტომბრის განჩინება და საქმე განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

3. მხარეთა შორის სახელმწიფო ბაჟის გადანაწილების საკითხი გადაწყდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას.

4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

5. დასაშვებობა

საჩივრის დაუშვებლობა

განჩინება

#ბს-661-633(კ-08) 26 ნოემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი
საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. ქადაგიძე,
ლ. მურუსიძე

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლისა და 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, ზეპირი განხილვის გარეშე, შემოწმა ვ. კ-ძის საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საფუძველები.

აღწერილობითი ნაწილი:

01.08.03წ. ჯ. ხ-შვილმა და ვ. კ-ძემ სასარჩელო განცხადებით მიმართეს თბილისის ვაკე-სა-ბურთალოს რაიონულ სასამართლოს მოპასუხეების -თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს, დაბა ... გამგეობის, თბილისის საჯარო რეესტრის, შპს "თბილ-წყალმოწყობილობის", ქ. ლ-ძისა და კ. წ-ვას მიმართ. მოსარჩელებმა მოითხოვეს: დაბა ... გამგეობის 12.07.00წ. #151 თანხმობის, შპს "თბილწყალმოწყობილობის" 14.05.02წ. მიმართვის, ქ. თბილისის ქონების მართვის სამმართველოს 17.10.00წ. #1-4/73 და 2603.01.წ. #1-4/144 ბრძანებების, 03.05.01წ. დაბა ..., ... ქ. #7-ში მდებარე სააგარაკო სახლისა და მიწის ნაკვეთის შესახებ ჩატარებული საპრივატიზაციო კონკურსისა და შედეგის, 23.05.01წ. საპრივატიზაციო ხელშეკრულებისა და მიღება ჩაბარების აქტის, ქ. თბილისის ქონების მართვის სამმართველოს მიერ 07.11.02წ. გაცემული საკუთრების დამადასტურებელი #23/1752-ა მოწმობისა და დაბა ..., ... ქ. #7-ში შენობა-ნაგებობისა და მიწის ნაკვეთის ქ. ლ-ძისა და კ. წ-ვას საკუთრების რეგისტრაციისა და საკადასტრო რუკის ბათილად ცნობა.

მოსარჩელებმა მიუთითეს, რომ ქ. თბილისის ქონების მართვის სამმართველოს საკონკურსო კომისიამ 03.05.01წ. ჩაატარა დაბა ..., ... ქ. #7-ში მდებარე სააგარაკო სახლისა (180,37 კვ.მ) და მის მიერ დაკავებული მიწის ნაკვეთის (1812 კვ.მ) პრივატიზების კონკურსი. კონკურსის საფუძველს წარმოადგენდა ქ. თბილისის მერიის ადგილობრივი მმართველობის დაბა ... გამგეობის 12.07.00წ. #151 თანხმობა "თბილწყალმოწყობილობის" ქარხნის მუნიციპალური საკუთრების სააგარაკო სახლის საპრივატიზებო ობიექტების ნუსხაში შეტანის შესახებ, რომელიც ხელმოწერილი იყო დაბა ... გამგეობის იმდროინდელი თავმჯდომარის გ. ო-ის მიერ. შპს "თბილწყალმოწყობილობის" ადმინისტრაციის 08.05.00წ. თხოვნა სააგარაკო სახლის საპრივატიზებო ნუსხაში შეტანის შესახებ, რომელსაც ხელს აწერდა ქარხნის მთავარი ინჟინერი ვ. წ-ვა და ქ. თბილისის ქონების მართვის სამმართველოს 26.03.2001წ. #1-4/144 ბრძანება "დაბა ..., ... ქ. #7-ში მდებარე სააგარაკო სახლის კომერციული კონკურსის წესით პრივატიზების შესახებ". საკონკურსო კომისიის სხდომის #137 ოქმით კონკურსში გამარჯვებულად გამოცხადდნენ ქ. ლ-ძე და კ. წ-ვა, რომლებთანაც 2001 წლის მაისში გაფორმდა საპრივატიზაციო ხელშეკრულება, ხოლო 7.11.2002წ. გაიცა საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა #23/1752. აღნიშნული საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის საფუძველზე, ქ. თბილისის საჯარო რეესტრმა რეგისტრაციაში გაატარა დაბა ..., ... ქ. #7-ში მდებარე მიწის ნაკვეთი და შენობა-ნაგებობა.

მოსარჩელების მითითებით, ზემოხსენებული ადმინისტრაციული აქტები და ხელშეკრულება იყო უკანონო და ბათილად უნდა ყოფილიყო ცნობილი. მოსარჩელების განმარტებით, სამოქალაქო კოდექსის 487-ე მუხლის თანახმად, გამყიდველმა მყიდველს უნდა გადასცეს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო ნივთი, საპრივატიზებო ქონება კი ნაკლის მქონე იყო, რადგან ქ. თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო ... 3.03.54წ. გადაწყვეტილებით "თბილწყალმოწყობილობის" ქარხანას სააგარაკო სახლის ასაშენებლად გამოეყო დაბა ... მიწის ნაკვეთი, ფართით 1500 კვ.მ. აღნიშნულ სახლში 1963 წლიდან კანონიერი საფუძველით ცხოვრობდა ნ. ხ-შვილი ოჯახთან ერთად. ნ. ხ-შვილი გარდაიცვალა 2002 წელს, მას შემდეგ ამ ფართში ცხოვრობდა მისი შვილი, მოსარჩელე ჯ. ხ-შვილი ოჯახთან ერთად, ვინაიდან სადავო სახლს უკანასკნელ დრომდე არ გააჩნდა მისამართი და ეს მისამართი ჯ. ხ-შვილისათვის ცნობილი გახდა 2003 წელს, საჯარო რეესტრიდან მიღებული დოკუმენტების გაცნობის შემდეგ, ის მიწერილი იყო დაბა ... ქ. #32-ში მდებარე თბილწყალკანალის სახლში.

1971 წლიდან სადავო სახლის 1/4-ში ჩასახლდა წყნეთის შს მესამე ქვეგანყოფილების უბინაო თანამშრომელი - ვ. კ-ძე ოჯახთან ერთად, მაგრამ მიწერილია ... ქ. #10.

მოსარჩელების განმარტებით, ისინი წარმოადგენდნენ სადავო სახლისა და მიწის ნაკვეთის მართლობიერ, კეთილსინდისიერ და პირდაპირ მფლობელს სამოქალაქო კოდექსის 155-ე და 159-ე მუხლების საფუძველზე. შესაბამისად, საქართველოს მინისტრთა კაბინეტის 01.02.92წ. #107 დადგენილების საფუძველზე მათ გააჩნდათ სადავო ფართის უსასყიდლოდ მიღების უფლება.

"ფიზიკური პირებისა და კერძო სამართლის იურიდიული პირების სარგებლობაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კერძო საკუთრებად გამოცხადების შესახებ" 28.10.98წ. კანონის საფუძველზე ჰქონდათ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლება, თუმცა უკანონო პრივატიზებამ ხელყო მათი ეს უფლებები.

ქ. თბილისის მერიის ადგილობრივი მმართველობის წყნეთის გამგეობის თავმჯდომარის თანხმობა სააგარაკო სახლების საპრივატიზებო ნუსხაში შეტანის შესახებ, რომელიც წარმოადგენდა ადმინისტრაციულ აქტს, გამოცემული იყო კანონდარღვევით, რადგან ასეთი უფლებამოსილება არ გააჩნდა გამგეობას და უფლებამოსილების გადამეტებით იყო გამოცემული, რაც ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის საფუძველზე წარმოადგენდა აქტის ბათილად ცნობის საფუძველს. ასევე დარღვეული იყო აღნიშნული კოდექსის მე-13 მუხლის მოთხოვნა, რადგან დაინტერესებულ მხარეს არ ეცნობა და არ მიეცა საკუთარი მოსაზრებების წარდგენის საშუალება. ასევე დაირღვა სზაკ-ის 32-ე, 34-ე, 85-ე, 86-ე, 95-ე, 96-ე, 97-ე, 99-ე, 110-112-ე, 115-121-ე მუხლების მოთხოვნები.

მოსარჩელები მიუთითებდნენ, რომ დაბა ..., ... ქ. #7-ში მდებარე შენობა და მიწის ნაკვეთი არ იყო შეტანილი საპრივატიზებო ობიექტების ნუსხაში, რაც პრივატიზების აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენდა. საპრივატიზებო კონკურსი ჩატარდა არაკონკურენტულ გარემოში. დაირღვა კანონის წინაშე პირთა თანასწორობის უფლება, მოსარჩელებს არ მიეცათ საშუალება მონაწილეობა მიეღოთ კონკურსში, რადგან "თბილისის უწყებანი", რომელშიც გამოქვეყნდა კონკურსის შესახებ ინფორმაცია, არ ვრცელდებოდა დაბა

ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 12.03.04წ. გადაწყვეტილებით ჯ. ხ-შვილისა და ვ. კ-ძის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, მოსარჩელებს უარი ეთქვათ დაბა ... გამგეობის 12.07.2000წ. #151 თანხმობის, შპს "თბილწყალმოწყობილობის" 14.05.02წ. მიმართვის, ქ. თბილისის ქონების მართვის სამმართველოს 17.10.00წ. #1-4/73 ბრძანების, ქ. თბილისის ქონების მართვის სამმართველოს 2603.01.წ. #1-4/144 ბრძანების, 03.05.01წ. დაბა ..., ... ქ. #7-ში მდებარე სააგარაკო სახლისა და მიწის ნაკვეთის შესახებ ჩატარებული საპრივატიზაციო კონკურსისა და შედეგის, 23.05.01წ. საპრივატიზაციო ხელშეკრულებისა და მიღება-ჩაბარების აქტის, ქ. თბილისის ქონების მართვის სამმართველოს მიერ 07.11.02წ. გაცემული საკუთრების დამადასტურებელი #23/1752-ა მოწმობისა და დაბა ..., ... ქ. #7-ში შენობა ნაგებობისა და მიწის ნაკვეთის ქ. ლ-ძისა და კ. წ-ვას საკუთრების რეგისტრაციისა და საკადასტრო რუკის ბათილად ცნობაზე.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ჯ. ხ-შვილმა და ვ. კ-ძემ და მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილება. სააპელაციო სასამართლოს მთავარ სხდომაზე აპელანტებმა მოითხოვეს სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილება დაზუსტებული მოთხოვნის ფარგლებში, კერძოდ, დაბა ..., ... ქ. #7-ში მდებარე სააგარაკო სახლის 180,37 კვ.მ. საერთო ფართობით და დაკავებული 1812 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პრივატიზების ბათილად ცნობა.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 22.04.05წ. გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა ჯ. ხ-შვილისა და ვ. კ-ძის სააპელაციო საჩივარი; გაუქმდა ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 12.03.04წ. გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ბათილად იქნა ცნობილი დაბა ..., ... ქ. #7-ში მდებარე სააგარაკო სახლის საერთო 180,37 კვ.მ-ით და 1812 კვ.მ მიწის ნაკვეთის პრივატიზება ქ. ლ-ძესა და კ. წ-ვას სახელზე.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო საჩივრით გაასაჩივრეს ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველომ, კ. წ-ვამ და ქ. ლ-ძემ და მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 12.10.05წ. განჩინებით ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს, კ. წ-ვასა და ქ. ლ-ძის საკასაციო საჩივრები დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, გაუქმდა თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სასამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 22.04.05წ. გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 23.04.08წ. განჩინებით ჯ. ხ-შვილისა და ვ. კ-ძის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 12.03.04წ. გადაწყვეტილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ ქ. თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო ... 03.03.54წ. #1495 გადაწყვეტილებით "თბილწყალმომწობილობის" ქარხანას წყნეთში, ... ქ. #7-ში გამოეყო 1500 კვ.მ მიწის ნაკვეთი საუწყებო ექსპოთახიანი სააგარაკო სახლის ასაშენებლად. 1963 წელს სახლის ნაწილში სამართლებრივი საფუძვლის გარეშე შესახლდა ნ. ხ-შვილის (ჯ. ხ-შვილის მამა) ოჯახი. სახლის მეორე ნაწილი 1971 წლიდან დაიკავა ვ. კ-ძის ოჯახმა. "თბილწყალკანალისა" და ქარხანა "თბილწყალმომწობილობის" ხელმძღვანელობის მიერ მითითებული ოჯახები არაერთხელ იქნენ გაფრთხილებული, რათა გაეთავისუფლებინათ უკანონოდ დაკავებული ფართები, რაზეც ისინი უარს აცხადებდნენ.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის 1995 წლის 21 დეკემბრის #27.16.1541 დადგენილების თანახმად, "თბილწყალკანალის" თანამშრომლებს ნება დაერთოთ აეღოთ იჯარა-გამოსყიდვის უფლებით დაბა ..., მათ მიერ დაკავებული აგარაკები. მოსარჩელებს ამ უფლებით არ უსარგებლიათ.

სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ ქ. თბილისის პრემიერის 28.01.99წ. #21 განკარგულებით მიღებულ იქნა ექსპლუატაციაში 03.03.54წ. #1495 გადაწყვეტილებით "თბილწყალკანალისათვის" დაბა ..., ... ქ. #7-ში გამოყოფილი 1500 კვ.მ მიწის ნაკვეთი და მასზე არსებული შენობა. აღნიშნული განკარგულების საფუძველზე მოხდა სადავო სახლის აღრიცხვა ქარხანა "თბილწყალმომწობილობის" სახელზე. ქ. თბილისის მთავრობის 17.08.00წ. #15.14.209 დადგენილებით მიღებულ იქნა ქონების მართვის სამმართველოს წინადადება და დამტკიცდა ქ. თბილისის მუნიციპალური საკუთრების 2000 წლის საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხა. დანართის თანახმად, მე-4 პუნქტად შესულია დაბა ..., ... ქ. #7-ში მდებარე სადავო ქონება. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ ეს ადმინისტრაციული აქტი მოსარჩელებს სადავოდ არ გაუხდიათ.

პირველი და მეორე კონკურსი უშედეგოდ დამთავრდა და ვერ იქნა გამარჯვებული გამოვლენილი განაცხადის შემოუსვლელობის გამო და საპრივატიზაციო კომისიას დაევალა ობიექტის გადაფასება და საკონკურსო კომისიისათვის გადაცემა. ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების მართვის სამმართველოს 26.03.2001წ. #1-4/144 ბრძანების თანახმად, სადავო ქონების საპრივატიზებო ღირებულება შემცირებულ იქნა 50%-ით და ინფორმაცია აღნიშნულის თაობაზე გამოქვეყნდა გაზეთ "თბილისში" 2001 წლის 31 მარტს. საკონკურსო კომისიის 03.05.01წ. სხდომის #137 ოქმის თანახმად, გამარჯვებულად ჩაითვალნენ ქ. ლ-ძე და კ. წ-ვა და 23.05.01წ. გაფორმდა ხელშეკრულება მხარეებს შორის და მიღება-ჩაბარების აქტი #46. კ. წ-ვასა და ქ. ლ-ძის სახელზე გაიცა #23/1752-კ საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა, რომლის საფუძველზეც ქ. თბილისის საჯარო რეესტრში 10.12.02წ. ქონება აღირიცხა მითითებული პირების სახელზე.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელებს სასამართლოში არ გაუსაჩივრებიათ სადავო ქონების პრივატიზაციის საკითხზე ორი უმთავრესი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. ქ. თბილისის მთავრობის 17.08.00წ. #15.14.209 დადგენილება, რომლითაც მიღებულ იქნა ქონების მართვის სამმართველოს წინადადება და დამტკიცდა ქ. თბილისის მუნიციპალური საკუთრების 2000 წლის საპრივატიზებო ობიექტების ნუსხა, მათ შორის, წინამდებარე საქმეში სადავოდ გამხდარი თანხა, დაბა ..., ... ქ. #7-ში მდებარე სააგარაკო სახლი და ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების მართვის სამმართველოს უფროსის 04.05.2001წ. პრივატიზაციის შედეგები.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტების მოსაზრება საპრივატიზაციოდ გატანილი ქონების ნივთობრივი და უფლებრივი ნაკლის, ამ ქონებაზე მათი მართლობიერი მფლობელობისა და რომ მოპოვებული აქვთ სადავო შენობის უსასყიდლოდ მიღების უფლება და განმარტა, რომ სამოქალაქო კოდექსის 155-ე და 159-ე მუხლების შესაბამისად, სადავო ქონებასთან მიმართებაში არ წარმოადგენდნენ კეთილსინდისიერ მფლობელებს, რადგან ქონება არ იმყოფებოდა მათ მართლობიერ მფლობელობაში და ისინი მასზე მფლობელობას ახორციელებდნენ ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე. სააპელაციო სასამართლომ ასევე არ გაიზიარა მოსაზრება იმის შესახებ, რომ საქართველოს მინისტრთა კაბინეტის 01.02.92წ. #107 დადგენილების საფუძველზე ჰქონდათ სადავო შენობის შეღავათიან პირობებში უსასყიდლოდ მიღების უფლება, რადგან ჯ. ხ-შვილი და ვ. კ-ძე სადავო სახლში კანონით დადგენილი წესით ჩასახლებული არ ყოფილან. სასამართლომ ასევე არ გაიზიარა მოსაზრება, რომ აპელანტების მფლობელობაში არსებული საცხოვრებელი სახლის 1/4-1/4 და ამ შენობაზე დამაგრებული შესაბამისი ფართობის მიწის ნაკვეთები უნდა გადასცემოდა საკუთრებაში სამოქალაქო კოდექსის 1513-ე მუხლის თანახმად, ვინაიდან აღნიშნული მუხლი ითვალისწინებს იმ შემთხვევას, როდესაც სახლი წარმოადგენს პირის საკუთრებას კანონით დადგენილი წესით, ხოლო მიწის ნაკვეთი გამოყოფილი აქვს კანონიერ სარგებლობაში. მო-

ცემულ შემთხვევაში აპელანტების იურიდიული სტატუსი არცერთ მითითებულ პირობას არ აკმაყოფილებდა. ასევე გაუზიარებელი დარჩა მოსაზრება იმის თაობაზე, რომ სადავო მიწის ნაკვეთის საკუთრებად დაკანონების უფლება მოპოვებული ჰქონდათ "ფიზიკური პირებისა და კერძო სამართლის იურიდიული პირების სარგებლობაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კერძო საკუთრებად გამოცხადების შესახებ" 28.10.98წ. კანონის საფუძველზე, ვიონიდან აღნიშნული კანონის 3.1. მუხლის მიხედვით, კერძო საკუთრების უფლება ენიჭება საქართველოს მოქალაქეს იმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე, რომელიც ამ კანონის ამოქმედებამდე მას მიწის სარგებლობის დამადასტურებელი საბუთით აქვს გამოყოფილი, აპელანტებს კი არც შენობა-ნაგებობისა და არც მიწის ნაკვეთის კანონიერი სარგებლობის დამადასტურებელი საბუთი არ გააჩნდათ.

სააპელაციო სასამართლოს უსაფუძვლოდ მიიჩნია აპელანტების მოსაზრება სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველად პრივატიზების შესახებ ინფორმაციის გავრცელების კანონით დადგენილი წესის დარღვევა და განმარტა, რომ პრივატიზების შესახებ ინფორმაციის გავრცელება მოხდა "სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ" კანონის მე-9 მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად.

სააპელაციო სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია მოთხოვნა სადავო ქონების პრივატიზების თაობაზე გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილობის შესახებ და მიუთითა, რომ არ არსებობდა ამ მოთხოვნის დაკმაყოფილების ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის სადავო პერიოდში მოქმედი მე-60 მუხლით განსაზღვრული წინაპირობები და დაუდგენელი იყო ამ აქტებთან მიმართებაში მოსარჩელეთა კანონიერი ინტერესის არსებობის ფაქტი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 23.04.08წ. განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრეს ჯ. ბ-შვილმა და ვ. კ-ძემ და მოითხოვეს გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით დაბა ... გამგეობის 12.07.00წ. #151 თანხმობის, შპს "თბილწყალმოწყობილობის" 14.05.02წ. მიმართვის, ქ. თბილისის ქონების მართვის სამმართველოს 17.10.00წ. #1-4/73, 2603.01.წ. #1-4/144 ბრძანებების, 03.05.01წ. დაბა ..., ... ქ. #7-ში მდებარე სააგარაკო სახლისა და მიწის ნაკვეთის შესახებ ჩატარებული საპრივატიზაციო კონკურსისა და შედეგის ბათილად ცნობა, 23.05.01წ. საპრივატიზაციო ხელშეკრულებისა და მიღება ჩაბარების აქტის, ქ. თბილისის ქონების მართვის სამმართველოს მიერ 07.11.02წ. გაცემული საკუთრების დამადასტურებელი #23/1752-ა მოწმობისა და დაბა ..., ... ქ. #7-ში შენობა ნაგებობისა და მიწის ნაკვეთის ქ. ლ-მისა და ვ. წ-ვას საკუთრების რეგისტრაციისა და საკადასტრო რუკის ბათილად ცნობა.

კასატორებმა განმარტეს, რომ ისინი არიან სადავო სახლისა და მიწის ნაკვეთის მართლობიერი, კეთილსინდისიერი და პირდაპირი მფლობელები საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 155-ე და 159-ე მუხლების თანახმად. მათი მფლობელობის უფლება არ შეწყვეტილა არც უფლების დათმობის ან სხვა გზით ნივთზე ფაქტობრივი ბატონობის დაკარგვით, არც მესაკუთრის -სახელმწიფოს დასაბუთებული პრეტენზიის საფუძველზე. მათ სარგებლობაში არსებული შენობის და მიწის ნაკვეთის ნაწილზე მფლობელობისა და შემდგომში საკუთრების გაფორმებას ხელი შეუშალა მხოლოდ იმ გარემოებამ, რომ უკანასკნელ დრომდე ცნობილი არ იყო სახლთმფლობელობის მისამართი.

კასატორების განმარტებით, დაბა ... გამგეობის თავმჯდომარის გ. ო-ის 12.07.00წ. თანხმობა "თბილწყალმოწყობილობის" ქარხნის მუნიციპალური საკუთრების სააგარაკო სახლის საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხაში შეტანის შესახებ ეწინააღმდეგება კანონს და არსებითად არღვევს ასეთი აქტის კანონით დადგენილი მომზადების და გამოცემის მოთხოვნებს. "საქართველოს დედაქალაქის თბილისის შესახებ" კანონის 46.2. მუხლის "გ" ქვეპუნქტის მიხედვით, დაბა ..., ... ქ. #7-ში მდებარე სახელმწიფო მუნიციპალური ქონების გასხვისებაზე თანხმობა უნდა გაცემულოყო კოლეგიური საჯარო დაწესებულების -დაბა ... გამგეობის სხდომის გადაწყვეტილებით და არა გამგებლის ერთპიროვნული აქტით. შესაბამისად, აღნიშნული დოკუმენტი გამოცემულია უფლებამოსილების გადამეტებით, რაც წარმოადგენს მისი ბათილობის საფუძველს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 5.3. მუხლის საფუძველზე.

კასატორებმა ასევე მიუთითეს, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-13 მუხლის მიხედვით, ადმინისტრაციული ორგანო ვერ განიხილავს და ვერ გადაწყვეტს საკითხს თუ დაინტერესებულ მხარეს არ მისცემს საკუთარი მოსაზრებების წარდგენის შესაძლებლობას. შესაბამისად, მათ მფლობელობაში არსებულ სახლსა და მიწის ნაკვეთის ნაწილის გასხვისებაზე თანხმობის მიცემისას წარმოადგენდნენ დაინტერესებულ მხარეებს. გამგეობამ კი არ უზრუნველყო მათი მონაწილეობა საქმის განხილვაში, მათთვის არ უცნობებიათ ადმინისტრაციული წარმოების შესახებ და არ მიეცათ შესაძლებლობა საკუთარი მოსაზრებების წარდგენის.

კასატორების მითითებით, დაბა ..., ... ქ. #7-ში მდებარე შენობა და მიწის ნაკვეთი არ იყო შეტანილი საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხაში, რაც წარმოადგენდა აუცილებელი წინაპირობას ამა თუ იმ ობიექტის პრივატიზაციისათვის. პირველ ინსტანციაში წარმოადგენილი საპრივატი-

ზაციო ობიექტების ნუსხა, არ შეიძლება ჩაითვალოს რაიმე იურიდიული მნიშვნელობის და შედეგის წარმომშობ დოკუმენტად, რადგან არ შეიცავდა სათანადო რეკვიზიტებს (ბრძანების ნომერს, თარიღს, ხელმოწერას), არ იყო სათანადო წესით დამოწმებული და არ შეიცავდა ქონების მართვის სამინისტროს თანხმობას.

კასატორებმა ასევე მიუთითეს, რომ კონკურსი ჩატარდა არაკონკურენტულ გარემოში, დარღვეულ იქნა კანონის წინაშე პირთა თანასწორობის უფლება, კერძოდ, მათ არ ჰქონდა შესაძლებლობა მონაწილეობა მიეღოთ კონკურსში, ვინაიდან, არ ჰქონდათ აღნიშნული კონკურსის შესახებ ინფორმაციის მიღების შესაძლებლობა. დაბა . . . , . . . ქ. #7-ში მდებარე სახლისა და მიწის ნაკვეთის პრივატიზების შესახებ განცხადება გამოქვეყნდა 31.03.01წ. გაზეთ "თბილისის" დამატება - "თბილისის უწყებანში". საქმის მასალებით კი დადგინდა, რომ აღნიშნული გაზეთი და მისი დამატება დაბა . . . არ ვრცელდებოდა.

კასატორების მითითებით, ბათილად უნდა გამოცხადდეს შპს "თბილწყალმოწყობილობის" 14.03.00წ. #9/21 თხოვნა სადავო ქონების საპრივატიზაციო ნუსხაში შეტანის შესახებ, რადგან შენობა პრივატიზაციამდე წარმოადგენდა სახელმწიფო-მუნიციპალურ საკუთრებას, რომელიც იმყოფებოდა სახელმწიფო-მუნიციპალური საწარმო "თბილწყალმოწყობილობის" ბალანსზე და იგი შპს "თბილწყალმოწყობილობის" ბალანსზე არ აღრიცხულა. ამასთან, თხოვნა ხელმოწერილია არაუფლებამოსილი პირის მთავარი ინჟინერის კ. წ-ვას მიერ. შპს "თბილწყალმოწყობილობის" წესდების თანახმად ამის უფლება ჰქონდა დირექტორს. საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ ხელმომწერი კ. წ-ვა წარმოადგენს კონკურსში გამარჯვებულ პირს. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ არასწორად დაადგინა ფაქტები, საქმეში არსებული მტკიცებულებანი არ გამოიკვლია და არ მისცა მათ სწორი სამართლებრივი შეფასება, არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა და არასწორად განმარტა კანონი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 06.10.08წ. განჩინებით საკასაციო საჩივარი ვ. კ-ძის ნაწილში მიღებულ იქნა წარმოებაში, ხოლო ჯ. ხ-შვილის ნაწილში, ხარვეზის შეუფხვებლობის გამო დატოვებულ იქნა განუხილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალებისა და ვ. კ-ძის საკასაციო საჩივრის გაცნობის და განსახილველ სამართლებრივ საკითხთან მიმართებაში საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, მიჩნეული უნდა იქნეს დაუშვებლად შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემული საქმე არ არის მნიშვნელოვანი სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ არ არსებობს სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოყენებული საპროცესო და მატერიალური სამართლის ნორმების განმარტებისა და სამართლის განვითარების მიზნით საკასაციო სასამართლოს მიერ ზოგადი მნიშვნელობის მქონე სახელმძღვანელო და სარეკომენდაციო გადაწყვეტილების გამოტანის საჭიროება. საქმეს არ გააჩნია არავითარი პრინციპული მნიშვნელობა სასამართლო პრაქტიკისათვის, ხოლო საკასაციო საჩივარს -წარმატების პერსპექტივა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში არ არსებობს საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილით განსაზღვრული არც ერთი საფუძველი, რის გამოც საკასაციო საჩივარი არ უნდა იქნეს დაშვებული განსახილველად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, 34-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. ვ. კ-ძის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნეს დაუშვებლად;
2. კასატორს დაუბრუნდეს მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 70% -331.10 ლარი; საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საჩივრის დაუმუშავლობა

განჩინება

#ბს-915-879(23-08)

16 დეკემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. წვეპლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ლ. მურუსიძე

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლისა და 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე ზეპირი განხილვის გარეშე განიხილა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურისა და ამავე სამსახურის თბილისის რეგიონალური ცენტრის საკასაციო საჩივრების დასაშვებობის საკითხი თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 11 ივნისის განჩინებაზე (ადმინისტრაციული საქმე შპს "ო. თ-ის" სარჩელის გამო საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურისა და ამავე სამსახურის თბილისის რეგიონალური ცენტრის მიმართ).

საკასაციო სასამართლომ საქმის მასალების გაცნობის შედეგად

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

2006 წლის 28 ივლისს შპს "ო. თ-ის" დირექტორმა ბ. ბ-იამ სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოში საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტისა და ამავე დეპარტამენტის ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიმართ და მოითხოვა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის 2006 წლის 25 ივლისის #1386-ს ბრძანების ბათილად ცნობა, 2006 წლის 12 ივნისის #1306 საგადასახადო მოთხოვნის ბათილად ცნობა ნაწილობრივ, დღგ-ს -4323 ლარის ჩათვლის აღდგენა და სანქცია-საურავის გაუქმება.

მოსარჩელემ დაზუსტებული სარჩელი წარადგინა თბილისის საქალაქო სასამართლოში, რომლითაც შეამცირა სასარჩელო მოთხოვნა და მოითხოვა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის 2006 წლის 25 ივლისის #1386-ს ბრძანების ბათილად ცნობა, 2006 წლის 12 ივნისის #1306 საგადასახადო მოთხოვნის ბათილად ცნობა ნაწილობრივ, გაუქმებული დღგ-ს ჩათვლის გამო დარიცხული საურავის 6691 ლარის ნაწილში.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 20 თებერვლის გადაწყვეტილებით შპს "ო. თ-ის" სარჩელი დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის 2006 წლის 25 ივლისის #1386-ს ბრძანება -შპს "ო. თ-ის" შესაგებელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ, ასევე 2006 წლის 12 ივნისის #1306 საგადასახადო მოთხოვნა შპს "ო. თ-სათვის" დღგ-ს ჩათვლების გაუქმების შედეგად 6691 ლარის საურავის დარიცხვის ნაწილში.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციამ და მოითხოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 20 თებერვლის გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 11 ივნისის საოქმო განჩინებით თბილისის საგადასახადო ინსპექცია შეიცვალა მისი უფლებამონაცვლით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონალური ცენტრით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 11 ივნისის განჩინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონალური ცენტრის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 20 თებერვლის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრეს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურმა და ამავე სამსახურის თბილისის რეგიონალურმა ცენტრმა და მოითხოვეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 11 ივნისის განჩინების გაუქმება და შპს "ო. თ-ის" სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

საკასაციო სასამართლოს 2008 წლის 6 ოქტომბრის განჩინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურისა და ამავე სამსახურის თბილისის რეგიონალური ცენტრის საკასაციო საჩივარი წარმოებაში იქნა მიღებული დასაშვებობის შესამოწმებლად და მხარეებს განესაზ-

დვრათ საპროცესო ვადა 15 დღით საკასაციო საჩივრის დასაშვებობის წინაპირობებთან დაკავშირებით მოსაზრებების წარმოსადგენად.

საკასაციო საჩივრების დასაშვებობასთან დაკავშირებით მოსაზრებები წარმოადგინეს შპს "ო. თ-ის" წარმომადგენელმა და შემოსავლების სამსახურმა.

შპს "ო. თ-ის" წარმომადგენელმა მოითხოვა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურისა და ამავე სამსახურის თბილისის რეგიონალური ცენტრის საკასაციო საჩივრების დაუშვებლად ცნობა შემდეგი მოტივით:

მოწინააღმდეგე მხარის მითითებით, სააპელაციო სასამართლომ მტკიცებულებების სწორი შეფასებისა და საგადასახადო კოდექსის სწორი განმარტების შედეგად საქმეზე კანონიერი გადაწყვეტილება მიიღო, რადგან საგადასახადო კოდექსის 29-ე მუხლის 25-ე პუნქტის შესაბამისად, დღგ-ის ბიუჯეტში გადახდის ვალდებულება ეკისრება მიმწოდებელს და არა მყიდველს. საგადასახადო კოდექსის 252-ე მუხლის თანახმად, საურავი უნდა გავრცელდეს იმ გადამხდელის მიმართ, რომელსაც ევალუბოდა დადგენილ ვადაში გადასახადის გადახდა. შესაბამისად, მოწინააღმდეგე მხარის მოსაზრებით, გაუქმებული დღგ-ის ჩათვლის შედეგად დარიცხული საურავი ექვემდებარებოდა გაუქმებას.

ამდენად, მოწინააღმდეგე მხარის მითითებით, მოცემული საქმე არ არის მნიშვნელოვანი სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არ განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან და სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილული არ არის საპროცესო დარღვევით, რომელსაც შეეძლო ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე.

შემოსავლების სამსახურმა მოითხოვა საკასაციო საჩივრის დასაშვებლად ცნობა შემდეგი მოტივით:

კასატორის მითითებით, საგადასახადო კოდექსის 2.2 მუხლის შესაბამისად, გადასახადებით დაბეგრისათვის გამოიყენება საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის ოფიციალურად გამოქვეყნებული და ძალაში შესული ის ნორმატიული აქტები, რომლებიც მოქმედებს საგადასახადო ვალდებულების წარმოშობის დღისათვის. მოსარჩელე უთითებდა, რომ საქონელი შეიძინა ი/მ "მ. გ-ასაგან", შპს "ე-საგან", ი/მ "ა. ფ-მისაგან" და ი/მ "გ. მ-შვილისაგან" და განახორციელა 5 ოპერაცია.

კასატორის მითითებით, დამატებითი ღირებულების გადასახადი წარმოადგენს საერთო-სახელმწიფოებრივ გადასახადს და ის გადახდილად ჩაითვლება, როცა დღგ-ის თანხა დასაბეგრი ოპერაციის დროის მიხედვით გადახდილია სახელმწიფო ბიუჯეტში. ჩათვლის გაუქმების შესახებ წერილობითი მითითების გამოცემის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენდა შესაბამისი პერიოდისათვის მოქმედი საგადასახადო კოდექსის მე-2, მე-6, 114-ე, 115-ე და 118-ე მუხლები.

კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ სრულყოფილად არ გამოიკვლია და არ შეაფასა საქმეში არსებული მტკიცებულებები და არასწორად განმარტა მოსარჩელის საგადასახადო ვალდებულების ცნება. საგადასახადო ჩათვლის მიღება წარმოადგენს გადამხდელის კანონით მინიჭებულ უფლებას და ამ უფლებას სადავოდ არ ხდის კასატორი, მაგრამ გადასახადის გადამხდელს ჩათვლის მისაღებად უწევს საგადასახადო კოდექსით დადგენილი ვალდებულების შესრულება რასაც იზიარებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატაც. კერძოდ, გადასახადის გადამხდელის საგადასახადო ვალდებულება გმოსახება საგადასახადო დეკლარაციის წარდგენაში, რომელსაც დანართის სახით უნდა ერთვოდეს და გადამხდელი დეკლარაციის შევსებისას ჩათვლის გრაფაში უნდა მიუთითებდეს მხოლოდ იმ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურებს, რაზეც გააჩნია ან წარმოეშვა დღგ-ს ჩათვლის მიღების უფლებამოსილება. ჩათვლის -გამოქვითვის თანხებიდან კონკრეტული საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურებში ასახული დღგ-ს თანხის ამორიცხვა მოსარჩელის ან საგადასახადო ორგანოს მიერ გაუქმება არ ცვლის საგადასახადო დავალიანების სახეს და ფაქტს, რომ იგი აღიარებული აქვს გადამხდელს, რადგან საგადასახადო კოდექსის 68.5 მუხლის თანახმად, დეკლარაციის შევსება განიხილება, როგორც ამ გადასახადის დარიცხვა, საგადასახადო მოთხოვნა და საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილ ვადებში შესასრულებელი ვალდებულება, შესაბამისად საურავის დარიცხვა კანონიერია. ამდენად, საურავის დარიცხვა ხდება არა ჩასათვლელ თანხებზე, არამედ მოსარჩელის მიერ შეუსრულებელ საგადასახადო ვალდებულებაზე -დღგ-ს დეკლარირებულ და გადაუხდელ თანხებზე.

ამდენად, კასატორის მოსაზრებით, საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისათვის, რადგან განმარტებას საჭიროებს საგადასახადო ვალდებულების შეუსრულებლობისას და ჩათვლის მიღების საკითხები 2005 წლის 1 იანვრამდე მოქმედი საგადასახადო კოდექსის 113-ე და 97-ე მუხლების გათვალისწინებითაც. ამასთან, რამდენად დასაშვებია საურავის კანონიერებაზე მსჯელობა გადასახადის ძირითადი თანხისაგან განყენებულად.

საკასაციო სასამართლო ნაწილი:

საკასაციო სასამართლოს კოლეგიური შემადგენლობის უმრავლესობა საქმის მასალების გაცნობისა და საკასაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურისა და ამავე სამსახურის თბილისის რეგიონალური ცენტრის საკასაციო საჩივრები არ აკმაყოფილებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34.3 ნაწილის მოთხოვნებს, რის გამოც მიჩნეულ უნდა იქნეს დაუშვებლად, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო განმარტავს, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34.3. მუხლის თანახმად საკასაციო საჩივარი დასაშვებად ცნობას ექვემდებარება თუ: ა) საქმე მნიშვნელოვანია სასამართლოს განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისთვის; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან; გ) სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე.

კასატორების საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურისა და ამავე სამსახურის თბილისის რეგიონალური ცენტრის მიერ საკასაციო სასამართლოში წარმოდგენილი მოსაზრება არ შეიცავს მითითებას იმის თაობაზე, თუ რამდენად დასაშვებია საკასაციო საჩივარი ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34.3. მუხლით გათვალისწინებული დასაშვებობის წინაპირობების გათვალისწინებით, კასატორებმა ვერ დაასაბუთეს თუ რაში მდგომარეობს სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების უკანონობა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საპროცესო კანონმდებლობით განსაზღვრულია არა მხოლოდ მხარეთა საპროცესო უფლებები, არამედ, საპროცესო მოვალეობები. მხარის ერთ-ერთი ძირითადი უფლება – სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრებისა შეიცავს საპროცესო ვალდებულებას, გასაჩივრებული გადაწყვეტილების თაობაზე დასაბუთებული საკასაციო საჩივრის წარდგენისა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34.3 მუხლით გათვალისწინებული საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის დასაბუთების ვალდებულება აკისრია თავად კასატორს, რომლის საპროცესო ვალდებულებას წარმოადგენს მითითება, თუ რომელ საფუძველზე დაყრდნობით მოითხოვს საკასაციო საჩივრის დასაშვებად ცნობას.

მოცემულ შემთხვევაში კასატორების – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურისა და ამავე სამსახურის თბილისის რეგიონალური ცენტრის მიერ არ იქნა რეალიზებული მათი საპროცესო უფლება, კერძოდ, ვერ იქნა უზრუნველყოფილი მითითება იმ საფუძველებზე, რომელთა არსებობის შემთხვევაში საკასაციო საჩივრები დასაშვებად იქნებოდა მიჩნეული.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს კოლეგიური შემადგენლობის უმრავლესობას მიაჩნია, რომ არ არსებობს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურისა და ამავე სამსახურის თბილისის რეგიონალური ცენტრის საკასაციო საჩივრების დასაშვებად ცნობის საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილით განსაზღვრული არც ერთი საფუძველი, რის გამოც საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურისა და ამავე სამსახურის თბილისის რეგიონალური ცენტრის საკასაციო საჩივრები მიჩნეულ უნდა იქნეს დაუშვებლად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2, 34.3, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 243.2, 401-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურისა და ამავე სამსახურის თბილისის რეგიონალური ცენტრის საკასაციო საჩივრები მიჩნეულ იქნეს დაუშვებლად;
2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საჩივრის დაუშვებლობა

განჩინება

№ბს-689-655(კ-კს-09) 15 მაისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ნ. სხირტლაძე,

პ. სილაგაძე

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის შესაბამისად, ზეპირი მოსმენის გარეშე შეამოწმა შპს "... " და სს "... " კერძო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 10 აპრილის განჩინებაზე შპს "... " და სს "... " წარმომადგენლების: პ. კ-მისა და კ. ბ-მის საკასაციო საჩივრის, ასევე - შპს "... " და სს "... " კერძო საჩივრის განსახილველად მიღების შესახებ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 7 აპრილის განჩინებასა და შპს "... " და სს "... " კერძო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 10 აპრილის განჩინებაზე შპს "... " და სს "... " წარმომადგენლების - პ. კ-მისა და კ. ბ-მის კერძო საჩივრის დასაშვებობის საკითხი.

აღწერილობითი ნაწილი:

2009 წლის 16 მარტს საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თავმჯდომარემ - გ. ჩ-შვილმა შუამდგომლობით მიმართა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს. შუამდგომლობის ავტორმა მოითხოვა: "ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-14 პუნქტის საფუძველზე, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2009 წლის 16 მარტის #3/1 გადაწყვეტილებით შპს "... " თ. კ-იანის სპეციალურ მმართველად დანიშვნის დამტკიცება, სალიცენზიო პირობების შესრულების ვადით, მაგრამ არა უმეტეს 2010 წლის 1 მაისისა, რომლის უფლებამოსილება განსაზღვრული იყო საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2009 წლის 16 მარტის #3/1 გადაწყვეტილებით; სასამართლოს მიერ შუამდგომლობაზე დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, შპს "... " მიერ აღნიშნული გადაწყვეტილების გასაჩივრებისას, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2009 წლის 16 მარტის #3/1 გადაწყვეტილების მოქმედების შეჩერებაზე, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ბ" და "დ" ქვეპუნქტების თანახმად, უარის თქმა.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2009 წლის 16 მარტის #3/1 გადაწყვეტილებით: სასამართლოს წინაშე აღიძრა შუამდგომლობა შპს "... " სპეციალური მმართველის დანიშვნის შესახებ; თ. კ-იანი დაინიშნა შპს "... " სპეციალურ მმართველად, სალიცენზიო პირობების უწყვეტად შესრულების ვადით, მაგრამ არა უმეტეს 2010 წლის 1 მაისისა; სპეციალურ მმართველს: ა) შპს "... " სახელითა და ხარჯით უნდა უზრუნველყო სალიცენზიო პირობების შესრულება, კერძოდ, შპს "... " შპს "... " დავალიანების - 68777519,77 ლარის გადახდა და შპს "... " ქ. თბილისის მომხმარებელთა ბუნებრივი გაზით უწყვეტი მომარაგება; ბ) მხოლოდ მას უნდა წარმოედგინა შპს "... " მე-3 პირებთან ურთიერთობაში და მისი უფლებამოსილება უნდა განსაზღვრულიყო "მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონითა და შპს "... " წესდებით გათვალისწინებული შპს "... " გენერალური დირექტორის დონეზე; გ) განხორციელებული საქმიანობის შესახებ ყოველთვიური ანგარიში დასამტკიცებლად უნდა წარედგინა სასამართლოსათვის; დ) 2010 წლის 1 მაისამდე სალიცენზიო პირობების შესრულების შემთხვევაში დაუყოვნებლივ უნდა მიემართა სასამართლოსათვის სპეციალური მართვის გაუქმების შესახებ; ე) თუ 2010 წლის 1 მაისამდე ვერ შესრულდებოდა სალიცენზიო პირობები, დაუყოვნებლივ უნდა მიემართა სასამართლოსათვის აღნიშნული ვადის გაგრძელების შესახებ; ვ) შპს "... " მხრიდან ხელის შეშლის შემთხვევაში დაუყოვნებლივ უნდა დაეყენებინა ბრალეული პირების პასუხისმგებლობის საკითხი, კანონმდებლობით დადგენილი წესით; ზ) საჭიროების მიხედვით, მაგრამ თვეში ერთხელ მაინც კომისიაში უნდა წარედგინა განხორციელებული საქმიანობის ანგარიში, შესაბამის დოკუმენტებთან ერთად (ასეთის არსებობის შემთხვევაში); სპეციალური მმართველის - თ. კ-იანის ყოველთვიური შრომის ანაზღაურება განისაზღვრა 7500 ლარის ოდენობით; შპს "... " ხელმძღვანელობას დაევალა, ყოველმხრივ შეეწყო ხელი სპეციალური მმართველისათვის - თ. კ-იანისათვის მისი საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებით და მოთხოვნისთანავე, დაუყოვნებ-

ლივ მიეწოდებინა მისთვის ნებისმიერი ინფორმაცია და დოკუმენტები; გადაწყვეტილება ძალაში იყო კომისიის სხდომაზე საჯაროდ გამოცხადების დღიდან; გადაწყვეტილება მიმართულ იქნა დაუყოვნებლივ აღსასრულებლად.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 16 მარტის განჩინებით საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თავმჯდომარის -გ. ჩ-შვილის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა; შპს "... " სპეციალურ მმართველად დამტკიცდა საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2009 წლის 16 მარტის #3/1 გადაწყვეტილებით დანიშნული თ. კ-იანი, სალიცენზიო პირობების უწყვეტად შესრულების ვადით, მაგრამ არა უმეტეს 2010 წლის 1 მაისისა; სპეციალურ მმართველს: ა) შპს "... " სახელითა და ხარჯით უნდა უზრუნველყო სალიცენზიო პირობების შესრულება, კერძოდ, შპს "... " შპს "... " დავალიანების -68777519,77 ლარის გადახდა და შპს "... " ქ. თბილისის მომხმარებელთა ბუნებრივი გაზით უწყვეტი მომარაგება; ბ) მხოლოდ მას უნდა წარმოედგინა შპს "... " მე-3 პირებთან ურთიერთობაში და მისი უფლებამოსილება უნდა განსაზღვრულიყო "მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონითა და შპს "... " წესდებით გათვალისწინებული შპს "... " გენერალური დირექტორის დონეზე; გ) განხორციელებული საქმიანობის შესახებ ყოველთვიური ანგარიში დასამტკიცებლად უნდა წარედგინა სასამართლოსათვის; დ) 2010 წლის 1 მაისამდე სალიცენზიო პირობების შესრულების შემთხვევაში, დაუყოვნებლივ უნდა მიემართა სასამართლოსათვის სპეციალური მართვის გაუქმების შესახებ; ე) თუ 2010 წლის 1 მაისამდე ვერ შესრულდებოდა სალიცენზიო პირობები, დაუყოვნებლივ უნდა მიემართა სასამართლოსათვის აღნიშნული ვადის გაგრძელების შესახებ; ვ) შპს "... " მხრიდან ხელის შეშლის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ უნდა დაეყენებინა ბრალეული პირების პასუხისმგებლობის საკითხი, კანონმდებლობით დადგენილი წესით; ზ) საჭიროების მიხედვით, მაგრამ თვეში ერთხელ მაინც კომისიაში უნდა წარედგინა განხორციელებული საქმიანობის ანგარიში, შესაბამის დოკუმენტებთან ერთად (ასეთის არსებობის შემთხვევაში); საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2009 წლის 16 მარტის #3/1 გადაწყვეტილების შესაბამისად, სპეციალური მმართველის -თ. კ-იანის ყოველთვიური შრომის ანაზღაურება განისაზღვრა 7500 ლარის ოდენობით; ლიცენზიის მფლობელი ვალდებული იყო, სპეციალური მმართველის მოთხოვნისას, დაუყოვნებლივ მიეწოდებინა მისთვის ლიცენზირებად საქმიანობასთან დაკავშირებული ყოველგვარი ინფორმაცია ან მატერიალური საშუალებები; ლიცენზიის მფლობელის მიერ აღნიშნული მოვალეობის შეუსრულებლობა ან სპეციალური მმართველისათვის ხელის შეშლა გამოიწვევდა ლიცენზიის მფლობელის პასუხისმგებლობას კანონმდებლობით დადგენილი წესით; განჩინება შეიძლებოდა გასაჩივრებულიყო კერძო საჩივრით ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მეშვეობით, მხარეთათვის დასაბუთებული განჩინების გადაცემიდან 12 დღის ვადაში; მხარეებს განემართათ, რომ კერძო საჩივრის შეტანა არ შეაჩერებდა განჩინების აღსრულებას.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 16 მარტის განჩინებაზე შპს "... " და სს "... " წარმომადგენლებმა -პ. კ-ძემ და კ. ბ-ძემ შეიტანეს კერძო საჩივარი და მოითხოვეს გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და უსაფუძვლობის გამო, შპს "... " სპეციალური მმართველის დანიშვნის შესახებ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა ან განსჯადობის წესების შესაბამისად, აღნიშნული შუამდგომლობის განსჯადი სასამართლოსათვის -თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიისათვის განსახილველად გადაცემა.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 16 მარტის განჩინებაზე შპს "... " და სს "... " წარმომადგენლებმა -პ. კ-ძემ და კ. ბ-ძემ ასევე შეიტანეს სააპელაციო საჩივარი და მოითხოვეს გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და უსაფუძვლობის გამო, შპს "... " სპეციალური მმართველის დანიშვნის შესახებ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა ან განსჯადობის წესების შესაბამისად, აღნიშნული შუამდგომლობის განსჯადი სასამართლოსათვის -თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიისათვის განსახილველად გადაცემა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 7 აპრილის განჩინებით შპს "... " და სს "... " კერძო საჩივარი მიღებულ იქნა განსახილველად და მისი განხილვა დაინიშნა 2009 წლის 10 აპრილს, ზეპირი მოსმენის გარეშე; განჩინებაზე კერძო საჩივრის შეტანა არ დაიშვებოდა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 7 აპრილის კიდევ ერთი განჩინებით შპს "... " და სს "... " სააპელაციო საჩივარი განუხილველი დარჩა დაუშვებლობის გამო; განჩინება შეიძლებოდა გასაჩივრებულიყო კერძო საჩივრით საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატაში, მხარისათვის

განჩინების ასლის ჩაბარებიდან 12 დღის ვადაში, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მეშვეობით.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 16 მარტის განჩინებით განმარტებული იყო იმავე განჩინების კერძო საჩივრით გასაჩივრების ვადა და წესი. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 7 აპრილის განჩინებით შპს "... " და სს "... " კერძო საჩივარი მიღებულ იქნა განსახილველად. ამდენად, სასამართლოს მიერ გამოტანილი განჩინება არ შეიძლება გადასაჩივრებულიყო, როგორც კერძო, ისე სააპელაციო საჩივრით. სასამართლოს მიერ გამოტანილ აქტზე, მოცემულ შემთხვევაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 16 მარტის განჩინებაზე, დაიშვებოდა მხოლოდ კერძო საჩივარი, რის გამოც შპს "... " და სს "... " სააპელაციო საჩივარი უნდა დარჩენილიყო განუხილველი.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 10 აპრილის განჩინებით შპს "... " და სს "... " კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 16 მარტის განჩინება; განჩინება არ გასაჩივრდებოდა.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, სასამართლომ განიხილა ადმინისტრაციული ორგანოს შუამდგომლობა (ტერიტორიული ადგილმდებარეობის მიხედვით), "ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-14 პუნქტის შესაბამისად, სპეციალური მმართველის დანიშვნის თაობაზე, რაც არანაირად არ უკავშირდებოდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 თავით განსაზღვრულ განსჯადობას მოპასუხეთა ადგილმდებარეობის შესახებ. "ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონი და სახელდობრ, ამ კანონის 22-ე მუხლის მე-14 პუნქტის ანალიზი ცხადყოფდა, რომ ადმინისტრაციული ორგანო გადაწყვეტილებით ნიშნავდა სპეციალურ მმართველს და დაუყოვნებლივ წარუდგენდა სასამართლოს გადაწყვეტილების მისაღებად, რაც შინაარსობრივად და არსობრივად, მიზნობრივი დატვირთვით, განჩინების ფორმით უნდა ყოფილიყო მიღებული და ამ შემთხვევაში, "სასამართლოს გადაწყვეტილება" გაგებული უნდა ყოფილიყო იმგვარად, რომ იგი გულისხმობდა ასევე განჩინების ფორმით სასამართლო გადაწყვეტილების მიღებას. ამდენად, გასაჩივრებული განჩინება, ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით, დასაბუთებული იყო, რის გამოც არ არსებობდა მისი გაუქმების კანონიერი საფუძველი.

შპს "... " და სს "... " კერძო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 10 აპრილის განჩინებაზე საკასაციო საჩივარი წარადგინეს შპს "... " და სს "... " წარმომადგენლებმა -პ. კ-მემ და კ. ბ-მემ, რომელთაც მოითხოვეს გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის ხელახლა, სასარჩელო წარმოების წესით განსახილველად იმავე, სააპელაციო სასამართლოსთვის დაბრუნება.

შპს "... " და სს "... " კერძო საჩივრის განსახილველად მიღების შესახებ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 7 აპრილის განჩინებაზე, შპს "... " და სს "... " სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 7 აპრილის განჩინებასა და შპს "... " და სს "... " კერძო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 10 აპრილის განჩინებაზე კერძო საჩივარი წარადგინეს შპს "... " და სს "... " წარმომადგენლებმა -პ. კ-მემ და კ. ბ-მემ, რომელთაც მოითხოვეს გასაჩივრებული განჩინებების გაუქმება და საქმის (სააპელაციო საჩივარი ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 16 მარტის განჩინებაზე) არსებითად განსახილველად იმავე, სააპელაციო სასამართლოსთვის დაბრუნება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველ მუხლზე, რომლის თანახმად, ეს კოდექსი განსაზღვრავს საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ ადმინისტრაციული საქმეების განხილვისა და გადაწყვეტის საპროცესო წესებს. თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებები მხარეებმა და მესამე პირებმა დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით შეიძლება კანონით დადგენილ ვადაში გასაჩივრონ საკასაციო სასამართლოში. ამავე კოდექსის 401-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადების მიხედვით, საკასაციო საჩივრის შემოსვლიდან 10 დღის ვადაში მომხსენებელმა მოსა-

მართლმაც უნდა შეამოწმოს, შეტანილია თუ არა საკასაციო საჩივარი ამ კოდექსის 396-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით, ანუ საკასაციო საჩივრის ფორმალური დასაშვებობა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საკასაციო წესით სასამართლოს გადაწყვეტილების (განჩინების) გასაჩივრებისათვის -საკასაციო საჩივრის წარდგენისათვის აუცილებელია შესაბამისი გადაწყვეტილების (განჩინების) არსებობა, ანუ ისეთი გადაწყვეტილება (განჩინება), რომელზეც სასამართლოს მიერ განიმარტა საკასაციო საჩივრის წარდგენა. ამდენად, თუ სახეზე არ არის ამგვარი გადაწყვეტილება (განჩინება), არ არსებობს არც საკასაციო საჩივრით გასაჩივრების ობიექტი და, შესაბამისად, საკასაციო საჩივრის წარდგენის სამართლებრივი საფუძველი. მოცემულ შემთხვევაში, არ არსებობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული, საკასაციო საჩივრის შეტანით გასაჩივრებას დაქვემდებარებული სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება (განჩინება).

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მეათე კარი მთლიანად ეძღვნება კერძო საჩივარს. ამ კოდექსის 419-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილების თანახმად, კერძო საჩივრის თაობაზე განჩინება გამოაქვს ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს. ზემდგომი სასამართლოს განჩინება კერძო საჩივრის თაობაზე არ გასაჩივრდება.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ, ვინაიდან საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მეათე კარით (კერძო საჩივარი) გათვალისწინებული ნორმები. კერძო საჩივრის თაობაზე ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს განჩინება საბოლოოა და აღარ საჩივრდება კერძო საჩივრის, ან მით უმეტეს, საკასაციო საჩივრის შეტანით.

გარდა ამისა, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ კერძო საჩივრის განსახილველად მიღების შესახებ სააპელაციო სასამართლოს განჩინება საერთოდ არ საჩივრდება -მასზე არ დაიშვება კერძო საჩივრის შეტანა და იგი არ საჩივრდება არც სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებასთან (განჩინებასთან) ერთად.

ამდენად, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ამ შემთხვევაში, კერძო საჩივრის განსახილველად მიღების შესახებ ზემდგომი -სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს განჩინებაზე შეტანილი კერძო საჩივარი, აგრეთვე, სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს მიერ კერძო საჩივრის თაობაზე მიღებულ განჩინებაზე შეტანილი საკასაციო საჩივარი საკასაციო სასამართლოს მიერ ექვემდებარება განუხილველად დატოვებას, ხსენებული განჩინებების გასაჩივრების დაუშვებლობის გამო. აღნიშნულზე მიეთითა კიდეც შპს "... " და სს "... " კერძო საჩივრის განსახილველად მიღების შესახებ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 7 აპრილის განჩინებასა და შპს "... " და სს "... " კერძო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 10 აპრილის განჩინებაში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილების შესაბამისად, შპს "... " და სს "... " კერძო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 10 აპრილის განჩინებაზე შპს "... " და სს "... " წარმომადგენლების -პ. კ-მისა და კ. ბ-მის საკასაციო საჩივარი, ასევე შპს "... " და სს "... " კერძო საჩივრის განსახილველად მიღების შესახებ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 7 აპრილის განჩინებასა და შპს "... " და სს "... " კერძო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 10 აპრილის განჩინებაზე შპს "... " და სს "... " წარმომადგენლების: პ. კ-მისა და კ. ბ-მის კერძო საჩივარი უნდა დარჩეს განუხილველი დაუშვებლობის გამო.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 401-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადებით, 419-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. შპს "... " და სს "... " კერძო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 10 აპრილის განჩინებაზე შპს "... " და სს "... " წარმომადგენლების -პ. კ-მისა და კ. ბ-მის საკასაციო საჩივარი, ასევე შპს "... " და სს "... " კერძო საჩივრის განსახილველად მიღების შესახებ ქუთაისის სააპე-

ლაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 7 აპრილის განჩინებასა და შპს "... " და სს "... " კერძო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 10 აპრილის განჩინებაზე შპს "... " და სს "... " წარმომადგენლების -პ. კ-მისა და კ. ბ-მის კერძო საჩივარი განუხილველი დარჩეს დაუშვებლობის გამო;

2. შპს "... " და სს "... " წარმომადგენელს -კ. ბ-მეს დაუბრუნდეს საკასაციო საჩივარზე გადხდილი სახელმწიფო ბაჟი -300 ლარი;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საჩივრის დაუშვებლობა

განჩინება

#ბს-693-659(კ-09)

27 ივლისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ნ. სხირტლაძე,

პ. სილაგამე

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლისა და 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, ზეპირი განხილვის გარეშე, შეამოწმა შპს "... " საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საფუძველების არსებობა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 30 იანვრის განჩინების გაუქმების თაობაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

2008 წლის 1 ივლისს ხობის რაიონულ სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მიმართა შპს "... " მოპასუხეების -ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამეგრელო-გურია-სვანეთის სამხარეო სამმართველოს და მესამე პირის -საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ხობის სარეგისტრაციო სამსახურის მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობას დავალებოდა საჯარო რეესტრში საკუთრების უფლებით აღერიცხა არასასოფლო-სამაურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები და საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამეგრელო-გურია-სვანეთის სამხარეო სამმართველოს დავალებოდა, აღნიშნულზე გაეცა ნებართვა ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობისათვის.

2008 წლის 30 ოქტომბერს შპს "... " მიერ წარდგენილ იქნა დაზუსტებული სარჩელი, რომლითაც მოითხოვა დავალებოდა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამეგრელო-გურია-სვანეთის სამმართველოს, დაერთონება შპს "... " მიცემული მიწა იჯარის უფლებით გაეტარებინა საჯარო რეესტრში.

ხობის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 6 ნოემბრის საოქმო განჩინებით ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა ცნობილ იქნა არასათანადო მოპასუხედ და იგი მოცემულ საქმეში ჩაბმულ იქნა მესამე პირად.

ხობის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 6 ნოემბრის გადაწყვეტილებით შპს "... " სარჩელი დაკმაყოფილდა; მოპასუხეს -საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამეგრელო-გურია-სვანეთის სამხარეო სამმართველოს დავალა გამოეცა ადმინისტრაციული აქტი ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობასა და შპს "... " შორის დადებულ ხელშეკრულებაში, მოიჯარედ სამეგრელო-გურია-სვანეთის სამხარეო სამმართველოს ჩანაცვლებისა და საჯარო რეესტრში საიჯარო ხელშეკრულების რეგისტრაციის შესახებ.

ხობის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 6 ნოემბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამეგრელო-გურია-სვანეთის სამხარეო სამმართველომ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 30 იანვრის გადაწყვეტილებით საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო ქონე-

ბის აღრიცხვისა და პრივატიზების სამეგრელო-გურია-სვანეთის სამმართველოს სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; ხობის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 6 ნოემბრის გადაწყვეტილება გაუქმდა; მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; შპს "... " სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 30 იანვრის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გასაჩივრა შპს "... ", რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის დაბრუნება ხელახალი სასამართლო განხილვისათვის.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ შპს "... " საკასაციო საჩივარი არ აკმაყოფილებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის მოთხოვნებს და არ ექვემდებარება დასაშვებად ცნობას შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილი განსაზღვრავს საკასაციო საჩივრის განსახილველად დასაშვებობის ამომწურავ საფუძვლებს, როგორცაა: ა) საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან; გ) სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით და არსებობს ვარაუდი, რომ მას შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული არც ერთი ზემოთ მითითებული საფუძვლით.

მოცემული საქმე არ არის მნიშვნელოვანი სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის. კასატორი ვერ ასაბუთებს სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვას მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით. საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები არც სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების საკასაციო სასამართლოს დამკვიდრებული პრაქტიკისაგან განსხვავების არსებობის საფუძვლით. სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება არ ეწინააღმდეგება ამ კატეგორიის დავებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებულ პრაქტიკას.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ, ვინაიდან შპს "... " საკასაციო საჩივარზე პ. კ-მეს გადახდილი აქვს სახელმწიფო ბაჟი 300 ლარის ოდენობით, ამიტომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 401-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, მას უნდა დაუბრუნდეს საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 70% -210 ლარი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, 34-ე მუხლის მე-3 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 401-ე მუხლის მე-4 ნაწილით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. შპს "... " საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნეს დაუშვებლად;
2. უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 30 იანვრის განჩინება;
3. პ. კ-მეს დაუბრუნდეს საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 70% -210 ლარი;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.